# ალია

70 თეთრი

N31/3347/ 24 მარტი 2016 წ ფასი 70 თეთრი

ორშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან


## რისთვის ბრუნდება პოლიტიკაში და ვისზე იძიებს შურს ირაკლი ღარიბაშვილი?

5



## მიდის თუ არა პოლიტიკაში სკანდალური მოსამართლე მამუკა ახვლედიანი და რისთვის ქმნის „ენჯეო“-ს?



9

## რა დანაშულებშია მხილებული ინტერპოლის მიერ „გამართლებული“ დათა ახალაია და რა გზა რჩება ხელისუფლებას მის ჩამოსაყვანად?

7




რატომ გაუშვეს ხელისუფლებიდან ღარიბაშვილი და რატომ ეპატიჟებიან უკან? ვის მოეთხოვება პასუხი ახალაიას ძებნილთა სიიდან ამოღებისთვის?



3

ივანიშვილის დაკარგული მილიონების საიდუმლო



6

პატრულმა ტროტუარზე გაჩერებული მანქანების დაჯარიმება დაიწყო



2

იმპორტიორების თხოვნის მიუხედავად, მარჯვენასაჭიანი მანქანების რეგისტრაციის აკრძალვის სავარაუდო თარიღად კვლავაც 2017 წლის პირველი იანვარი სახელდება



2

ონლაინ კრედიტების საწინააღმდეგო კამპანია იწყება



13

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

კომპანიამ, რომელსაც ოფისიც კი არ გააჩნია, თბილისის მერიის 308-ათასიან ტენდერში გაიმარჯვა



4

სადისტრიბუციო კომპანიები მაღაზიებიდან თანხებს ვერ იღებენ — სავაჭრო ქსელებს მილიონობით დავალიანება დაუგროვდათ



11

ხალხს ამ ხელისუფლების ატანა აღარ აქვს, ბაღის დირექტორებმა კი საარჩევნო ხმების შეგროვება უკვე დაიწყეს?



11

„ბილაინის“ მიერ „კავკასუს ონლაინის“ შეძენით საკაშვილი იხეირებს?!




8

# ლევან ბოძაშვილი: არანაირი საფუძველი არ გვაქვს, ვთქვათ, რომ საქართველოს სპეცსამსახურები კარგად ვერ მუშაობენ



– არანაირი საფუძველი არ გვაქვს ვთქვათ, რომ ჩვენი სპეცსამსახურები კარგად ვერ მუშაობენ, – ამის შესახებ საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ლევან ბოძაშვილმა განაცხადა.

როგორც ბოძაშვილმა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერში ბრიუსელში მომხდარ ტერაქტებზე საუბრისას აღნიშნა, ამის მიუხედავად, მუდმივადაა საჭირო, რომ სპეცსამსახურები მეტად განვითარდნენ.

– სპეცსამსახური არის ის თემა, რომლის საქმიანობასთან დაკავშირებით კმაყოფილება არასდროს არ შეიძლება გამოითქვას. ის მუდმივად უნდა იყოს განვითარების რეჟიმში ტექნიკური აღჭურვილობის, ფინანსური რესურსის, კადრების კვალიფიკაციის და ბუნებრივია, ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელების საშუალებების თვალსაზრისით. რაც შეეხება უშუალოდ საქართველოს სპეცსამსახურებს, ჩვენ, დღესდღეობით, არანაირი საფუძველი არ გვაქვს, ვთქვათ, რომ ჩვენი სპეცსამსახურები კარგად არ და ვერ მუშაობენ. ამის საფუძველი ნამდვილად არ არსებობს, მაგრამ, რა თქმა უნდა, მუდმივად არსებობს იმის საჭიროება, რომ ის იყოს უფრო უკეთესი და მეტად განვითარდეს, რისი რესურსიც ქვეყანას გააჩნია, – განაცხადა ბოძაშვილმა.

მისივე განმარტებით, უშუალოდ უშიშროების საბჭოს აპარატი მუდმივ რეჟიმში ახორციელებს რეგიონში არსებული რისკებისა და საფრთხეების შეფასებას, რასთან დაკავშირებულ ინფორმაციასაც შესაბამის უწყებებს აწვდის.

– ჩვენს ანალიტიკურ მუშაობაზე, ბუნებრივია, ღიად ვერ ვისაუბრებ, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ინფორმაცია, რაც ჩვენთან მოიპოვება, დამუშავების შემდეგ ყველა შესაბამის სტრუქტურას – მინიმუმ უშიშროების საბჭოში წარმოდგენილ უწყებებს მიეწოდება. ასეთი კვლევები ჩვენ 2015 წლის განმავლობაში საკმაოდ დიდი რაოდენობით ჩავატარეთ. მაგალითად, უშუალოდ ტერორისტებთან მიმართებაში შემიძლია გითხრათ, რომ 4 ათასამდე კონკრეტული საქმე შევისწავლეთ, რომელიც მოიცავდა თვითმკვლელი ტერორისტების მოტივაციას, გადაბირების მეთოდიკას და ასეთ საკითხებს. რეალურად ამ ტიპის ინფორმაციები მუდმივი დამუშავების პროცესშია, ვინაიდან უშიშროების საბჭოს აპარატის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება არის სწორედ უშიშროებისა და თავდაცვის საკითხებთან მიმართებაში წინასწარი რისკების და საფრთხეების გათვლა-შეფასება, – აღნიშნა უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ. (ინტერპრესნიუსი)

# პატრულმა ტროტუარზე გაჩერებული მანქანების დაჯარიმება დაიწყო

მიხეილ სახვაძე
599 93-28-03





დასაწყისშივე ხაზგასმით უნდა ვთქვათ, რომ ბუნებრივია, „ალია“ მომხრეა, დაისაჯოს ყველა, ვინც კანონსა და საგზაო მოძრაობის წესებს დაარღვევს, იქნება ეს ტაქსისტი, „მარშრუტკის“ თუ რიგითი მძღოლი ან დაბურულმინებიანი „შკოდის“ საჭესთან მჯდომი „გაბლატავებული“ სახელმწიფო მოხელე (ამ უკანასკნელის დაჯარიმების, რა თქმა უნდა, არ გვჯერა, მაგრამ მაინც), თუმცა საქმე რომ მხოლოდ „ჩაინიკ“ და „ამჩემფეხეალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ გამგეობის თავმჯდომარე ეკა ლალიაშვილი აცხადებს, ეს გახლდათ ერთ-ერთი იშვიათი პრეცედენტი იმისა, რა შედეგი მოაქვს საზოგადოებრივ აქტიურობას მსგავსი ტიპის დარღვევებთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ჯარიმების ამოქმედებას, როგორც ეკა ლალიაშვილი აცხადებს, ჯარიმის შესახებ ინფორმაცია კანონში დიდი ხანია არსებობს, თუმცა, აქამდე ყურადღება იშვიათად ექცეოდა, ისევე როგორც 200-ლარიან ჯარიმებს. შესაბამისად, 200-ლარიანი ჯარიმების ამოზაო მოძრაობის მონაწილეების ჩამოყალიბებას და წესრიგის დამყარებას ქუჩაში. საზოგადოებაში უნდა გაჩნდეს იმის განცდა, რომ არსებული სტერეოტიპების შეცვლა და დამსხვრევა თითოეულ ჩვენგანს შეგვიძლია და ეს არის მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა! – აცხადებს ეკა ლალიაშვილი.

კი, ბატონო, მართალია ეკა ლალიაშვილი – ძმრად უნდა ადინო ნებისმიერ მძღოლს საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, მით უმეტეს, როცა ავტომობილს ტროტუარზე აჩერებს და კიდევ უარესი – ამით ქვეითებთან ერთად, შშმ ის გლეჯის გარეშე შეძლებდი, მაგრამ ბუს კვერცხები – იქით „სითი პარკი“ გტაცებს მანქანას, აქეთ ხელგამოშვერილი „სტაიანშიკები“ ოფიციალურ მაფიოზებად იქცნენ და უკვე 50 თეთრსაც უკადრისობენ – მინიმუმ 1 ლარი მაინც უნდა წაგგლიჯონ ყოვლად უტიფარი და უნამუსო გამომეტყველებით. უცბად კი ბრახ და პატრულიც გააქტიურდა – 200-ლარიან ჯარიმას ისე გამოგიწერენ, თითქოს მილიონერი ბაბუის ქონებას გიფორმებდნენ და შენ კი მადლობები უნდა უხადო.

არა, ჰო, 200 ლართან შედარებით 10-ლარიანი ჯარიმა

ბა“ მძღოლებში არ არის, ამას ახლავე დაგიმტკიცებთ:

დავიწყოთ იმით, რომ როგორც „ავტორადიოს“ საიტი წერს, სოციალური ქსელის მეშვეობით „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ წარმომადგენელმა მაია ქობალიამ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საპატრულო პოლიცია ტროტუარზე პარკირებისთვის 10-ლარიანი ჯარიმების დაწერას იწყებს.

საქმე ის გახლავთ, რომ ტროტუარზე სიარულისას ალიანსის წევრებმა არასწორად პარკირებული ავტომობილი შენიშნეს და საპატრულო პოლიციაში დარეკეს. ეკიპაჟი 15 წუთის შუალედში შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა და ავტომობილის მძღოლი 10 ლარით დააჯარიმა.

როგორც „საქართველოს ქმედებასთან ერთად, ამოქმედდა 10-ლარიანი ჯარიმებიც ტროტუარზე პარკირებისთვის.

ამასთანავე, ეკა ლალიაშვილი აცხადებს, რომ 26 მარტს 12 საათზე, ჭავჭავაძის გამზირზე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე) იმართება აქცია სახელწოდებით „აქ არ გააჩერო – ტროტუარი ქვეითისაა!“

ეკა ლალიაშვილის თქმით, საზოგადოების დამოკიდებულება ასეთ თემებთან უმნიშვნელოვანესია და თითოეულ მოქალაქეს, აქტიურობისკენ მოუწოდებს....

– მოსახლეობა აუცილებლად უნდა გააქტიურდეს და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში 112-ის ცხელ ხაზზე უნდა დარეკოს. მხოლოდ ასე შევძლებთ გუნდურად და გაერთიანებული ძალებით კანონმორჩილი საგპირების გადაადგილებასაც აბრკოლებს, მაგრამ გადახედეთ თბილისს ან ნებისმიერ ქალაქს, განა ვინმემ იზრუნა იმაზე, რომ პარკირების პრობლემები მოგვარებულიყო?

ჰო, არც ეს ნიშნავს იმას, რომ, რადგან პარკირების ადგილები პრაქტიკულად, არ არსებობს, მძღოლმა სადაც მოეხუშტურება, იქ მიაყენოს მანქანა, მაგრამ, როცა დედაქალაქის მერიას ფეხებზე ჰკიდია ეს პრობლემა, საპატრულო პოლიცია კი უკან მოუხედავად აჯარიმებს ყველას („შკოდელების“ გარდა, რა თქმა უნდა!), ნორმალურია ეს? არავითარ შემთხვევაში!!!

თაღლითი და ყაჩაღი „სითი პარკი“ ვერ მოვიწყვიტეთ თავიდან, არადა ისე იზრახუნებდნენ გულზე მჯილებს „ოცნებაში“, იფიქრებდი, ჰა და ჰა, ხვალ უკვე პარკირებას ნერვებარაფერია, მაგრამ რატომ?! რა ნამუსით?! რა უფლებით?!

ჯერ მოაწესრიგეთ პარკირების პრობლემა, მოგვაშორეთ „სითი პარკი“, მყვლეფავი მაფიოზა „სტაიანშიკები“, დაადგინეთ ადეკვატური გადასახადი, გამოყავით მიწისზედა თუ მიწისქვეშა სადგომები და როცა კიდევ ტროტუარზე დააყენებს ვინმე მანქანას, 10-ლარიანი კი არა, 100 და 1000-ლარიანი ჯარიმაც გამოუწერეთ და კინკრიხოშიც მოსდეთ, თუ ამის სურვილი გექნებათ – დაიმსახურებენ და იმიტომ!

მანამდე კი არც კანონიერი და არც მორალური უფლება არ აქვს „შუსუსუს“, მუდმივად გამოჭერაზე იყოს და სადაც წაგასწრებს, ჯარიმები გიშანშალოს.

ვინც არ გვეთანხმება, ღმერთმა ხელი მოუმართოს, ვინც გვეთანხმება – იმასაც!..

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პროკურატურა ინტერპოლის მიერ დათა ახალაიას ძებნილთა სიიდან ამოღების გასაჩივრებას აპირებს

დავით ახალაიას მიმართ ინტერპოლის ძებნის შეწყვეტასთან დაკავშირებით საქართველოს მთავარი პროკურატურა განცხადებას ავრცელებს:

– საქართველოს მთავარი პროკურატურა დავით ახალაიას მიმართ წითელი ცირკულარით საერთაშორისო ძებნის შეწყვეტასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ინტერპოლის გენერალური სამდივნო დაეყრდნო 2015 წლის 18 თებერვალს ინტერპოლის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებულ ინსტრუქციებს, რომელთა საფუძველზეც ახლებურად რეგულირდება ლტოლვილის სტატუსის მქონე პირების მონაცემთა დამუშავების საკითხები.

კერძოდ, ინსტრუქციების მიხედვით, თითოეული წითელი ცირკულარის ან ძებნის გავრცელების თაობაზე თხოვნა ლტოლვილის სტატუსის მქონე პირის მიმართ უნდა შეფასდეს შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

1) დასტურდება თუ არა ფაქტი იმის თაობაზე, რომ პირი ფლობს ლტოლვილის სტატუსს ან ის წარმოადგენს თავშესაფრის მაძიებელს;

2) დასტურდება თუ არა ფაქტი იმის თაობაზე, რომ პირის მიმართ წითელი ცირკულარის ან ძებნის გავრცელების თხოვნა მიღებულია მისი წარმოშობის სახელმწიფოდან;

3) დასტურდება თუ არა ფაქტი იმის თაობაზე, რომ ლტოლვილის სტატუსის მინიჭება კონკრეტული სახელმწიფოს მიერ არ არის განპირობებული წარმოშობის სახელმწიფოსთან მიმართებაში არსებული პოლიტიკური მოტივებით.

შესაბამისად, დავით ახალაიას შემთხვევაში ინტერპოლის ფაილების კონტროლის კომისიამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ძებნილ პირს მინიჭებული ჰქონდა ლტოლვილის სტატუსი და ძებნის შეწყვეტის რეკომენდაციით მიმართა ინტერპოლის გენერალურ სამდივნოს, რაც ამ უკანასკნელის მიერ დაკმაყოფილებულ იქნა 2016 წლის 9 მარტს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავარი პროკურატურა აცხადებს, რომ დავით ახალაიას მიმართ ძებნის შეწყვეტა




განხორციელდა არა ინტერპოლის კონსტიტუციის მე-3 მუხლის საფუძველზე, რაც, თავის მხრივ, კრძალავს ძებნის წარმოებას დანაშაულის პოლიტიკური ხასიათის გამო, არამედ იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ დავით ახალაიას ერთ-ერთი სახელმწიფოს მიერ მიენიჭა ლტოლვილის სტატუსი.

საქართველოს პროკურატურა საქართველოში ინტერპოლის ეროვნულ ცენტრალურ ბიუროსთან ერთად ინტერპოლის რეგულაციების ფარგლებში გამოიყენებს ყველა შესაძლებლობას ინტერპოლის გენერალური სამდივნოს მიერ არსებული მიდგომის გასაუქმებლად და მიღებული გადაწყვეტილების გასასაჩივრებლად. საქართველოს პროკურატურა მიმართავს ყველა საერთაშორისო ინსტრუმენტს და შესაძლებლობას, რათა მსჯავრდადებული დავით ახალაია წარდგეს ქართული მართლმსაჯულების წინაშე, – აღნიშნულია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

# იმპორტიორების თხოვნის მიუხედავად, მარჯვენასაჭიანი მანქანების რეგისტრაციის აკრძალვის სავარაუდო თარიღად კვლავაც 2017 წლის პირველი იანვარი სახელდება



შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილი მარჯვენასაჭიანი და საჭეგადატანილი მანქანების რეგისტრაციის აკრძალვის სავარაუდო თარიღად 2017 წლის პირველ იანვარს ასახელებს.

როგორც შალვა ხუციშვილმა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე მთავრობის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო პაკეტის წარდგენისას განაცხადა, კონსულტაციების შედეგად შედგა შეთანხმება, რომ აღნიშნული შეზღუდვა არ იმოქმედებს სპორტულ მანქანებსა და იმ ტიპის ავტომობილებზე, რომლებიც ტურისტულ ბიზნესში გამოიყენება.

შს მინისტრის მოადგილის თქმით, ამ ეტაპისთვის, კონსულტაციების შედეგად შეთანხმებული თარიღი პირველი იანვარია, რათა იმპორტიორებს „ბიზნესის გადაწყობის“ და დაწყებული კონტრაქტების ბოლომდე მიყვანის საშუალება მიეცეთ.

გარდა ამისა, როგორც ცნობილია, საკანონმდებლო პაკეტით 3-დან 6 წლამდე ავტომობილები აქციზის განაკვეთის შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმში ექცევა, ხოლო მნიშვნელოვნად იზრდება აქციზის გადასახადი 8 და 8 წელზე მეტი ასაკის ავტომობილებისთვის.

შეღავათიან რეჟიმში გადადის მოპედებისა და მოტოციკლების აქციზით დაბეგვრაც.

– კუბატურის მიხედვით, 12 წლის ავტომობილის განბაჟება 70 თეთრი იქნება, 12 წლის ქვევით – 50 თეთრი. სეგმენტი, რაც იაფი მანქანებისთვის იყო ორიენტირებული, გარკვეული შეღავათებისთვის, გათვალისწინებული იქნება, რათა მოსახლეობისთვის ავტომობილების შეძენა შესაძლებელი იყოს. ჩვენი პრინციპული პოზიციაა, არ მოხდეს ავტოპარკის დაძველება, ამიტომ 12 წლიდან ეტაპობრივად, ხოლო 14 წლიდან კრიტიკულად გაძვირდება ავტომობილების განბაჟება, კუბატურის მიხედვით, – განაცხადა შს მინისტრის მოადგილემ.

რაც შეეხება მთავრობის საკანონმდებლო პაკეტის კიდევ ერთ სიახლეს, რომელიც მართვის მოწმობებზე 100-ქულიანი სისტემის დაწესებას და საგზაო ადმინისტრაციული ჯარიმების დაგროვებისა და შედეგად, ქულების განულების შემთხვევაში, მართვის მოწმობის გაუქმებას ითვალისწინებს, ამასთან დაკავშირებით შს მინისტრის მოადგილემ განმარტა, რომ მიმდინარეობს ინტენსიური კონსულტაციები იმის შესახებ, რომ მართვის მოწმობის გაუქმების ნაცვლად, მოხდეს მისი გარკვეული ვადით ჩამორთმევა, ხოლო, თუკი მძღოლს ჩამორთმეული მოწმობის ვადაზე ადრე დაბრუნების სურვილი ექნება, ასეთ შემთხვევაში ის გამოცდას ჩააბარებს.

## „დღეს ბრიუსელი, ხვალ მადრიდი?“ — თავდასხმა მადრიდის უდიდეს მეჩეთზე



ესპანეთის დედაქალაქში ულტრამემარჯვენე აქტივისტებმა ქალაქის უდიდეს მეჩეთს სასიგნალო მაშხალები ესროლეს.

ამის შესახებ გამოცემა The Spain Report-ი წერს. აქტივისტებმა მეჩეთთან პლაკატი ჩამოკიდეს წარწერით – „დღეს ბრიუსელი, ხვალ მადრიდი?“, „ტვიტერის“ მიკრობლოგზე კი დაწერეს, რომ ეს რადიკალური ისლამის წინააღმდეგ მიმართული აქცია იყო.

მომხდარ ინციდენტს უკვე გამოეხმაურა მადრიდის მერია.

– სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლების ერთობლივი თანაცხოვრება, ჩვენი ქალაქის უსაფრთხოების საფუძველია. ჩვენ ყველა ერთად ვებრძვით ტერორიზმს, – ნათქვამია ქალაქის მერიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## „თბილისის საარჩევნო საზღვრებით კითხვის ნიშნის ქვეშ დგას არჩევნების ჩატარება“ — ნიკა მელია



„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ნიკა მელია თბილისის საარჩევნო საზღვრებს უპრეცედენტო და წარმოუდგენელს უწოდებს. როგორც ნიკა მელია აცხადებს, ამომრჩევლები საარჩევნო დღეს დაიბნევიან.

– ხელისუფლებამ ცესკოსთან ერთად დაადგინა ახალი ფაქტობრივი საარჩევნო საზღვრები თბილისში, რაც არის უპრეცედენტო და წარმოუდგენელი. რეალურად რაიონები ერთმანეთში არია, აზილა, დაფლითა და მივიდა იმ კონდიციამდე, რომ ამომრჩევლები საარჩევნო დღეს დაიბნევიან. მაგალითად, გლდანის ნაწილი, დიდუბის ნაწილი, საბურთალოს ნაწილი და ჩუღურეთის ნაწილი ერთ საარჩევნო ოლქად აქცია. ერთი მაჟორიტარი, რომელიც კენჭს იყრის ამ საარჩევნო ოლქში, გამარჯვებული, ანგარიშვალდებული იქნება ოთხი რაიონის მოსახლეობასთან. ასევე, ის ვალდებული იქნება, 4 გამგეობასთან ითანამშრომლოს. ჩუღურეთის საზღვრები შეუერთეს ისნის საზღვრებს, თბილისს შემოუერთეს მარტყოფი, სოფელი საცაკაძე, ვაზიანის სამხედრო დასახლება. იმდენად მოინდომა ხელისუფლებამ მაქსიმალურად თავისთვის მოერგო წინასაარჩევნოდ ეს უბნები, რომ აიბლარდნენ. დღეს გვაქვს რეალურად ის ვითარება, სადაც კითხვის ნიშნის ქვეშ სერიოზულად დგას, რამდენად შევძლებთ არჩევნების ჩატარებას, – განაცხადა ნიკა მელიამ.

მისივე შეფასებით, აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება ხელისუფლებას არჩევნებში მარცხის შიშმა აიძულა. (ნიუპოსტი)

ნინო ლაგარტყავა
571 99-92-33



# რატომ გაუშვეს ხელისუფლებიდან ღარიბაშვილი და რატომ ეპატიჟებიან უკან? ვის მოეთხოვება პასუხი ახალაიას ძებნილთა სიიდან ამოღებისთვის?



„ალიას“ ექსპერტი სოსო ცინცაძე ესაუბრა:

**— ინტერპოლმა კუდ-ის ყოფილი შეფი, დათა ახალაია ძებნილთა სიიდან ამოიღო. ინტერპოლი აცხადებს, ახალაიას საქმეში პოლიტიკური ნიშნები იკვეთებაო. თქვენ როგორ ფიქრობთ, რა მოხდა სინამდვილეში?**

– საერთოდ, ინტერპოლს აქვს თავისი კანონები და წესდება. ჯერ ერთი, ინტერპოლი ძებნის გამოცხადებაზე ყოველთვის ძალიან სერიოზულ დასაბუთებას ითხოვს, მაგრამ შემდეგ, რაც დრო გადის, ამ ძებნის გამოცხადების ინიციატორებისგან თხოულობს დამატებით მასალებს. აქ მუშაობს ორივე მხარის იურიდიული რესურსი და რომელი უფრო დამაჯერებელი იქნება ინტერპოლისთვის, ამაშია საქმე, ვინაიდან როდესაც ინტერპოლს აარსებდნენ, მის წესდებაში მთავარი საფრთხე, რაზეც დისკუსიები, კამათი მიმდინარეობდა, განსაკუთრებით ამერიკელების მხრიდან – იყო შემდეგი: ინტერპოლი არ უნდა იქცეს სახელმწიფოებრივი შურისძიების იარაღად. თუ ოდნავი ეჭვი შეექმნა ინტერპოლს, სისხლის სამართლის სპეციალისტებს, რომ ეს არის პოლიტიკური შურისძიების მოტივაცია, მორჩა, გათავებულია უკვე საქმე. პრინციპი ასეთია: ყოველი ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ მუშაობს.

**— ჩვენ კი ვიცით, ახალაია რასაც სჩადიოდა, მაგრამ თქვენი აზრით, რა მოხდა, რატომ ამოიღეს ძებნილების სიიდან?**

– ქართული სამართალდამცავი ორგანოების ბრალია, რასაკვირველია. ვისი ბრალი იყო, კეზერაშვილი რომ გაამართლა საფრანგეთის სასამართლომ და ეს პროცესი რომ შოუდ იქცა? ამ პროცესის ჩანაწერები ვნახე და მე შემრცხვა უბრალოდ – როდესაც კეზერაშვილის ადვოკატი უსვამდა რაღაც კითხვებს აქაურ პროკურორს (5-6 ასეთი კითხვა დაუსვა) და პასუხად მიიღო, – მე საქმის კურსში არ ვარ, დავრეკავ თბილისში, ვიკითხავ და მერე გეტყვიო და ამაზე დარბაზში სიცილი იყო. სუსტი სამართლებრივი ბაზაა ჩვენთან, ამიტომ ეს ამბავი ჩემთვის არცაა გასაკვირი... ოთხი წელი არ ეყო ჩვენს ხელისუფლებას იმისთვის, დასავლეთი დაერწმუნებინა, რომ აქ არანაირი პოლიტიკური შურისძიება არ არის...

**— პარტია „ქართული ოცნება“ მის ყოფილ თავმჯდომარე ირაკლი ღარიბაშვილთან კონსულტაციებს მართავს. თუ ღარიბაშვილი ხელისუფლებაში დაბრუნდა, რა შეიცვლება ამით ქართულ პოლიტიკაში?**

– ამით შეიცვლება „ოცნებისადმი“ დამოკიდებულება როგორც საერთაშორისო წრეებში, ისე მოსახლეობაში, ვინაიდან ეს არ იქნება სერიოზული და სოლიდური ნაბიჯი. ეს არის მხოლოდ ერთი რამის – საკადრო ქაოსის მაუწყებელი. ჯერ ერთი, მე ვფიქრობ, ღარიბაშვილისთვის აღმასრულებელი მდივნის, ირაკლი კობახიძის ასეთი განცხადება შეურაცხმყოფელი უნდა იყოს, რადგან კობახიძე დღეს არ არის ის დონე, რომ მან ღარიბაშვილის დაბრუნება-არდაბრუნებაზე განცხადებები აკეთოს. არსებობს იგივე რანგთა ტაბელი, ეთიკა, თავაზიანობა, ჯენტლმენური საქციელი... ეს კაცი ჯერ კიდევ გუშინ პრემიერი იყო და კობახიძე სულ სხვა დონეა. გარდა მაგისა, არ შეიძლება საზოგადოების ასე აბუჩად აგდება – კაციშვილმა არ იცის, რატომ მოხსნეს ღარიბაშვილი და კაციშვილმა არ იცის, რატომ ეპატიჟებიან ისევ უკან, ხელისუფლებაში. პირველ შემთხვევაშიც მე და თქვენ უნდა გვემკითხავა, ჩვენი მოსაზრებები თუ ვერსიები გაგვეხმაურებინა და ახლაც ამ დღეში ვართ. დღესაც მიკვირს, როგორ დასთანხმდა ღარიბაშვილი, განეცხადებინა, – უნდა იცოდე, როდის მოდიხარ და როდის უნდა წახვიდეო. ეს შეიძლება გააკეთოს პოლიტიკურმა მოღვაწემ, რომელიც 10-15 წელია ხელისუფლების სათავეშია.

> **„ღარიბაშვილისთვის, ირაკლი კობახიძის ასეთი განცხადება შეურაცხმყოფელი უნდა იყოს, რადგან კობახიძე დღეს არ არის ის დონე, რომ მან ღარიბაშვილის დაბრუნება-არდაბრუნებაზე განცხადებები აკეთოს. არსებობს იგივე რანგთა ტაბელი, ეთიკა, თავაზიანობა, ჯენტლმენური საქციელი... ეს კაცი ჯერ კიდევ გუშინ პრემიერი იყო და კობახიძე სულ სხვა დონეა. გარდა მაგისა, არ შეიძლება საზოგადოების ასე აბუჩად აგდება — კაციშვილმა არ იცის, რატომ მოხსნეს ღარიბაშვილი და კაციშვილმა არ იცის, რატომ ეპატიჟებიან ისევ უკან, ხელისუფლებაში...“**

**— 10-15 წელი არა, მაგრამ ბიძინა ივანიშვილი მოიქცა მასე და ღარიბაშვილმაც ხომ არ მიბაძა მას, ერთგულების ამბავში?**

– (იცინის) ბიძინა ივანიშვილმა სულ სხვა მოტივით გააკეთა მსგავსი განცხადება წასვლაზე, – მე ხომ თავიდანვე ვთქვი, მალე წავალო? მაგრამ ღარიბაშვილს თავიდანვე არ უთქვამს, ერთი ან ორი წლით მოვდივარ და მერე წავალო. ჩემი პირადი აზრია, რომ ივანიშვილს თვალსა და ხელს შუა შემოეფცქვნა ერთგული ხალხი, ღარიბაშვილი კი, ასე თუ ისე, მაგის ერთგულია. ერთი სიტყვით, რა იყო ღარიბაშვილის გადაყენების რეალური მიზეზი, ამას ჩვენ ვერასდროს გავიგებთ, ისევე, როგორც ვერ გავიგებთ, რა გახდება მისი დაბრუნების მიზეზი, თუ ბრუნდება. ისიც საინტერესოა, რა თანამდებობაზე შეიძლება დაბრუნდეს? პირველ ნომრად შეიძლება ჩაუდგეს „ქართულ ოცნებას“? ჩემი აზრით, ერთადერთი, რაც მისთვის შეურაცხმყოფელი არ იქნება, ეს პირველი ნომრობაა, მისი სრული პოლიტიკური რეალიზაციის თვალსაზრისით. კი, ივანიშვილი უკვე მიხვდა, რომ კოალიციიდან ისე არავის ენდობა, სიას პირველ ნომრად ჩაუყენოს და ეს უნდა იყოს 100 პროცენტით ივანიშვილის ერთგული, ისეთი, როგორიც ღარიბაშვილია და რომელიც, ჩემი აზრით, უსამართლოდ მოხსნეს, მაგრამ ამის მიუხედავად, ერთი სიტყვაც არ დასცდენია აუგი ივანიშვილის მისამართით. ამიტომ ერთადერთი შეთავაზება, რაც შეიძლება იყოს ისეთი, რომ ღარიბაშვილს არ შერცხვეს მისი მიღება – ეს იქნება პირველი ნომერი სიაში და ალბათ, ამაზეა საუბარი და ამიტომაც გააკეთა ეს განცხადება იმ ადამიანმა, ვინც ამ სიების ტექნიკური შემსრულებელია. კიდევ სხვა თემაა, ღარიბაშვილის დაბრუნებას როგორ შეაფასებენ ევროპული საკადრო პოლიტიკის წიაღში გაზრდილი პოლიტიკოსები – საელჩოების წარმომადგენლები, ევროპელი მეთვალყურეები, სხვები და სხვები... ისინი შეაფასებენ ამას, როგორც არასოლიდურ საქციელს, რადგან არ შეიძლება ადამიანი დღეს შენ გააგდო და ხვალ ისევ დააბრუნო, ეს არის მონარქიული სტილი – შერისხო და მერე შემოირიგო. არ ჯდება ეს ევროპული ფასეულობების წიაღში.

**— „ნაციონალმა“ ნიკა მელიამ განაცხადა, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ხელისუფლებამ თბილისის საარჩევრო ოლქების საზღვრები ერთმანეთში აურია, მაგალითად — გლდანი, ჩუღურეთი და საბურთალო ერთ ოლქად აქციესო. როგორ ფიქრობთ უკვე დაიწყეს გაყალბებისთვის მზადება?**

– კი, ყველაფერი შეიძლება, მაგრამ მე მოტივაცია მაინტერესებს – რატომ ხდება ეს არჩევნების წინ? შეიძლება გათვლა იმაზეა, რომ, რაც შეიძლება ნაკლები ამომრჩეველი მივიდეს საარჩევნო უბნებში. ყველას ხომ არ მოუნდება ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში ხმის მისაცემად წასვლა? ფაქტი იცით, რა არის? როგორც ჩანს, ამ ხელისუფლებას, ჯერ კიდევ ეუხერხულება ქართული, ტრადიციული მეთოდებით დარჩეს ხელისუფლების სათავეში, როგორც რჩებოდა „მოქალაქეთა კავშირი“, შემდეგ უკვე „ნაციონალური მოძრაობა“ – „კარუსელები“, გაყალბებები, გამოქვაბულის მეთოდები და ახლა უფრო ცივილიზებულ გზებს ეძებენ. დღეს მე ეჭვი არ მეპარება, რომ განსაკუთრებით მძიმე დღეში არიან ამ კოალიციის მონაწილე სუბიექტები, რომელთა დამარცხებაზე ივანიშვილი თავს არ მოიკლავს, თუ წავლენ შეიძლება გაუხარდეს კიდეც, მაგრამ ამავე დროს, ივანიშვილი წინ ვერ აღუდგება ამ, თითქოს, კანონის ჩარჩოებში ჩამჯდარ მაქინაციებს. კანონი არ ირღვევა იმით, რომ, ვთქვათ, ხუთი რაიონი გაერთიანდა. საარჩევნო უბანი შორს არის და ადამიანი არჩევნებზე არ წავაო, ამას არც ერთი უცხოელი არ მიიღებს არგუმენტად, რადგან მაგალითად, ახლა ამერიკაში პრაიმერისებია და იუტას შტატში ხალხი სამი საათი იდგა რიგში, რომ ხმა მიეცა ტრამპისთვის თუ ტედ კრუზისთვის. მოგიტრიალდებიან და გეტყვიან, – ბოლოს და ბოლოს, რა დიდი მანძილია გლდანიდან საბურთალომდე, ჩვენთან ხალხი 25 კილომეტრს გადის არჩევნებში ხმის მისაცემადო.

**— მაგრამ ეს ამერიკა არ არის, იქ რომ ვინმეს ირჩევენ, ისიც იციან, რომ გაამარჯვებინებენ და ეს ვიღაცა ხალხს და ქვეყანას მიხედავს. ჩვენთან ხალხს უკვე ყელში ამოუვიდა ეს ხელისუფლება და ბევრისგან მსმენია, რომ არჩევნებზე წასვლას არ აპირებს, მაგრამ ამ ოლქების არევ-დარევა თავისთავად იწვევს ეჭვს.**

– გულწრფელად გეტყვით: ზუსტად 15 წელია, არჩევნებზე არ ვყოფილვარ, ბოლო ორ არჩევნებზე საერთოდ არც მოუტანიათ ჩემთან საარჩევნო ბარათები, არც მე შემიწუხებია თავი და მე თუ ასე ვარ განწყობილი, რიგითი ქსენია დიასახლისი, რომელსაც არაფერი სიკეთე არ ახსოვს და რაც მთავარია, არც ელოდება არანაირ სიკეთეს – ის რატომ წავა არჩევნებზე?

მთავარი იცით, რა არის? როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლისგან არ ისმის ლოგიკური ახსნა, ეს ათასნაირი ფანტაზიის სტიმულს იძლევა, ამიტომ ნუ გვაიძულებენ, თავი ვიჭყლიტოთ და ვიფანტაზიოროთ, გამოვიდნენ და თქვან, რა დგას ამ გადაწყვეტილების უკან. ფაქტი ერთია: „ქართულ ოცნებას“ დღეს ყველა რეალური საბაბი გააჩნია იმისთვის, რომ ეძებოს რაღაც „ორიგინალური“ გზები ხელისუფლებაში დასარჩენად და პრაქტიკულად, რეალურ ვითარებაში წაგებულ არჩევნებში გასამარჯვებლად.

## „ევროპაში ტერაქტები ჩვენთვის ხელსაყრელია! დაე, ამოსძვრეთ სული“ — ვლადიმერ ჟირინოვსკი



რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის ვლადიმერ ჟირინოვსკის თქმით, ევროპაში მომხდარი ტერაქტები რუსეთისთვის მომგებიანია. ამის შესახებ რუსეთის ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ტელეკომპანია „რასიას“ ეთერში განაცხადა.

– რუსეთი ევროპა არ არის. ახლა ტერაქტები ხდება ევროპაში და ყველგან მოხდება! ეს ჩვენთვის ხელსაყრელია! დაე, ამოსძვრეთ სული და დაიხოცონ, – განაცხადა ჟირინოვსკიმ. (ნიუპოსტი)

## სპეცსამსახურებმა ბრიუსელის აეროპორტში მომხდარი ტერაქტის შემსრულებელთა იდენტიფიცირება მოახერხეს



ბრიუსელის აეროპორტში ტერაქტი ბელგიის მოქალაქეებმა, ძმებმა ჰალედ (ზოგი ვერსიით – კალიმი) და იბრაჰიმ ელ-ბაკრაუიებმა განახორციელეს.

როგორც ირკვევა, პოლიციისთვის ძმების ვინაობა კარგა ხნით ადრეც იყო ცნობილი. კერძოდ, ჰალედ ელ-ბაკრაუის ბრიუსელში ბინა ჰქონდა ნაქირავები, რომელიც სამართალდამცველებმა გასულ კვირას შტურმით აიღეს, თუმცა ბოროტმოქმედების შეპყრობა მაშინ ვერ მოხერხდა.

ცნობილია, რომ მიმდინარეობდა მესამე ტერორისტის ძებნის სამუშაოები, რომელიც აეროპორტის სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირა.

„როიტერის“ ინფორმაციით, მესამე ტერორისტი, რომელმაც მიმალვა შეძლო, ნაჯიმ ლააკრუია.

პოლიციის მონაცემებით, ლააკრუი პარიზის ტერაქტების ორგანიზატორებთან კავშირშია მხილებული: მისი დეენ-ემი აღმოჩენილია ბინაში, სადაც პარიზზე თავდასხმის მონაწილეები ცხოვრობდნენ. გარდა ამისა, ცნობილია ისიც, რომ ნაჯიმ ლააკრუი 2015 წლის სექტემბერში უნგრეთს სალაჰ აბდესლამთან ერთად სტუმრობდა, რომელიც საფრანგეთის დედაქალაქში განხორციელებული ტერაქტების სავარაუდო ორგანიზატორია.

P.S. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ სპეცსამსახურებმა ნაჯიმ ლააკრუი ქალაქის დასავლეთ ნაწილში დააკავეს. (novayagazeta.ru)

## აბესაძე: მოსალოდნელი იყო პოლიტიკური პროცესის დაწყება ბაგა-ბაღებში



თბილისის ბაგა-ბაღებში თანამშრომლების განთავისუფლებას „ნაციონალური მოძრაობა“ გამოეხმაურა. საკრებულოს დეპუტატი ირაკლი აბესაძე აცხადებს, რომ ეს არის პოლიტიკური პროცესი და უკავშირდება წინასაარჩევნო პერიოდს.

– დიდი ხანია ვსაუბრობთ, რომ მოსალოდნელი იყო პოლიტიკური პროცესის დაწყება ბაგა-ბაღებში და პროფესიონალი თანამშრომლების, შრომის კოდექსის უხეში დარღვევით, გაყრა, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური აქტივისტების დასაქმების მიზნით. ეს არის მძიმე კანონდარღვევა, რომლისთვისაც ეს ხელისუფლება პასუხს აგებს, როგორც კანონის წინაშე, ასევე, ოქტომბერში არჩევნებზე, – განაცხადა აბესაძემ.

თბილისის რამდენიმე ბაგა-ბაღის დირექტორის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ განცხადება თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა თემურ თორდინავამ 16 მარტს გააკეთა.

მისი განცხადებით, რამდენიმე დირექტორი მოვალეობის არაჯეროვნად ასრულებდა და დირექტორების განთავისუფლების მიზეზი მათზე დაკისრებული ვალდებულებების განმეორებითი დარღვევა გახდა. (news.ge)

## ირაკლი ალასანია — დათა ახალაიაზე ინტერპოლის გადაწყვეტილებაში პროკურატურის არაპროფესიონალიზმი იკვეთება




– დათა ახალაიასთან დაკავშირებით ინტერპოლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში პროკურატურის არაპროფესიონალიზმი იკვეთება, – ამის შესახებ „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ ინტერპოლის გადაწყვეტილების კომენტირებისას აღნიშნა, რომლის თანახმადაც კუდ-ის ყოფილი ხელმძღვანელი დათა ახალაია წითელი ცირკულარით აღარ იძებნება.

– ეს არის ევროპელებისა და საერთაშორისო სამართალდამცავი სტრუქტურების გადაწყვეტილება. ქართულ პროკურატურას შესაბამისი არგუმენტაცია უნდა მიეცა საერთაშორისო პოლიციისთვის. აქ იკვეთება პროკურატურის არაპროფესიონალიზმი, – აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.

დათა ახალაიას მიმართ ინტერპოლმა წითელი ცირკულარით საერთაშორისო ძებნა შეწყვიტა. (ინტერპრესნიუსი)

## კომპანიამ, რომელსაც ოფისიც კი არ გააჩნია, თბილისის მერიის 308-ათასიან ტენდერში გაიმარჯვა

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრი“ თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურს თანხების არამიზნობრივ ხარჯვაში ადანაშაულებს. რაში დახარჯა 308 ათას 111 ლარი საქალაქო სამსახურმა და რით ხსნიან ქალაქის მთავრობაში აღნიშნულის აუცილებლობას?

**„ალიას“ ა/ო „სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის“ დამფუძნებელი, ზვიად კუპრავა ესაუბრა:**



– ხელში მიჭირავს დოკუმენტი, რომელიც გაფორმებულია ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურსა და შპს „ნედს“ შორის.

მოხდა ასეთი რამ – ქალაქის მერიამ 2015 წლის ივნისში შპს „ნედს“ გადაურიცხა 308 ათას 111 ლარი და 24 თეთრი, გულუას ქუჩაზე მდებარე შს სამინისტროს შენობის მხატვრული მინათებისა და შენობის მიმდებარედ მდებარე მემორიალის გარე განათების ქსელის მოსაწყობი სამუშაოებისთვის.

**— და მერე რა არის აქ საეჭვო?**

– ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს არის არამიზნობრივი ხარჯი. ხელშეკრულება არის გაფორმებული 2015 წლის 10 ივნისს. სამინისტროს შენობა კი ისევეა განათებული დღეს, როგორც იყო შარშან და შარშანწინ. ვინმეს ახსოვს ორთაჭალაში მდებარე ჩაბნელებული შს სამინისტროს შენობა? – არავის. შესაბამისად, იქ არანაირი დაქსელვა არ მომხდარა. შესაძლოა, რაიმე ნათურები იყო გადამწვარი და იმ ნათურების გამოცვლა და რეაბილიტაცია მოხდა, მაგრამ თუ ამას 308 ათას 111 ლარი და 24 თეთრი სჭირდებოდა, წარმოუდგენელია! მარტო ერთ შენობაზეა საუბარი, არ დაენანათ და გადაიხადეს!

**— კონკრეტულად რაში რამდენი ლარი დაიხარჯა, თუ გაქვთ მოკვლეული?**

– მაშინ, როცა ერთი ადმინისტრაციული შენობის გასანათებლად გადახდილია ეს თანხა, ლოგიკური კითხვა გაჩნდა - რამდენი ნათურა იქნა შეძენილი და რა ღირებულების იყო თითო ნათურა, როლითაც ეს განათება გაკეთდა.



შესაბამისად, შევეცადეთ, მოგვეძებნა შპს „ნედი“, რომელისგანაც მოვიპოვებდი ამ ინფორმაციას. ორგანიზაცია რეგისტრირებულია მცხეთაში, გამარჯვებაში, სხვაგან კი ვერსად ვერ მოვიძიე. მერე დავადგინე ამ ორგანიზაციის დირექტორის ვინაობა, მოვიპოვე მისი საკონტაქტო ინფორმაცია, დავურეკე და ვუთხარი: არასამთავროო ორგანიზაციიდან ვართ, წერილების ჩაბარება გვინდა და სად მოვიტანოთ-თქო. გვიპასუხა: ამ ეტაპზე ოფისი არ გვაქვს და თუ წერილები გაქვთ, ვაკეში „დავიდოვის“ მაღაზიაში დატოვეთ, მივაკითხავთ და წამოვიღებთო. აი, ასეთი პასუხი გამცა იმ ორგანიზაციის დირექტორმა, რომელმაც რამდენიმე თვის წინ 308-ათასლარიანი ტენდერი მოიგო.

**— რას აპირებთ?**

– ეს არის პროკურატურის თემა. ამით პროკურატურა უნდა დაინტერესდეს. შესაბამისად, მივმართავთ მთავარ პროკურაუტრას. არ არის აქ საუბარი 30, ან 13 ათას ლარზე. კოლოსალურ თანხაზეა საუბარი და გამოიძიონ, რა მოხდა.

გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ აქ არსებობს გარკვეული კორუფციული გარიგება და ერთი შენობის განათების რეაბილიტაცია ვერ დაჯდებოდა ამდენი. ამიტომაც – რამდენად იყო საჭირო შესრულებული სამუშაოებისთვის 308 ათას 111 ლარი და 24 თეთრი, ამის დასაბუთება დეტალურად მოუწევს როგორც ქალაქის მერიას, ასევე, შს სამინიტროს, რომელმაც კარგად იცის, რეალურად რა შეიცვალა ადგილზე.



**— გაქვთ იმედი, რომ ამ საკითხით პროკურატურა დაინტერესდება და რეალურ გამოძიებას აწარმოებს?**

– მოლოდინი, რომ დიდი ენთუზიაზმით მოკიდებს ხელს მთავარი პროკურატურა ამ საკითხს, ნამდვილად არ გვაქვს, თუმცა მუდმივად შევახსენებთ, რომ ხელი მოკიდონ ამ საქმეს. ეს არის ჩვენი ვალდებულება. შესაძლოა, ამის გამო არავინ არ დაიჭირონ, მაგრამ, თუ რეაგირება მოჰყვება ამ თემას, ამის მერე არავის გაუჩნდება იმის სურვილი, რომ მსგავსი რამ ჩაიდინოს.

**ზვიად კუპრავასთან საუბრის შემდეგ, „ალია“ დედაქალაქის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის პრესსამსახურს დაუკავშირდა. გვაინტერესებდა, რით იყო განპირობებული ამ სამუშაოს შესრულების აუცილებლობა და რა კრიტერიუმით მოხდა შპს „ნედის“ შერჩევა.**

„ბატონ ზვიად კუპრავას აქვს უფლება, ჰქონდეს საკუთარი შეხედულება შესრულებულ სამუშაოსთან მიმართებაში; რაც შეეხება თავად სამუშაოს, მხატვრული მინათების მონტაჟის მიზანია დედაქალაქის მასშტაბით არსებულ შენობა-ნაგებობებსა და ბუნებრივ ლანდშაფტზე, ხიდებზე, ისტორიულ ძეგლებზე და ა.შ. ქალაქის იერსახის გაუმჯობესება.

ამის გარდა, გულუას ქუჩა წარმოადგენს დედაქალაქის ამ ნაწილში მნიშვნელოვან სატრანსპორტო კვანძს, სადაც გადაადგილდებიან, როგორც საქართველოს მოქალაქეები, ასევე, დედაქალაქის სტუმრები, ტურისტები.

რაც შეეხება კომპანიის კვალიფიციურობას: კომპანიამ მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში მიიღო მონაწილეობა, სატენდერო პროცედურების დაცვით, გამოვლინდა გამარჯვებულად და შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები, – გვითხრა თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ლაშა ჩხიკვიშვილმა.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## Sky News — მოპოვებულმა დოკუმენტაციამ თვითმკვლელთა 15 დაჯგუფება გამოამჟღავნა

Sky News მიერ მოპოვებული ინფორმაციით, სხვადასხვა ქვეყნის 123 მოქალაქე მზად არის, თვითმკვლელი თავდამსხმელების ჯგუფებს შეუერთდეს და „ისლამურ სახელმწიფოს“ ემსახუროს.

ბრიუსელში განხორციელებული თავდასხმების შემდეგ მოპოვებულმა ათასობით დოკუმენტმა „ისლამური სახელმწიფოს“ „თვითმკვლელთა დაჯგუფების“ არსებობა დაადასტურა. დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ 123 წევრისგან შედგება, რომლებიც მზად არიან, თვითმკვლელი თავდამსხმელები გახდნენ და თავიანთ ქვეყნებში სასტიკი თავდასხმები მოაწყონ.

Sky News-ის მიერ მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით „ისლამური სახელმწიფოს“ წევრები ძირითადად საფრანგეთის, გერმანიის, ტუნისის, ეგვიპტის, ესპანეთისა და ბელგიის მოქალაქეები არიან. დოკუმენტაციის მიხედვით ტერორისტულ ორგანიზაციას სირიაში ორი საწვრთნელი ბაზა აქვს, სადაც მოხალისეები თავდასხმის ხერხებს სწავლობენ.

ექსპერტმა და პროფესორმა ენდრიუ სილკმა განაცხადა, რომ ორგანიზაცია ცდილობს, თვითმკვლელი თავდამსხმელები იმ ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ, სადაც თავდასხმა იგეგმება. სილკმა ორგანიზაციის წევრობის ძირითადი კრიტერიუმები გამოყო.



– შეუძლია თუ არა ადამიანს დასავლეთში მუშაობა? იცის თუ არა ენა? ერგება თუ არა ადგილობრივ კულტურას? არის თუ არა იმ რეგიონიდან, სადაც იგეგმება თავდასხმა და თუ შეძლებს იქ მუშაობას. ეს ორგანიზაციისთვის უფრო მომგებიანია, ვიდრე შუა აღმოსავლეთის მოქალაქის დასავლეთ ევროპაში გაშვება, – აცხადებს ექსპერტი.

ამ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს ბრიუსელის აეროპორტში განხორციელებული თავდასხმის ორგანიზებაში ეჭვმიტანილი ნაჯიმ ლააკრაუი. ლააკრაუი სირიაში 2013 წელს იმყოფებოდა, სადაც „ისლამური სახელმწიფოს“ წვრთნები გაიარა. (euronews.ge)

## „99,9%-ით დარწმუნებული ვარ, რომ ბრიუსელში მომხდარი აფეთქებების უკან რუსეთი დგას. იმიტომ, რომ ეს მისთვის მომგებიანია“



– 99,9%-ით დარწმუნებული ვარ, რომ ბრიუსელში მომხდარი აფეთქებების უკან რუსეთი დგას. იმიტომ, რომ ეს მისთვის მომგებიანია. და მომგებიანია სწორედ დღეს, – ამის შესახებ სოციალურ ქსელში მსოფლიო პოლიტიკის ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვიქტორ შლინჩაკი წერს.

– პირველ რიგში, მას სურდა სავჩენკოს განაჩენიდან ყურადღების გადატანა.

მეორე, ამით მიანიშნა ნატოს (რომლის შტაბ-ბინა სწორედ ბრიუსელშია), რომ რუსეთის სირიიდან წასვლით ყველაფერი მხოლოდ იწყება. ამიტომაც იყო, რომ ალექსეი პუშკოვმა ლატვია ახსენა – რუსეთი მსოფლიოს უმტკიცებს, რომ მისი „კეთილი ნების“ გარეშე ევროპაში მშვიდობა შეუძლებელია. ანუ, მათი ლოგიკით, ყველას უნდა შეეშინდეს და დასხდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან და პუტინთან უნდა შეთანხმდნენ. რაც მიუღებელია.

მესამე, ეს უკრაინის მიმართ ყურადღების მოდუნებაა. იმიტომ, რომ ევროკავშირისთვის შიდა უსაფრთხოება ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე „სადღაც იქ“ ომი.

და აქ კი მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ უკრაინა უკვე ორი წელია, ევროკავშირის საზღვრებს იცავს პირდაპირი შეჭრისა და მუდმივად მოქმედი „ჰიბრიდული ომისგან“, რომელიც პუტინის მიერაა გამოცხადებული. და რომ ჩვენ არ ვართ ის მონეტა, რომლის გაცვლასაც მოსკოვი გარკვეული დათმობების გამო ეცდება (ეკონომიკურის, პოლიტიკურის, ტერიტორიულის), არამედ ვართ ფარი, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში იცავდა ევროკავშირს კრემლის ელიტის უსაზღვრო ამბიციებისგან.

თუ ევროკავშირი ერთხელ მაინც წავა დათმობებზე, პუტინის შეჩერება შეუძლებელი იქნება. იქნება კიდევ ახალი აფეთქებები. (news.ge)

## პოლონეთი ლტოლვილებს არ მიიღებს

პოლონეთის პრემიერ-მინისტრი ბეატა შიდლო აცხადებს, რომ მისი ქვეყანა ევროკავშირის მიერ შემუშავებული სქემის კვოტების მიხედვით გადასანაწილებელ ლტოლვილებს არ მიიღებს. პრემიერის თქმით, წინა ხელისუფლებამ მართალია, გამოაცხადა, რომ რამდენიმე ათას ლტოლვილს მიიღებდა, მაგრამ ეს იყო ნებაყოფლობით საფუძველზე. ამასობაში, პოლონეთის რადიოს ინფორმაციით, გამოკითხვის თანახმად, პოლონელთა 78 პროცენტი ლტოლვილთა მიღების წინააღმდეგია. მათი აზრით, სირიიდან და ერაყიდან ლტოლვილთა მიღება პოლონეთის უშიშროებას საფრთხის ქვეშ დააყენებს. (euronews.ge)

## Die Welt – ევროკომისიას აეროპორტების შესასვლელში კონტროლის დაწესება სურს



ევროკომისიას ბრიუსელის ტერაქტების შემდეგ აეროპორტების შესასვლელში კონტროლის დაწესება სურს. ამის შესახებ გერმანული გამოცემა Die Welt-ი ევროკავშირის წყაროზე დაყრდნობით წერს.

– ეს საჭიროა, ვინაიდან ყველა ვიზიტორი აეროპორტში შესვლამდე შემოწმდება. ინდივიდუალური შემოწმება სირთულეებთან და ხარჯებთან იქნება დაკავშირებული, მაგრამ უსაფრთხოების მხრივ ეს დადებითი შედეგის მომტანი იქნება, – ამბობს წყარო.

გერმანული გამოცემის ინფორმაციით, მსგავსი გამოცდილება უკვე აქვს დომოდედოვოს აეროპორტს, სადაც 2011 წლის ტერორისტული თავდასხმის შემდეგ მსგავსი კონტროლი დაწესდა.

ევროკომისიის წყაროს განმარტებით, მეტროს სადგურებში მსგავსი უსაფრთხოების უზრუნველყოფა გაცილებით რთულია.

– რისკის ნულზე დაყვანა მეტროებში შეუძლებელია, – აღნიშნავს წყარო. (ინტერპრესნიუსი)

## ონლაინკრედიტის გამო ახალგაზრდა მამაკაცმა თვითმკვლელობა სცადა




დიდუბის რაიონის გამგეობის პრესსამსახურის წარმომადგენელი სალომე ფაშტიანი „ფეისბუქში“ საინტერესო ისტორიის შესახებ წერს:

– გუშინ ჩემი თანამშრომელი გოგონები სამსახურიდან სახლში ფეხით ბრუნდებოდნენ. დილმის ხიდზე შენიშნეს ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც წყალში ხტებოდა.

მათ ამ ბიჭის გადარჩენა შეძლეს და რა თქმა უნდა, მიზეზიც ჰკითხეს. აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდა მამაკაცს ონლაინკრედიტის დავალიანება ჰქონდა, რომლის გადახდასაც ვერ ახერხებდა.

ერთ-ერთმა ჩემმა თანამშრომელმა თავის მოძღვართან მიიყვანა, რათა ბიჭი დაემშვიდებინა და აეხსნა, რომ მსგავსი საქციელით პრობლემას ვერ მოაგვარებდა.

დღეს ჩემმა კიდევ ერთმა თანამშრომელმა ამ ბიჭს სამსახური დააწყებინა...

აი, ასეთი თანამშრომლები მყავს მე! – წერს სალომე ფაშტიანი. (ინფო9)

## რისთვის ბრუნდება პოლიტიკაში და ვისზე იძიებს შურს ირაკლი ღარიბაშვილი?



ნინო სამხარაძე
599 71-14-22



ირაკლი ღარიბაშვილი პოლიტიკაში ბრუნდება? კითხვა, რამაც „ატალახებულ“ ქართულ პოლიტიკაში ინტრიგა გააჩინა. ვრცელდება ინფორმაცია, რომ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ ყოფილ თავმჯდომარესთან, ექსპრემიერ ირაკლი ღარიბაშვილთან კონსულტაციებს გამართავს. ამის შესახებ პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ იმ კითხვის საპასუხოდ განაცხადა, დაესწრება თუ არა ღარიბაშვილი „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ აპრილში დაგეგმილ ყრილობას და რა ფორმით მიიღებს მონაწილეობას პარტიის მომავალ საქმიანობაში: „ჩვენ აუცილებლად გვექნება კონსულტაციები და ამ კონსულტაციების შედეგად გაირკვევა, როგორი იქნება ყოფილი პრემიერისა და თავმჯდომარის ჩართულობა ჩვენს სამომავლო საქმიანობაში...“ 23 მარტს ეს გახლდათ ტოპ-ნიუსი, რამაც ღარიბაშვილის ოპონენტებში, შესაძლოა, შეშფოთება გააჩინა. ფაქტია, რომ ღარიბაშვილს ბევრი მტერი ჰყავს როგორც კოალიციაში, ასევე მის გარეთ და მისი პოლიტიკაში დაბრუნების განაცხადი ძალიან ბევრს ალბათ, არ სიამოვნებს, განსაკუთრებით „რესპუბლიკურ პარტიას“ და აღმასრულებელ ხელისუფლებაში იმ ვიცე-პრემიერებსა თუ მინისტრებს, ვისთანაც ირაკლი ღარიბაშვილს თავის დროზე ფარული კონფლიქტი ჰქონდა კონკრეტულ თემებთან დაკავშირებით.

ირაკლი კობახიძის განცხადების მიუხედავად, „ალიამ“ გადაამოწმა, რამდენად რეალურია ეს ინფორმაცია. სანდო წყარო აცხადებს, რომ ღარიბაშვილი პოლიტიკაში დაბრუნების საკითხზე მართლაც ფიქრობს, თუმცა, საბოლოო ჯერჯერობით გადაწყვეტილება არ მიულია. თუმცა არაფერია გამორიცხული და მიუხედავად იმისა, რომ ის პარტიის თავმჯდომარეობიდან გადადგა და ექსპერტები ამ საკითხზე აცხადებენ, რომ საქმე გვაქვს შეუსაბამო ვითარებასთან, თუკი ღარიბაშვილი აპირებდა პოლიტიკაში დაბრუნებას, მაშინ რატომ გადადგა პარტიის თავმჯდომარის პოსტიდან, ამაზე შესაძლოა, ერთი პასუხი არსებობდეს, არავინ იცის, ირაკლი ღარიბაშვილი პარტიაში რა ფუნქციას შეასრულებს.

ფაქტია, პორნოსკანდალების ფონზე ძალიან დისკრედიტებულად მოჩანს კოალიცია „ქართული ოცნება“. გარდა ამისა, ამ თემამ გადაფარა კოალიციაში არსებული დაპირისპირება „რესპუბლიკელებსა“ და „მრეწველებს“ შორის. ფაქტობრივად, გოგი თოფაძისა და თინა ხიდაშელის სკანდალმა პერმანენტული ხასიათი მიიღო, მათ გადალახეს ყველა წითელი ხაზი, დაძაბულობის პიკზე კი საზოგადოებამ იხილა მუქარები, რაზეც არა მარტო ქართული პრესა, არამედ მსოფლიო საუბრობს და ვრცელ რეპორტაჟებს უძღვნის, თუ რა პოლიტიკურ პორნოსკანდალებს აქვს ადგილი საქართველოში. მუქარის ტექსტში მითითებული იყო, რომ მოქმედმა პოლიტიკოსებმა, მათ შორის თავდაცვისა და განათლების მინისტრებმა თანამდებობები 31 მარტამდე უნდა დატოვონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათზეც გასაჯაროვდება კომპრომატები. 31 მარტამდე არც ისე დიდი დროა, ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ერთი კი ცხადია, კოალიცია „ქართული ოცნება“ არჩევნებზე, ალბათ, ისეთი ფორმატით გამოვა, რაც ძალიან ბევრისთვის მოულოდნელი იქნება. ამის მიუხედავად, საეჭვოა, „გადაგდებულმა“ მოსახლეობამ ისევ „ერთი ამოსუნთქვით“ მისცეს მათ ხმა.

რა მოხდება, თუკი ირაკლი ღარიბაშვილი პოლიტიკაში დაბრუნდება და არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს? ვის შეიძლება არ აწყობდეს მისი პოლიტიკური რეინკარნაცია? „რესპუბლიკელებისთვის“ ეს იქნება პირდაპირი გზავნილი, რომ ერთ ბომონდშე ორი და მეტი ლიდერი ვერ „გაიჯეჯილებს“ და ისინი არავითარ შემთხვევაში არ შეეგუებიან ღარიბაშვილის კოალიციაში დაბრუნებას, რადგან ყოფილ პრემიერს, მინიმუმ პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე ექნება მას ამბიცია. შესაბამისად, არის ვარაუდი, რომ თუ ბიძინა ივანიშვილის ინტერესია, რომ „რესპუბლიკელები“ წინასაარჩევნოდ თამაშგარე მდგომარეობაში დატოვოს და თავად ის ვერაფერს უხერხებს, გამოსავალი მოძებნილია ღარიბაშვილის დიდ პოლიტიკაში დაბრუნებით.

ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე „ალიასთან“ საუბარში აცხადებს: მივესალმები ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას, თავის დროზე ღარიბაშვილის პოლიტიკიდან და გუნდიდან წასვლა იყო ნაადრევი, ის არის ახალგაზრდა, რომელსაც აქვს ძალიან დიდი რესურსი, ცოდნა, გამოცდილება საიმისოდ, რომ ბევრი კარგი რამ აკეთოს. მივესალმები მის დაბრუნებას, თუმცა დეტალები ჩემთვის უცნობია. ჯერჯერობით პარტიული შეკრება არ გამართულა, პოლიტსაბჭოს ფორმატშიც არ განხილულა. კითხვაზე, რა პოზიცია ექნებათ „რესპუბლიკელებს“ ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკაში დაბრუნებაზე, მანანა კობახიძე აცხადებს, რომ ეს არის პარტია „ქართული ოცნების“ გადასაწყვეტი და ამ საკითხს „რესპუბლიკელებს“ არ ვუთანხმებთო.

იყო თუ არა ბიძინა ივანიშვილთან ამ თემაზე საუბარი? ვიცე-სპიკერი აცხადებს, რომ ამ საკითხზე მას ინფორმაცია არ აქვს. ყველაფერი კი პარტიის ყრილობაზე გაირკვევა, რომელიც აპრილშია დაგეგმილი. ღარიბაშვილის აქტიურ პოლიტიკაში მონაწილეობა ნიშნავს პარტიის არჩევით ორგანოში მის დასახელებას, რაც ყრილობაზე გაირკვევა. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი საკადრო საკითხი ყრილობაზე უნდა გადაწყდეს.

პარტია „ქართული ოცნების“ წევრები ღარიბაშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას დადებითად აფასებენ, განსაკუთრებით ის კატეგორია, ვინც ეროვნული ღირებულებების დაცვაზეა ორიენტირებული. საინტერესოა, როგორ ხასიათზე დადგებიან ე.წ. ლიბერალური ფრთის წარმომადგენლები, მაგალითად, ბატონი ლევან ბერძენიშვილი, რომელმაც ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომის შემდეგ განაცხადა, რომ არ აინტერესებს ამ ადამიანის ბედი და მომავალი, საერთოდ ის, თუ როგორ იქნება ღარიბაშვილი შემდგომში... ხალხურად რომ ვთქვათ, ბერძენიშვილმა განაცხადა, სულ ფეხებზე მკიდია, ღარიბაშვილი სად და როგორ იქნებაო. პრინციპში, ეს გასაკვირი სულაც არ არის. იყო დრო, როცა იგივე ლევან ბერძენიშვილი ივანიშვილს ფულის ტომარას უწოდებდა და მის გვარზე ძალიან ბევრს ღადაობდა, – მამამისის საფლავის ქვას ივანაშვილი აწერია და თვითონ როგორ არის ივანიშვილიო. თუმცა, მას შემდეგ, რაც ბიძინამ ღირსად ჩათვალა, რომ „რესპუბლიკური პარტია“ კოალიციაში შეეყვანა, ბერძენიშვილმა და მისმა გარემოცვამ ღიმილიანი ნიღბები მოირგეს, საჯაროდ აქებენ, კულუარებში კი დასცინიან, სოფლიდან გოდრით ჩამოსულმა თავის ჭკუაზე როგორ უნდა გვატაროსო.

იგივე „ლიბერასტები“ დასავლეთში არაერთ შეხვედრაზე უცხოელ კოლეგებს უმტკიცებდნენ, რომ ივანიშვილი არის რუსული პროექტი, ხოლო ღარიბაშვილი – მისი ხელისბიჭი, რომელიც ივანიშვილს ყველა ხუშტურს უსრულებს. დასავლელ კოლეგებს არწმუნებდნენ, რომ ლიბერალური ძალებისთვის ღარიბაშვილის პრემიერმინისტრობა დამღუპველი იქნებოდა და მისი პრემიერობის დროს ქართველი ხალხისთვის მგრძნობიარე საკითხების საკანონმდებლო დონეზე გატანა ვერ მოხდებოდა. ღარიბაშვილს ჰქონდა ინფორმაცია, რას გეგმავდნენ საკანონმდებლო დონეზე ლიბერალური ძალები და ამიტომ იყო, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის შემდეგ ღარიბაშვილმა გააკეთა მკვეთრი განცხადება, რომ კონსტიტუციაში ჩაწერილიყო, რომ ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის ერთობა.

ვნახეთ, ამ თემას რა დაძაბულობა მოჰყვა. მას შემდეგ, რაც ღარიბაშვილის იდეებს მიმდევრები გამოუჩნდნენ და პარლამენტში კანონპროექტი შევიდა, აღმოჩნდა, რომ პარლამენტის მხოლოდ 81 დეპუტატია თანახმა, კენჭი ეყაროს ცვლილებებს, ხოლო „რესპუბლიკელები“ და კოალიციის ყველა სხვა დანარჩენი წევრები, სასტიკ უარზე დგანან. კონსტიტუციაში ცვლილებების განხორციელებას სჭირდება საკონსტიტუციო უმრავლესობა, მინიმუმ 113 ხმა, რაც, რა თქმა უნდა, „ქართულ ოცნებას“ არ გააჩნია და არც ის ძალები აძლევენ ხმას, ვინც ამ კოალიციის ყველაზე პრეტენზიული სუბიექტები არიან, „რესპუბლიკელების“ სახით. საინტერესოა, მართლა დაბრუნდება თუ არა ღარიბაშვილი პოლიტიკაში, თუმცა, რაც არ უნდა ილაპარაკოს ივანიშვილმა, ყველაფერი მაინც მის ნება-სურვილზეა დამოკიდებული. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ დამშეულ ხალხს ივანიშვილის სურვილები, ახირებები და შეუსრულებელი დაპირებები უკვე ყელში ამოუვიდა.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ტერორისტის ანდერძი“




ბელგიის პოლიციამ ბრიუსელის სკარბეკში მაქს როზის ქუჩაზე ჩხრეკისას თვითმკვლელი ტერორისტის იბრაჰიმ ელ-ბაკრაუის წერილი-ანდერძი აღმოაჩინა.

ბელგიის სამეფოს პროკურორის ფედერიკ ვან ლევის განცხადებით, ელ-ბაკრაუის წერს, რომ მას ეჩქარება და მოუწია გაქცევა და არ იცის, რა გააკეთოს, რომ მას ყველგან ეძებენ და თავს უსაფრთხოდ არ გრძნობს და თუ ის ერთ ადგილას არ იქნება, დიდი რისკია, რომ ციხეში მოხვდეს.

იბრაჰიმ ელ-ბაკრაუის ერთ-ერთია, რომელმაც ბრიუსელის აეროპორტში 22 მარტს შაჰიდის ქამრით „ამერიკან ეარლაინის“ სარეგისტრაციო მაგიდასთან თავი აიფეთქა. მასთან ერთად თავი მისმა ძმამაც აიფეთქა. ძმებს ბრიუსელის კომუნა ფორესში ყალბი დოკუმენტებით სახლი ჰქონდათ ნაქირავები. ეს სწორედ ის კომუნაა, სადაც 18 მარტს პოლიციამ ტერორისტი სალაჰ აბდესლანი დააკავა. (პირველი რადიო)

## სახელმწიფო დეპარტამენტი ევროპას ახალი ტერაქტების შესახებ აფრთხილებს




აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი მოსახლეობას ევროპაში შესაძლო ახალი ტერორისტული თავდასხმების შესახებ აფრთხილებს და მოუწოდებს, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სიფრთხილე გამოიჩინონ.

აშშ-ის დეპარტამენტმა საკუთარი მოქალაქეები გააფრთხილა, რომ ევროკავშირის ტერიტორიაზე ტერორისტები მორიგ აფეთქებებს გეგმავენ.

შეგახსენებთ, რომ ბრიუსელის აეროპორტსა და მეტროსადგურებში მომხდარ აფეთქებებს, 30-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ხოლო 100-ზე მეტი დაშავდა.

ამასთანავე, სოციალურ ქსელებში „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ გავრცელებული ახალი მუქარა გავრცელდა, სადაც აღნიშნულია, რომ ტერაქტების საფრთხე გერმანიას ემუქრება. (pia.ge)

## დავით ლორთქიფანიძე უსაფრთხოების სამსახურებისთვის დაფინანსების გაზრდას არ გამორიცხავს

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ დავით ლორთქიფანიძის განცხადებით, სახელმწიფო ყველა ზომას მიმართავს, რომ ტერორიზმთან დაკავშირებით საქართველოს მოსახლეობა საშიშროების წინაშე არ აღმოჩნდეს.

დეპუტატის თქმით, ტერორიზმს საზღვრები არ აქვს, აქედან გამომდინარე, ლორთქიფანიძის განმარტებით, ფრთხილად უნდა იყოს როგორც მოსახლეობა, ასევე, შესაბამისი სამსახურები.

– ტერორიზმს საზღვრები არ აქვს, მით უფრო, როდესაც საქართველოს საზღვრები არ არის ჩაკეტილი, ამიტომ გარკვეული სიფრთხილე ყველას გვმართებს. ყველა ზომა უნდა იქნას მიღებული, თუკი მოსახლეობა რაიმე საეჭვოს შენიშნავს. პირველ რიგში, პასუხისმგებლობა იმ სამსახურებს ეკისრებათ, რომელთა ვალდებულებაშიც შედის ეს. ჩემი ინფორმაციით, ჩვენი სამსახურები მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მაქსიმუმს აკეთებენ, – აცხადებს ლორთქიფანიძე.

დეპუტატი არ გამორიცხავს, რომ საჭიროების შემთხვევაში, უსაფრთხოების სამსახურებს დაფინანსება გაეზარდოთ.

– არ გამოვრიცხავ, რომ, თუ საჭირო გახდება, შესაბამის სამსახურებს ფინანსური რესურსი დაემატოს. ვფიქრობ, პარლამენტი იმსჯელებს და ფინანსური წყაროების გაზრდასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილებას მიიღებს, – აღნიშნა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა. (pia.ge)

## დიმიტრი ხუნდაძე — ირაკლი ღარიბაშვილი საზოგადოებაში პოზიტიური სახეა და გასაკვირი არ არის, კონკრეტული შეთავაზება მიიღოს



პარტია „ქართული ოცნების“ წევრი დეპუტატებისთვის უცნობია, რა ფორმით შეიძლება ჩაერთოს ყოფილი პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი პარტიის საქმიანობაში, თუმცა ასეთ შესაძლო გადაწყვეტილებას მიესალმებიან და ამბობენ, რომ ღარიბაშვილის გამოცდილება და რესურსი პარტიას წაადგება.

როგორც დეპუტატი დიმიტრი ხუნდაძე აცხადებს, თუკი ღარიბაშვილს პარტია „ქართულ ოცნებაში“ აქტიურ, გამოკვეთილ პოზიციაზე ვიხილავთ, ამაში გასაკვირი არაფერია.

– ის არის ახალგაზრდა, გამოცდილი კაცი. საკმაოდ დიდი გამოცდილება მიიღო პრემიერის თანამდებობაზე ყოფნის დროს. ირაკლი საზოგადოებაში პოზიტიური სახეა და არის ჩვენი გუნდის წევრი, ამიტომ სულაც არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ მან რაიმე კონკრეტული შეთავაზება მიიღოს, – აცხადებს დიმიტრი ხუნდაძე.

უმრავლესობის კიდევ ერთი წევრის, ომარ ნიშნიანიძის თქმით კი, ირაკლი ღარიბაშვილის რესურსი დასაკარგი არ არის.

– მას აქვს სერიოზული რესურსი, გააძლიეროს „ქართული ოცნება“ თავისი განვლილი გზით, გამოცდილებითა და ავტორიტეტით. მე ასეთ ნაბიჯს მხოლოდ მივესალმები, – აცხადებს ნიშნიანიძე. (ინტერპრესნიუსი)

## თამაზ მეჭიაური — იმასაც მივესალმები, თუ ირაკლი ღარიბაშვილი პოლიტიკაში დამოუკიდებლად ჩაერთვება

– იმასაც მივესალმები, თუკი ირაკლი ღარიბაშვილი პოლიტიკაში დამოუკიდებლად ჩაერთვება და „ქართული ოცნებისგან“ დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებს, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატი თამაზ მეჭიაური აცხადებს.

მეჭიაური დარწმუნებულია, რომ ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკაში ჩართვა, ზოგადად, ქართული პოლიტიკისთვის იქნება სასარგებლო.

– ირაკლი ახალგაზრდა კაცია და რატომ უნდა გავიდეს პენსიაზე ასე ნაადრევად?! მასზე ორჯერ დიდი ვარ და პენსიაში გასვლას ჯერ მე არ ვაპირებ. ამიტომ იმასაც მივესალმები, თუკი ირაკლი ღარიბაშვილი პოლიტიკაში დამოუკიდებლად ჩაერთვება, – აცხადებს მეჭიაური.

ამასთანავე, მეჭიაური ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ქართულ ოცნებას“ არ აქვს იმის ფუფუნების უფლება, უარი თქვას პოლიტიკურ ცხოვრებაში ისეთი რეიტინგული პიროვნების მონაწილეობაზე, როგორიც არის ირაკლი ღარიბაშვილი. (ინტერპრესნიუსი)

## ივანიშვილის დაკარგული მილიონების საიდუმლო





„დაკარგული მილიონების საიდუმლო“ – ამ სათაურით აქვეყნებს გერმანული გამოცემა Handelsblatt სტატიას, რომელიც Credit Suisse-ის ბანკირის მიერ ბიძინა ივანიშვილისთვის მიყენებულ ზარალს ეხება.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, Credit Suisse-ის ბანკირმა აღმოსავლეთევროპელ კლიენტს ასობით მილიონი დოლარის ზარალი მიაყენა, რაც ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი საინვესტიციო სკანდალია შვეიცარიული ბანკის ბოლოდროინდელ ისტორიაში.

– ეს კლიენტი ბიძინა ივანიშვილი გახლავთ, მილიარდერი ბიზნესმენი და საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი. საქმე, ალბათ, ყველაზე დიდი საინვესტიციო სკანდალია შვეიცარიის ბოლო წლების ისტორიაში. ჟენევის პროკურატურამ ივანიშვილისთვის მიყენებული ზარალი, სულ მცირე, 100 მილიონ შვეიცარიულ ფრანკად (დაახლოებით 103 მილიონ აშშ დოლარად) შეაფასა, – წერს გამოცემა.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, Credit Suisse-ის ბანკის წინააღმდეგ სარჩელი ბიძინა ივანიშვილთან ერთად ორმა რუსმა ბიზნესმენმაც შეიტანა. მთავარი ეჭვმიტანილი საქმეში ფაბრიკ ლეკომპტეა, რომელიც ამჟამად პატიმრობაშია, თუმცა უახლოეს პერიოდში მიყენებული ზარალის ანაზღაურება შესაძლოა, თავად ბანკსაც მოუწიოს.

სტატიის თანახმად, ბევრი რამ კვლავაც გაურკვეველია. თუმცა ცნობილია, რომ ფრანგი ფაბრიკ ლეკომპტე Credit Suisse-ში სამუშაოდ „ივ როშედან" 2005 წელს გადაბარგდა. ბანკში ის პასუხისმგებელი იყო მდიდარ კლიენტებზე პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან, რომელთათვისაც ჟენევა სასურველი საბანკო ლოკაცია იყო.

– 2006 წელს ფინანსურმა მრჩეველმა თავის ორ კლიენტის პორტფელისთვის უძრავი ქონების დეველოპერი კომპანია Meinl European Land-ის აქციების დამატება დაიწყო. ამ მიზნით მან შექმნა დამხმარე ანგარიშები ისე, რომ კლიენტებმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ და წარმოდგენა არ ჰქონდათ ამ შენაძენების თაობაზე, – აღნიშნავს ადვოკატი ჯორჯიო კამპა.

სტატიის თანახმად, ფინანსური კრიზისის გამო Meinl European Land-ის აქციები დაეცა, თუმცა ამ დანაკარგის აღიარების ნაცვლად, ლეკომპტემ დანაკლისის შევსება ბიძინა ივანიშვილის კუთვნილი ფულით დაიწყო.

– ფინანსურმა მრჩეველმა სხვა მომხმარებელთა ანგარიშებზე დაახლოებით 100 მილიონი ფრანკი გადარიცხა. ამ ტრანზაქციის შესახებ ჩემმა კლიენტმა არაფერი იცოდა, – აღნიშნავს ბიძინა ივანიშვილის ადვოკატი მარკ ჰენზელინი.

სტატიის თანახმად, საქმესთან დაახლოებულმა პირებმა, ასევე, განაცხადეს, რომ ლეკომპტემ თავისი კლიენტების აქტივები გირაოს სახით გამოიყენა.

საბოლოოდ ლეკომპტეს მაქინაციები მაშინ გაირკვა, როდესაც მან ინვესტიცია მოახდინა მცირე ზომის ამერიკულ ბიოტექნოლოგიურ კომპანია Raptor Pharmaceuticals-ში.

– გასული წლის სექტემბერში კომპანია გაკოტრდა, რის შედეგადაც ლეკომპტეს კლიენტებს მილიონობით თანხის გადახდა მოუწიათ. თუმცა, ლეკომპტეს ადვოკატი უარყოფდა და აცხადებდა, რომ ინვესტიციები არ განხორციელდებოდა ისე, რომ ბანკირის კლიენტებს ამის შესახებ არაფერი სცოდნოდათ, – ნათქვამია სტატიაში.

ამასთანავე, სტატიაში ასევე აღნიშნულია, რომ არსებობს რამდენიმე პასუხგაუცემელი შეკითხვა. როგორც Handelsblatt-სთვის გახდა ცნობილი, არსებობს მიმოწერა ლეკომპტესა და ივანიშვილის პერსონალურ ფინანსურ მრჩეველს შორის და ეს ელექტრონული მიმოწერა გამოცემამ თავად ნახა.

– მიმოწერაში მხარეები 2013 და 2014 წლებში Raptor-ის შესახებ საქმეს განიხილავდნენ. მიმოწერა Gmail-სა და Hotmail-იდან ხდებოდა და არა Credit Suisse-ის სერვერით, რაც ბანკის წესების დარღვევაა. მარტო ეს ფაქტიც კი საგანგაშო სიგნალი უნდა ყოფილიყო კლიენტისთვის, – ნათქვამია სტატიაში.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, აშშ-ის ბირჟებისა და ფასიანი ქაღალდების კომისიის დოკუმენტების თანახმად, 2014 წლის მაისისთვის ბიძინა ივანიშვილი, ფორმალურად თუ არა ფორმალურად, Raptor-ის 22,29 პროცენტს ფლობდა.

– თუმცა, ივანიშვილის ადვოკატი ირწმუნება, რომ ქართველ მილიარდერს წარმოდგენა არ ჰქონდა, რომ Raptor-ში ამხელა ინვესტიცია გააჩნდა. მათი თქმით, ლეკომპტემ აქციები დერივატივებისა და სხვა ინსტრუმენტების მეშვეობით შეიძინა საკომისიოს მიღების მცდელობის მიზნით, – ნათქვამია სტატიაში.

ლეკომპტეს ადვოკატის განცხადებით, თითქმის დაუჯერებელია, რომ ბიძინა ივანიშვილს არ სცოდნოდა, რა ხდებოდა მის ანგარიშებზე.

– ბევრი შეკითხვა რჩება პასუხის გარეშე – რა იცოდა ქართველმა მილიარდერმა, იშოვა თუ არა ფული ლეკომპტემ მისი კლიენტების ქონებიდან? – აღნიშნავს ბანკირის ადვოკატი.

– „და კიდევ ერთი შეკითხვა – რა იცოდა Credit Suisse-მა? შვეიცარიული ტრადიციების თანახმად, ბანკი დუმს – „ეს ცალკეული ქეისია. ბანკი შეუწყნარებელია დანაშაულთან", – აღნიშნავენ ბანკში.

ამასთანავე, სტატიის თანახმად, ივანიშვილის ადვოკატები ძალზე სკეპტიკურად არიან განწყობილი და ამბობენ, რომ ბანკს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა ლეკომპტეს ტრანზაქციები.

– ამგვარ რთულ ტრანზაქციებში სხვა ბევრი დეპარტამენტიც იყო ჩართული, როგორიც, მაგალითად, საკრედიტო დეპარტამენტია. ან მათ თვალი დახუჭეს ან მისტერ ლეკომპტეს ვიღაც შიგნიდან ეხმარებოდა, – აცხადებს ბიძინა ივანიშვილის ადვოკატი.

თებერვალში ბიძინა ივანიშვილმა შვეიცარიულ ბანკ Credit Suisse-სთან სამართლებრივი დავა დაიწყო მისი საინვესტიციო პორტფელის არასათანადოდ გამოყენების გამო, რამაც მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა მას.

როგორც გასულ თვეს The Wall Street Journal წერდა, საქართველოს ყოფილმა პრემიერმა დაახლოებით 100 მილიონი შვეიცარიული ფრანკი დაკარგა. სტატიის თანახმად, გასული წლის დეკემბერში და შემდეგ, მიმდინარე წლის იანვარში, ივანიშვილმა ჟენევის პროკურორს რამდენიმე საჩივრით მიმართა და ბანკ Credit Suisse-ის ცუდ მენეჯმენტსა და თაღლითობის ფაქტებზე მიუთითა. (bpn.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ნაციონალურმა მოძრაობამ“ სუს-ის რეორგანიზებაზე ინიციატივა მოამზადა

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ უკანონო მოსმენების დასრულებისთვის კონსულტაციებში მონაწილეობის მიღებისთვის მზადყოფნას გამოთქვამს. დავით ბაქრაძის განცხადებით, აუცილებელია ქვეყანაში სისტემური რეფორმის გატარება.

– ჩვენ მზად ვართ ასეთი კონსულტაციებისთვის, შეხვედრისთვის და მზად ვართ, მხარი დაუჭიროთ არასამთავრობო სექტორის აქტივობას ამ მიმართულებით, ვინაიდან თუ არ გადაიდგა რადიკალური ნაბიჯები და თუ სისტემური ცვლილებები არ მოხდა კანონმდებლობისა და პოლიტიკური ნების, სხვანაირად ამ უბედურებისგან ჩვენი ქვეყანა ვერ განთავისუფლდება. ამიტომ მზად ვართ, სწორედ არასამთავრობო სექტორმა, სამოქალაქო საზოგადოებამ და პოლიტიკურმა პარტიებმა ვიაქტიუროთ იმისთვის, რომ ვაიძულოთ ერთხელ და სამუდამოდ, ამ ქვეყანაში წერტილი დაესვას იმ სიბინძურეს, იმ მორალურ ტერორს, რომლის უპრეცედენტო მასშტაბის მოწმეებიც ყველა გავხდით ამ უკანასკნელ პერიოდში, – განაცხადა დავით ბაქრაძემ.

მისივე თქმით, „ნაციონალურ მოძრაობას“ მზად აქვს კონკრეტული ინიციატივები ამ მიმართულებით, რაც სუს-ის რეორგანიზებას გულისხმობს. დავით ბაქრაძის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობა“ მზად არის, შემუშავებული ცვლილებების პაკეტი პარლამენტში წარადგინოს.

– უკვე გვაქვს კონკრეტული ინიციატივები სისტემური ცვლილებების, თუ რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ამ ქვეყანაში მოსმენები ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს და ეს ინიციატივები პირველ რიგში გულისხმობს სუს-ის რეორგანიზებას და მისთვის პოლიტიკური პოლიციის კომპონენტის ჩამოშორებას. ამიტომ ბუნებრივია, რომ ჩვენ მზად ვიქნებით, გავითვალისწინოთ დამატებითი რეკომენდაციებიც არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან. ჩვენ ეს პაკეტი შეგვაქვს პარლამენტში განსახილველად. მაგრამ, თუ ხელისუფლება მზად არ აღმოჩნდება მის მხარდასაჭერად, რა თქმა უნდა, ჩვენ ავიღებთ ვალდებულებას, რომ ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, როდესაც დარწმუნებული ვარ, ჩვენ ვიქნებით ხელისუფლებაში, ავიღებთ ვალდებულებას, რომ ამის შემდეგ მივიღებთ ამ სტრუქტურულ ცვლილებას და კანონს მათ შორის იმ რეკომენდაციებითაც, რომელსაც გაგვიწევს არასამთავრობო სექტორი და ასეთი ტიპის თანამშრომლობისთვის ჩვენ მთლიანად მზად ვართ, – განაცხადა დავით ბაქრაძემ. (ინტერპრესნიუსი)



## დავით თევზაძის პარტია საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადება



ახლად დაფუძნებულმა პარტიამ „საქართველო მშვიდობისთვის“ არჩევნებში მონაწილეობისთვის განაცხადი უკვე წარადგინა, უახლოეს 2 თვეში ის ხელმოწერებსაც წარადგენს, რის შემდეგაც არჩევნებში მონაწილეობის უფლებას ოფიციალურად მოიპოვებს.

დავით თევზაძე არ გამორიცხავს, არჩევნებში კენჭი რომელიმე სხვა პოლიტიკურ ჯგუფთან ერთად იყაროს.

– არჩევნებისთვის ვემზადებით და გავდივართ პროცედურებს, რასაც საარჩევნო რეგისტრაცია ჰქვია. განაცხადი შევიტანეთ და 2 თვის ვადაში უნდა წარვადგინოთ იმ ადამიანების ხელმოწერები, რომლებიც არ არიან წინააღმდეგნი, არჩევნებში მივიღოთ მონაწილეობა. ჩვენი მიზანი პარლამენტის სკამების მოპოვება და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მიღებაა. გუნდი უკვე დაკომპლექტებულია. წინასაარჩევნო კამპანიას, სავარაუდოდ, ზაფხულის დასაწყისში დავიწყებთ. დღეს ვერ ვიტყვი, დამოუკიდებლად მივიღებთ მონაწილეობას თუ სხვა პოლიტიკურ ჯგუფთან ერთად. ჩვენ გვაქვს მიზანი, რომ მოვხვდეთ პარლამენტში, საბოლოოდ შევჩერდებით იმ ვარიანტზე, რომელიც უფრო მარტივად განგვახორციელებინებს ჩვენს გეგმებს, – განაცხადა დავით თევზაძემ. (kvira.ge)

## ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის დროს უსაფრთხოების ზომები განსაკუთრებით გამკაცრდება

ფეხბურთში 2016 წლის ევროპის ჩემპიონატის დროს უსაფრთხოების ზომები განსაკუთრებით იქნება გამკაცრებული. ამის შესახებ საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ბერნარ კაზნევმა განაცხადა.

მისი თქმით, უსაფრთხოების ზომები ჩემპიონატისთვის უკვე გამკაცრებულია და მაქსიმუმს შეადგენს.

– ბრიუსელის თავდასხმები კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ უდიდესი საფრთხის წინაშე ვდგავართ, – აღნიშნა კაზნევმა. თუმცა, მისივე თქმით, ეს არ იმოქმედებს ჩემპიონატის ჩატარებაზე.

დაგეგმილ სპორტულ ღონისძიებასთან დაკავშირებით შეხვედრაც გაიმართა, რომელსაც საფრანგეთის სპორტის მინისტრი ესწრებოდა. შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ ჩემპიონატის ჩატარების დროს სტადიონზე ე.წ. მეტალოდეტექტორებს გამოიყენებენ, ასევე, იქნება მუდმივი კონტროლი და ვიდეოკამერებიც.

– ეს იქნება უჩვეულო გამოცდილება, ამ დრომდე მსგავს ღონისძიებებზე მონიტორინგი და უსაფრთხოება ამ დონეზე არ ყოფილა უზრუნველყოფილი. საფრანგეთის იმიჯი საფრთხის წინაშეა, – აღნიშნა საფრანგეთის სპორტის მინისტრმა.

ევროპის ჩემპიონატის მატჩებზე 2,5 მილიონზე მეტ გულშემატკივარს ელოდებიან. მატჩები 10 ქალაქში ჩატარდება. (ინტერპრესნიუსი)

## „ბრიუსელის პარალელურად, ტერორისტული თავდასხმა ევროკავშირის მისიაზეც განხორციელდა“



გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ნიკოლოზ ჯანჯღავა აცხადებს, რომ ბრიუსელში მომხდარმა ტერაქტებმა ეს ამბავი გადაფარა.

როგორც პოლკოვნიკმა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერში განაცხადა, საინტერესო რამ მოხდა მალის დედაქალაქ ბომაკოში, სადაც ევროკავშირის მისიაზე თავდასხმა განხორციელდა.

– ბრიუსელში მომხდარმა ტერაქტებმა ეს ამბავი გადაფარა, მაგრამ ჩვენ კარგად ვხედავთ ორი სხვადასხვა ორგანიზაციის ქმედებას. ბომაკოში მოქმედებს „ალქაიდა“, ბრიუსელში მოქმედებს „ისლამური სახელმწიფო“. ეს უკანასკნელი არის ის ფენომენი, რომელიც ბოლო 2 წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა როგორც ერთ-ერთი წამყვანი ტერორისტული ორგანიზაცია. ის ცდილობს, მაქსიმალური ზიანი მიაყენოს მოწინააღმდეგეს, მოწინააღმდეგედ კი თვლის ყველას, ვინც არ აღიარებს მათ იდეოლოგიას, – განაცხადა ნიკოლოზ ჯანჯღავამ.

მისივე თქმით, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხდება „ისლამური სახელმწიფოს“ ცვლილება. ის განმარტავს, რომ ეს არის იდეოლოგია, რომელიც ყალიბდება ძირითადად ე.წ. არშემდგარ ქვეყნებში. მაგალითად, როგორიც არის იემენი, ლიბია, ერაყი, სირია. ქვეყნებში, სადაც არ არსებობს კანონი, რომელიც დაშლილია სამოქალაქო ომით, კორუფციული რეჟიმებით.

– ამ ტიპის ტერორისტული აქტები იქნება, ჩვენ ვერ გავექცევით ამას მომავალი 5-10 წლის განმავლობაში. შეიძლება ხვალ „ისლამური სახელმწიფო“ განადგურდეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გაქრება ის იდეა, რომლის მთავარი მამოძრავებელი ძალა არის უმუშევრობა, დემოკრატიული ინსტიტუტების არქონა. საუბედუროდ, ასეთი ტიპის ტერაქტები ხშირად განმეორდება, – აღნიშნა ჯანჯღავამ და დასძინა, რომ „ისლამურ სახელმწიფოში“ დიდი რაოდენობით არიან უცხოელები, მათ შორის არა მარტო ახლო აღმოსავლეთში მცხოვრებლები, არამედ იმ ქვეყნებიდანაც, როგორიც არის დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, კანადა.

– მათი მამოძრავებელი ძალა არის ყურანის პირდაპირი წაკითხვა, სადაც არის ბარბაროსული იდეოლოგია, რადიკალიზმი, – განაცხადა პოლკოვნიკმა და განმარტა, რომ ტერორისტული დაჯგუფებები ძალიან კარგად იყენებენ იმ ადამიანებს, რომლებმაც ვერ მოძებნეს თავიანთი თავი დღევანდელ ევროპულ სივრცეში. (pia.ge)

## რა დანაშაულებშია მხილებული ინტერპოლის მიერ „გამართლებული“ დათა ახალაია და რა გზა რჩება ხელისუფლებას მის ჩამოსაყვანად?

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37






ინტერპოლმა კუდ-ის ყოფილი უფროსი, დათა ახალაია წითელი ცირკულარით ძებნილთა სიიდან ამოიღო. არადა, ის ქართულმა სასამართლომ დამნაშავედ ცნო პოლიციელის ცემისთვის და 3 წელი და 9 თვე ციხე მიუსაჯა. ამასთანავე, მას ბრალი ედება სანდრო გირგვლიანის საქმეზე სიცოცხლისთვის საშიში ძალადობის გამოყენებით თავისუფლების უკანონო აღკვეთის, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და სამსახურებრივი სიყალბის ჩადენისთვის, ასევე, მოქალაქეების – ვამეხ აბულაშვილისა და კახა დაბრუნდაშვილის თავისუფლების უკანონო აღკვეთის, მათ მიმართ დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე, 144 მე-3, 332-ე, 333-ე და 341-ე მუხლებით. რაც შეეხება გახმაურებულ „ნავთლუღის სპეცოპერაციას“, ამ საქმეზე დათა ახალაიას საქმე ცალკეა გამოყოფილი და მას გაზრახ მკვლელობაში ედება ბრალი. ინტერპოლის ხელმძღვანელობამ, კიდევ ერთხელ დაიკიდა ფეხებზე ჩვენი უნიათო ხელისუფლება, უდანაშაულოდ მიიჩნია დათა ახალაია – კაცი, რომელიც სააკაშვილის ძალმომრეობითი რეჟიმის ერთ-ერთი მესაძირკვლე იყო.

ახალაიამდე, ინტერპოლმა წითელი ცირკულარით ძებნილთა სიიდან ამოიღო ზურაბ ადეიშვილი, ერეკლე კოდუა და დავით კეზერაშვილი, ხოლო მიხეილ სააკაშვილზე საერთაშორისო ძებნა არც კი გამოაცხადა. რა გამოდის? ვინც 9 წლის მანძილზე ამ ქვეყანაში შიშსა და ტერორს თესავდა, ვინც ხალხის წამება-გაუპატიურების, ბიზნესის დატერორების, კერძო ქონების წართმევისა და სხვა უბედურებების სათავეებთან იდგა, ინტერპოლს, ევროპის კონკრეტული ქვეყნების სასამართლოს გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, უდანაშაულოდ მიაჩნია. ახალაიას ძებნილთა სიიდან ამოღებას, პროკურატურა საკმაოდ უგერგილოდ პასუხობს. დათა ახალაიას საბერძნეთში მინიჭებული ჰქონდა დევნილის სტატუსი და ეს გახდა ძებნილთა სიიდან მისი ამოღების საფუძველიო. პროკურატურა ამის გასაჩივრებას ინტერპოლში აპირებს, მაგრამ მეეჭვება, ამას რაიმე შედეგი მოჰყვეს.

დათა ახალაიას შემთხვევაზე საინტერესო რამ გამახსენდა, საბერძნეთის სასამართლომაც სერიოზულად არ ჩათვალა ის ბრალდებები, რაც თბილისიდან გაიგზავნა. ძალაუნებურად ჩნდება ეჭვი, რომ მტკიცებულებებით გაუმყარებელი მასალები, შეგნებულად იგზავნება ყოფილი მაღალჩინოსნების ექსტრადირების საქმეებზე. ასე იყო კეზერაშვილის შემთხვევაშიც. როგორც ჩანს, პროკურატურაში ამას შეგნებულად აკეთებდნენ, სხვა რა უნდა ვიფიქრო? ამ აზრს ისიც მიმყარებს, რომ გავრცელებული ინფორმაციით, ყოფილ გენპროკურორს, ზურაბ ადეიშვილს ყველა პროკურორზე აქვს კომპრომატები და მათ დღემდე აშანტაჟებს.

თუმცა, სხვა ვერსიებიც არსებობს. როცა საბერძნეთის სასამართლომ უარი თქვა დათა ახალაიას ექსტრადიციაზე, მაშინ იქვა, რომ მოსამართლეებმა 2 მილიონი დოლარი აიღეს ქრთამად ახალაიას საქმეში და იმიტომ არ გადმოსცეს საქართველოსო. ამას ვერ დავამტკიცებ, მაგრამ კულუარული საუბრები იყო და საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ შესაძლოა, მართლაც ასე მოხდა. ნუ დამიწყებთ ახლა იმის მტკიცებას, რომ ევროპაში ქრთამს არ იღებენ. მე იმასაც არ გამოვრიცხავ, რომ ინტერპოლის ხელმძღვანელობამაც მერკანტილური ინტერესების გამო ამოიღო ძებნილთა სიიდან ახალაია და სხვა ყოფილი ქართველი მაღალჩინოსნები. არ ვიცი, ამას უკვე რა ჰქვია, ირაკლი შოთაძე ან თავად უნდა გადადგეს მთავარი პროკურორის პოსტიდან და განაცხადოს, რომ სამართლიანობის აღდგენას ვერ ახერხებს, ან სასწრაფოდ უნდა გაწმინდოს პროკურატურა დამნაშავე პროკურორებისგან, ახალი, სუფთა კადრები მიიყვანოს და ეს პროცესი დაიწყოს. თუმცა, მთავარი დამნაშავე შოთაძე არ არის, რა უბედურებაც გვჭირს, ამაში უპირველესი დამნაშავე ბიძინა ივანიშვილია, ირაკლი შოთაძე კი მისი დავალებების შემსრულებელი.

პირდაპირ ვთქვათ, ივანიშვილს არც ხალხი აინტერესებს და არც სამართლიანობის აღდგენა, „ქართული ოცნებისთვის“ „სამართლიანობა“ აღდგენილია, მისმა წევრებმა ცხოვრებაც საშვილიშვილოდ მოიწყვეს და საერთოდ, არც ღირსება აინტერესებთ, არც ის ადამიანები, ვინც სიცოცხლის რიკის ფასად ეს უცხვირპირო ხალხი მოათრია ხელისუფლებაში. ივანიშვილს რომ სურდეს, დათა ახალაიაც, ზურაბ ადეიშვილიცა და დავით კეზერაშვილიც დღეს „მატროსოვზე“ ისხდებოდნენ. სულ მცირე, თავის იურისტებს პროკურატურიდან ინტერპოლში გასაგზავნი მტკიცებულებების რევიზიას ჩაატარებინებდა და წყალწყალა საქმეები ინტერპოლში არ მოხვდებოდა, მაგრამ არ უნდა და არ აკეთებს. არადა, სამივე მათგანზე საქმეები მისი პრემიერობის დროს აღიძრა და სამივე საქმე საპნის ბუშტივით გასკდა ევროპული ქვეყნების სასამართლოებში. სხვა თუ არაფერი, თუნდაც ამიტომ, ეს საქმეები ექსპრემიერის ღირსების ამბავი უნდა იყოს, მაგრამ, ეტყობა, ივანიშვილს არც ღირსება უღირს რამედ.

> **ივანიშვილს რომ სურდეს, დათა ახალაიაც, ზურაბ ადეიშვილიცა და დავით კეზერაშვილიც დღეს „მატროსოვზე“ ისხდებოდნენ, მაგრამ არ უნდა და არ აკეთებს. არადა, სამივე მათგანზე საქმეები მისი პრემიერობის დროს აღიძრა და სამივე საქმე საპნის ბუშტივით გასკდა ევროპული ქვეყნების სასამართლოებში. სხვა თუ არაფერი, თუნდაც ამიტომ, ეს საქმეები ექსპრემიერის ღირსების ამბავი უნდა იყოს, მაგრამ, ეტყობა, ივანიშვილს არც ღირსება უღირს რამედ**

**რას ფიქრობენ უმრავლესობის წევრები ახალაიას ძებნილთა სიიდან ამოღებაზე და რას აპირებენ?**

**ზაქრო ქუცნაშვილი, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, იურიდიული კომიტეტის წევრი:**

**— ბატონო ზაქრო, რა გზა რჩება დათა ახალაიას ჩამოსაყვანად, რომ მან ქართული მართლმსაჯულების წინაშე პასუხი აგოს?**

– რთული შეკითხვაა ეს... თქვენ სამართლებრივ გზებს გულისხმობთ, ხომ? რა ინფორმაციასაც მე ვფლობ, მოხდა არა ინტერპოლის კონსტიტუციის საფუძველზე უარყოფა ექსტრადაციის მოთხოვნაზე, არამედ ლტოლვილის სტატუსიდან გამომდინარე ავტომატურ მოთხოვნაზე. შესაბამისად, აქ უკვე საერთაშორისო სამართლის სპეციალისტები უნდა ჩაერთონ, რომ გაირკვეს, ინტერპოლის კონსტიტუციას უფრო მეტი უპირატესობა აქვს თუ ლტოლვილის სტატუსთან დაკავშირებულ ევროპულ კონვენციას. ამ ორი კანონის შესაბამისობისა და უპირატესობის ანალიზით უნდა დადგინდეს ამ საქმის პერსპექტიულობა. დარწმუნებული ვარ, პროკურატურა გააგრძელებს ბრძოლას. საკანონმდებლო ხელისუფლება არ არის უფლებამოსილი ექსტრადირების მოთხოვნაზე, ეს არის თავიდან ბოლომდე მთავრობის კომპეტენციაში შემავალი საკითხი.

**თემურ მაისურაძე, „ქართული ოცნება — ეროვნული ფორუმის“ წევრი:**

– ვერ გავიზიარებ პროკურატურის განცხადებას, რომ დათა ახალაიამ ლტოლვილის სტატუსი მიიღო კონკრეტულ ქვეყანაში და ამის გამო ამოიღო ინტერპოლმა ძებნილთა სიიდან. ვიდრე ლტოლვილის სტატუსს მიიღებს ესა თუ ის ძებნილი, ის თუ დამნაშავეა და მე თუ პროკურატურა ვარ, მანამდე უნდა მოვახერხო, სერიოზული მტკიცებულებები წარვადგინო კონკრეტული ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოების, მათ შორის, სასამართლოს თუ ინტერპოლის წინაშე, დანაშაული დავუმტკიცო და ლტოლვილის სტატუსი კი არ მისცენ, ციხეში ჩასვან და მერე საქართველოს გადმოსცენ. ეს არის პროკურატურის სუსტი მუშაობის ბრალი. მეტიც, ვთვლი, რომ სპეციალურად არ მუშაობენ ამ მიმართულებით ეფექტურად. გნებავთ დათა ახალაიაზე, გნებავთ სხვებზე, ვერ წარმომიდგენია, რომ ვერ მოიძებნოს მათი დანაშაულის უტყუარი მტკიცებულებები, თუკი ამას მოინდომებენ. მტკიცებულებები იმაზე მეტია, ვიდრე საჭიროა“.

## „IP მისამართის დადგენას ორი დღე სჭირდება“



კომპიუტერული ტექნოლოგიების სპეციალისტი ვასილ ჯამალაშვილი აცხადებს, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი მასალების გავრცელების მსგავსი გამოძიება ამერიკულ სპეცსამსახურებსაც უჭირთ.

ჯამალაშვილი აცხადებს, რომ IP მისამართის დადგენას დაახლოებით, ორი დღე სჭირდება, თუმცა ეს არაფერს ნიშნავს, რადგან კვალი შესაძლოა, რამდენიმე ქვეყანაში აღმოჩნდეს.

– ამერიკულ სპეცსამსახურებსაც კი უჭირს ასეთი სახის გამოძიებები, ვინაიდან ასეთი ტიპის დანაშაული საკმაოდ ახალია და კიბერსფერო ყოველთვის ვითარდება. ამერიკული კანონმდებლობის შესაბამისად, youtube-ზე ისტორია – ვინ რა ატვირთა, IP მისამართების ისტორია საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ინახება. შეიძლება, კვალი რამდენიმე ქვეყანაში გავიდეს, – განაცხადა ჯამალაშვილმა გადაცემა „არჩევანში“ სტუმრობისას. (pia.ge)

## წულუკიანი: გერმანიაში ჩვენი მოქალაქეები თავშესაფრის ძებნის საბაბით ქურდობენ, ყაჩაღობენ



იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა გერმანიის ფედერალური კრიმინალური სამსახურის პრეზიდენტი ჰოლგერ მიუნში მიიღო.

– გერმანიის ფედერალური კრიმინალური პოლიციის ხელმძღვანელისა და მისი დელეგაციის ვიზიტი, რა თქმა უნდა, უკავშირდება ჩვენს თანამშრომლობას დანაშაულთან ბრძოლის საქმეში, მაგრამ პირდაპირ კავშირშია, ასევე, საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭების მომავალ გადაწყვეტილებასთან. ეს პროცესი, როგორც ვიცით, დაძრულია და ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და მათ ძალოვან სტრუქტურებში უნდა შეიქმნას ის განცდა, რომ საქართველოდან საზღვრების გახსნის შემთხვევაში ჩასული მოქალაქეები დაიცავენ იქაურ კანონს და არ შექმნიან დანაშაულის საფრთხეს. ამიტომაც ჩვენი თანამშრომლობა ორ ქვეყანას შორის უნდა გაათმაგდეს და მნიშვნელოვანია, ასევე, ის პრეცედენტები, რაც გერმანიაში არსებობს და ამაზე ფართოდ ისაუბრა ჩვენმა სტუმარმა, რომ იქ საქართველოს მოქალაქეები თავშესაფრის ძებნის საბაბით სჩადიან ძარცვას, ყაჩაღობას, ქურდობას. ჩვენ ვთანამშრომლობთ მათთან იმისთვის, რომ ასეთი მოქალაქეები უკან დავიბრუნოთ და მათ სასჯელი ქართულ ციხეში მოიხადონ, – განაცხადა თეა წულუკიანმა. (ipress.ge)

## ბრეგაძე ხიდაშელს: იდექი ახლა ამაყი სახით, „იტკვარცალე“ და შენი პროვინციულ-გოიმური ქცევებით გული უხეთქე ქართველ საზოგადოებას



დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ყოფილი მოადგილე სანდრო ბრეგაძე „ფეისბუქში“ თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელს მიმართავს:

– ის, რომ შენ დგახარ ტრიბუნასთან, როგორც საქართველოს თავდაცვის მინისტრი, ეს არის ქართველი ერის ყველაზე დიდი სირცხვილი, რადგან მსოფლიოში არც ერთ ქვეყანას არ ჰყავს მოღალატე და ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ მებრძოლი თავდაცვის მინისტრი.

ღმერთს ვთხოვ, რომ შენი თავდაცვის მინისტრობის პერიოდში ერთი, თუნდაც მცირე სამხედრო კონფლიქტი არ მოხდეს, თორემ მყისვე დაგინახავ მტრის მხარეზე გადასულს. სირცხვილი და სამარცხვინოა, როდესაც ქვეყნის თავდაცვას ხელმძღვანელობს პირი, რომლის პირიდანაც სერგო ორჯონიკიძის მსგავსი მოღალატეობრივი ფრაზა ამოსულა – „აფხაზეთს საქართველოს ნაწილად არ განვიხილავ“.

კიდევ უფრო სამარცხვინოა, რომ შენი უახლოესი თანამებრძოლის ხელით ქართულ ჯარს, ჩვენს გმირ ჯარისკაცებს უჩივლე სტრასბურგის სასამართლოში და 2008 წელს „მძინარე რუსი სამხედროებისა“ და სეპარატისტების დაბომბვა დააბრალეთ.

კიდევ უფრო სამარცხვინოა, რომ საქვეყნოდ აცხადებთ, რომ შვილებს სამშობლოს სიყვარულსა და თავგანწირვას არ უნერგავთ; სირცხვილია, რომ კაცის კაცზე დაქორწინების დაკანონებაზე ოცნებობ;



სირცხვილია, რომ კოალიციიდან და მთავრობიდან გაგდებენ და ვერ გაგაგდეს, რადგან თავმოყვარეობის ნასახიც არ გაგაჩნია.

ყველაფერს იტან სკამის შესანარჩუნებლად, ხოლო სირცხვილის აპოგეაა საგარეჯოს არჩევნები, სადაც ისეთები იკადრე, რომ კომენტარსაც ვერ ვაკეთებ.

იდექი ახლა ამაყი სახით, „იტკვარცალე“ და შენი პროვინციულ-გოიმური ქცევებით გული უხეთქე ქართველ საზოგადოებას. ნუთუ ვერ ხვდები, როგორ ეზიზღები შენ და შენი თანაპარტიელი „ინაურის ბიჭები“ მთელ საქართველოს? – წერს ბრეგაძე. (news.ge)

## „ბილაინის“ მიერ „კავკასუს ონლაინის“ შეძენით სააკაშვილი იხეირებს?!

დეა ანთიძე

კრიმინალისტიკაში არსებობს მოარული ფრაზა: „დამნაშავის გამოსააშკარავებლად მიჰყევი ფულს“...

თავის დროზე არავის ხელი არ შეუშლია საქართველოსთვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტების გასხვისებისთვის... პირიქით, ძირითადი ინვესტიციები, რომელთა მოზიდვაც განხორციელდა, სწორედ სტრატეგიული და მასთან მიახლოებული ობიექტების გასხვისებით იქნა მიღებული. მოარული ხმები, რომ მიხეილ სააკაშვილის წილი იდო განსაკუთრებით საინტერესო, ირაკლი ოქრუაშვილის მონათხრობია, რადგან მას როგორც პიროვნულად, ასევე, თანამდებობრივად ხელი მიუწვდებოდა ყველა ინფორმაციაზე.

სამწუხაროდ, კოჰაბიტაციური გარიგებების გამო, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ სააკაშვილი დღესაც აშკარად რამდენიმე პროექტის ცოცხალი ფიგურაა, არათუ საქართველომ, მთელმა მსოფლიომ თვალი დახუჭა მის დანაშაულებზე. მაგალითად, ოქრუაშვილმა პირდაპირ ეთერში განაცხადა, რომ რუსული წარმომავლობის კომპანია „მობიტელში“ ნი აშშ დოლარით დააჯარიმეს.

ჩნდება კითხვა – ვითომ არავის მოუკითხავს და გაუგია მიშას 40-პროცენტიან წილზე „ვიმპელკომის“ ქართულ ფილიალში?! თუ საჩუქრად მიღებული ერთი კომპანიის 40 პროცენტი არაკორუფციული წილია?! მით უფრო, რომ ამ წილის წყალობით, „ბილაინის“ სასათბურე პირობები სერიალივით გაიწელა!

უფრო მეტიც, ახლა „კავკასუს ონლაინის“ ნაწილი იყიდება მისი გაკოტრების გამო (მეტად საეჭვოდ კი გაკოტრდა ნაარჩევნებს – თითქოს იგრძნო, რომ ძველი მეპატრონე დავას განაახლებდა). ნაწ„სილქნეტი“ ლამის მთლად გააკონტროლებდა სატელევიზიო და ინტერნეტბაზარს. მაგიერში ახლა „კავკასუსს“ „ვიმპელკომი“ იყიდის და ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელს ფეხს დაადგამს... აი, მერე კი – „ვინ არის ვაჟკაცი, ვინ წაართმევს ვეფხვს ნანადირევს“?

თავად მიშასთვის კი სულ ერთი უნდა იყოს, სახელდობრ რომელ ჯიბეში ჩაიდებს „კავკასუსს“, რომელიც იყო, არის და სავარაუდოდ, ისევ იქნება მისთვის მეწველი ძროხა!

რატომ ხუჭავენ თვალს ამერიკელები სააკაშვილის კავშირზე „ვიმპელკომის“ შვილობილ




ყველა ენერგომატარებლის ტარიფში, დღესაც ახსოვთ, თუმცა, რასაკვირველია, ამის დამტკიცებას იმ პერიოდში არათუ შეძლებდა, ვერც კი შეეცდებოდა ვინმე.

რა თქმა უნდა, 9 წელს ისე არ ჩაუვლია, რომ მიშას კარზე განდიდებულებს ან მადა არ გაზრდოდათ ან კონკურენტი არ გამოსჩენოდათ. შესაბამისად, ზოგი სამართლიანად და ზოგიც უსამართლოდ განაწყენებული და თანაც ინფორმირებული ყოფილი თანამდებობების პირი 2012 წლის კოჰაბიტაციური ცვლილებების შემდეგ ნელ-ნელა ალაპარაკდა. მათგან (საქართველოს „ბილაინში“) სააკაშვილს, არც მეტი, არც ნაკლები, 40-პროცენტიანი წილი აქვს. ბენდუქიძემ (ეკონომიკაში ინფორმაცია ამ კაცსაც მოეკითხებოდა) კი ერთ-ერთ ინტერვიუში სინანულით თქვა, რომ მავანის დავალებით „მაგთისა“ და „ჯეოსელს“ სიხშირე „ჩამოაჭრეს“ და „ბილაინს“ მისცეს...

არცთუ ისე დიდი ხნის წინ „ვიმპელკომი“ („ბილაინის“ რუსული დედა) სერიოზულ სკანდალში გაეხვია და ის უზბეკ მაღალჩინოსნებთან კორუფციულ გარიგებასთან დაკავშირებით 835 მილიონი აშშ დოლარით დააჯარიმეს.

ილი იმიტომ, რომ ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე ბევრი დაიწერა...

სხვათა შორის, ეს კომპანია თავის დროზე მისი დამფუძნებლისგან საეჭვოდ იაფად შეიძინეს (დღესაც გრძელდება დავა სხვადასხვა ნიუანსებზე) და შემდგომ მის წილებშიც სააკაშვილის ინტერესები, ასევე, მოიაზრებოდა.

კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ „სილქნეტს“ (ასევე, ასოცირდებოდა მიშას სახელთან) უარი უთხრა მის შეძენაზე. უარის მოტივი ის გახლდათ, რომ „კავკასუსის“ შეძენის შემდგომ კომპანია „ბილაინთან“ საქართველოში, ქვეყნის სტრატეგიული ობიექტების რუსულ კომპანიებზე გასხვისებაზე, მიშას ინტერესებზე სხვადასხვა ბიზნესში, მის გამო აგორებულ სკანდალებზე?

რამდენადაც სჭირდებათ მიშა ამერიკელებს, იმდენად ითმენენ მის საერთო წერტილებს რუსეთთან (და არამარტო ბიზნესს და არა მარტო რუსეთთან). რადგან ითმენენ, გამორიცხულიც არაფერია და შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ბილაინის“ მიერ „კავკასუს ონლაინის“ შეძენით მიხეილ სააკაშვილი იხეირებს და მერე როგორ!..

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „წლევანდელი სწავლება იქნება უფრო მასშტაბური და გაუმჯობესებული გასულ წელთან შედარებით“



აშშ-ის ევროპული სარდლობის მეთაურმა გენერალმა ფილიპ ბრიდლოვმა თავდაცვის სფეროში აშშ-საქართველოს ორმხრივ თანამშრომლობაზე და დაგეგმილ ერთობლივ სწავლებებზე ისაუბრა.

– ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო დახმარების პროგრამა ფოკუსირებულია საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობის გაძლიერებაზე და აშშ-სა და ნატოსთან საქართველოს ურთიერთთავსებადობის გაზრდაზე. ჩვენი მიზანია, საქართველო იყოს მაქსიმალურად მომზადებული იმ დღისთვის, როდესაც ნატო გადაწყვეტილებას მიიღებს.

გავიმეორებ, ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს მისწრაფებას, გაწევრიანდეს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში. ეს არის ჩვენი პოზიცია 2008 წლის ბუქარესტის სამიტიდან მოყოლებული.

ჩვენ მოუთმენლად ველით დაგეგმილ ერთობლივ სწავლებას საქართველოსთან, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს ჩვენს პარტნიორობას და კიდევ უფრო დააახლოებს საქართველოს ჩვენ სტანდარტებთან. ორივე სწავლება – „ღირსეული პარტნიორი“ და „მტკიცე სული“ გააძლიერებს ჩვენს შესაძლებლობას, ვიმოქმედოთ ნატოს ისეთ პარტნიორ ქვეყნებთან, როგორიცაა საქართველო, რომელიც ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში მონაწილეობს. მაისში „ღირსეული პარტნიორი 2016“ სამი კვირის განმავლობაში თავს მოუყრის ქართველ, ამერიკელ და ბრიტანელ სამხედროებს ვაზიანის პოლიგონზე, რათა გავაძლიეროთ ნატოს სწრაფი რეაგირების ძალების შესაბამისი შესაძლებლობები. წლევანდელი სწავლება იქნება უფრო მასშტაბური და გაუმჯობესებული გასულ წელთან შედარებით, – განაცხადა ბრიდლოვმა. (news.ge)

## გიგა ბუკია — მოდაში შემოვიდა, რომ ადამიანები მიდიან და არასამთავრობოებს ქმნიან



– მოდაში შემოვიდა, რომ ხელისუფლებაში ყოფნის შემდეგ ადამიანები მიდიან და არასამთავრობოებს ქმნიან და იქიდან ელაპარაკებიან მოსახლეობას, – ასე აფასებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გიგა ბუკია თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის მამუკა ახვლედიანის განცხადებას.

– ამ საკითხებზე პოზიციას ყველაზე კარგად აფიქსირებს ქართველი ხალხი არჩევნებზე. მოდაში შემოვიდა, რომ ხელისუფლებაში ყოფნის შემდეგ ადამიანები მიდიან, არასამთავრობოებს ქმნიან და იქიდან ელაპარაკებიან მოსახლეობას. სამთავრობოში რა გააკეთეს, არასამთავრობოში რომ გააკეთონ. ზოგიერთზე ასეთი წარმოდგენა მაქვს. ეს მათი უფლებაა, მათ შეუძლიათ არასამთავრობოში იყვნენ, სრული თავისუფლება აქვთ, – განაცხადა გიგა ბუკიამ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილმა თავმჯდომარემ მამუკა ახვლედიანმა შესაძლოა, არასამთავრობო ორგანიზაცია ჩამოაყალიბოს.

ტელეკომპანია „იბერიის“ ეთერში სამომავლო გეგმებზე საუბრისას მამუკა ახვლედიანმა აღნიშნა, რომ ძალიან ბევრი ვარიანტია და ის თავის კოლეგებთან ერთად სხვადასხვა კონსულტაციას გადის.

იუსტიციის საბჭომ მამუკა ახვლედიანი თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეობიდან ერთი თვის წინ გაათავისუფლა. (ინტერპრესნიუსი)

## თურქეთის პოლიციამ ტერაქტები აღკვეთა



სტამბულის პოლიციამ, სავარაუდოდ, „ისლამური სახელმწიფოს“ 3 მებრძოლი დააკავა, რომლებსაც ბრალად ედებათ თურქეთში გერმანიის დიპლომატიურ მისიებზე ტერორისტული თავდასხმების დაგეგმვა.

სამივე დაკავებული – თურქეთის მოქალაქე მუჰამედ ნასი, ერაყის მოქალაქე იბრაჰიმ ჰანემ ალშალევეი და სირიის მოქალაქე ალი ალ ფარაჩი სტამბულის უსაფრთხოების სამსახურის განყოფილებაში არიან გადაყვანილნი.

შეგახსენებთ, რომ გერმანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა გასულ კვირას განაცხადა, რომ გერმანიის სპეცსამსახურებმა თურქეთში მდებარე დიპლომატიურ მისიებზე მოსალოდნელი ტერორისტული თავდასხმების შესახებ მიიღეს ინფორმაცია. არსებული საფრთხის გამო, დიპლომატიური წარმომადგენლობები და სკოლები რამდენიმე დღე დაკეტილი იყო. (pia.ge)

## საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი კორუფციაშია ეჭვმიტანილი



საფრანგეთის უმაღლესმა სააპელაციო სასამართლომ საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის წინააღმდეგ კორუფციის საკითხში არსებული მტკიცებულებების აღიარება გადაწყვიტა.

სარკოზის წინააღმდეგ, სავარაუდოდ, საქმე იქნება აღძრული, რაც ყოფილი პრეზიდენტის 2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკური პარტიის კანდიდატად მონაწილეობის შანსებს რისკის ქვეშ აყენებს.

ყოფილი პრეზიდენტის პარტიის განცხადებით, გამომძიებლების მტკიცებულება არაკანონიერი გზით იქნა მოპოვებული. კონკრეტულად, პირადი დიალოგების მოსმენით, მათ შორის სარკოზის მოსამართლის დიალოგების. მიუხედავად ამისა, სასამართლომ სამხილი დასაშვებად ცნო.

61 წლის სარკოზი თავდაპირველად თებერვალში დაიკითხა საარჩევნო კომპანიის არალეგალური დაფინანსების გამო. ბრალდებები მოიცავს პრეზიდენტის ორმაგ ანგარიშს და 18 მილიონი ევროს ოდენობის ცრუ ინვოისებს, რომელიც ბიგმალიონის ორგანიზაციისთვის გამოიცა. (euronews.ge)

## იმდენი იძახეს — მყარდება, მყარდებაო, აჰა!..



ეროვნულმა ბანკმა ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი დაადგინა, რომლის მიხედვითაც, ეროვნული ვალუტის კურსი დოლართან მიმართებაში გაუფასურდა. კერძოდ, დღეს 1 აშშ დოლარის ოფიციალური ფასი 2,3062 ლარი გახდება. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსი, რომელიც აქამდე მოქმედებდა, 2,2954 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0,0108 ლარი შეადგინა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაში მცირედით გაუფასურდა. კერძოდ, დღეს 1 ევროს შეძენა 2,5795 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა გუშინ მოქმედი კურსი 2,5738 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0,0057 ლარი შეადგინა. (bpn.ge)

## ბიჭი 3 სიცოცხლით — პარიზისა და ბოსტონის ტერაქტებს გადარჩენილი ახალგაზრდა ბრიუსელის ტერაქტისას დაშავდა



ბრიუსელის ტრაგედია უესლების ოჯახისთვის მესამე შემზარავი ფაქტი აღმოჩნდა. განსაკუთრებით კი ოჯახის უმცროსი წევრის – მეისონისთვის, რომელიც ბოსტონისა და პარიზის ტერაქტებს გადაურჩა და ბრიუსელის აეროპორტში მომხდარი ტერაქტისას დაშავდა.

აშშ-ში, იუტას შტატში მცხოვრები 19 წლის მეისონ უელსი ტერაქტის დროს ბრიუსელის აეროპორტში იმყოფებოდა. ბიჭმა მრავლობითი ჭრილობები და დამწვრობა მიიღო, თუმცა, საბედნიეროდ, გადარჩა.

როგორც აღმოჩნდა, მეისონი მისი ცხოვრების მანძილზე, მესამე ტერაქტს გადაურჩა.

უელსის მამის განცხადებით, მთელი ოჯახი 2013 წელს ბოსტონის ტერაქტს სასწაულებრივად გადაურჩა. ისინი მარათონს ესწრებოდნენ და ტერაქტის ადგილიდან მხოლოდ ერთი სახლის მოშორებით იდგნენ. 2015 წელს კი მეისონი პარიზში მშობლების გარეშე იმყოფებოდა. მისი პარიზში ყოფნა, სისხლიანი ნოემბრის ტერაქტს დაემთხვა. ამჯერად, თავდასხმების ეპიცენტრში არ ყოფილა, გაუმართლა და ქალაქიდან 2 საათის სავალზე იმყოფებოდა.

ბრიუსელში მომხდარი ტერაქტი კი მისთვის ლამის ფატალურად დასრულდა.

– ამბობენ, რომ ჩემს შვილს ღმერთმა სამი სიცოცხლე აჩუქა. მადლობელი ვარ, რომ მან ამ ყველაფრის გადატანა შეძლო, – აცხადებს მეისონის მამა. (ნიუპოსტი)

# მიდის თუ არა პოლიტიკაში სკანდალური მოსამართლე მამუკა ახვლედიანი და რისთვის ქმნის „ენჯეო"-ს?



გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე, მამუკა ახვლედიანი რიგითი მოსამართლის თანამდებობასაც ტოვებს. „ალიასთან" საუბარში ის ჯერ კიდევ ერთი თვის წინ აცხადებდა, რომ შექმნილი მძიმე პირობებისა და ზეწოლების გამო, ალბათ, საერთოდ წავიდოდა სასამართლოდან. მისი თქმით, ის არასამთავრობო სექტორში გადაინაცვლებს და სასამართლოს საკითხებზე იმუშავებს: „ამ ეტაპზე ვფიქრობ, აზრი არ აქვს ამ სისტემაში მუშაობის გაგრძელებას. შევქმნი არასამთავრობო ორგანიზაციას, სადაც იმუშავებენ ყოფილი მოსამართლეები, შესაძლოა, მოქმედი მოსამართლეებიც, იურისტთა და სამეცნიერო წრეები, არანაირი შეზღუდვა არაა".

მამუკა ახვლედიანის სამომავლო გეგმებზე კომენტარი გააკეთა უმრავლესობის წევრმა გიგა ბუკიამ. მისი თქმით, ახვლედიანის მიერ არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნის მიზანი საბოლოოდ პოლიტიკაში მოსვლა იქნება.

**მაინც რა ზეწოლას აქვს ადგილი ჯერ კიდევ მოსამართლის წინააღმდეგ? მართლა მიდის პოლიტიკაში? რატომ ფიქრობს, რომ არასამთავრობო სექტორიდან უფრო ეფექტური იქნება მისი ბრძოლა?**

**„ალიას" მამუკა ახვლედიანი ესაუბრა:**

– ჯერ ერთი, მე არ მითქვამს, რომ პოლიტიკაში ვაპირებ წასვლას და მეორეც – თუ ოდესმე წავალ, რა, აკრძალული მაქვს? თუ დავაპირებ, მაგასაც პირდაპირ ვიტყვი. თუ ამ ადამიანებს პოლიტიკაში ყოფნა სირცხვილად მიაჩნიათ, მაშინ თვითონ რა უნდათ იქ, რისთვის სხედან პარლამენტში? არანაირი პოლიტიკა, არც საუბარი მქონია ვინმესთან, არც კონსულტაცია და იდეის დონეზაც არ მითქვამს სადმე. როცა მეკითხებიან, ხომ არ აპირებ მომავალშიო, იმასაც ვამბობ, რომ მომავალში რა მოხდება და როგორ მოვიქცევი, არ ვიცი, მე თავისუფალი ადამიანი ვარ, შეიძლება ვიფიქრო, მაგრამ ამ ეტაპზე მსგავსი არაფერი ხდება. თუ დავრწმუნდები, რომ არასამთავრობო სექტორიდანაც ვერაფერს შევცვლი და აზრი არ აქვს, მაშინ დავიწყებ ფიქრს. მე სასამართლოში მუშაობის საკმაო სტაჟი მაქვს და დღეს ნამდვილად არ მაქვს სურვილი, ამ სისტემის გარეთ გავიდე, არ ვიცი, საიდან მოაქვთ ასეთი დასკვნები. ახლა უნდათ, სიტუაცია ისე წარმოაჩინონ, თითქოს სასამართლოში მართლა რამე კი ხდება, უბრალოდ, ახვლედიანი თამაშობს და ყველაფერი პოლიტიკას უკავშირდება. ახლა ჭორებიც გაუვრცელებიათ, თითქოს პირადად ვიჩხუბეთ მე, ლევან მურუსიძემ და ვიღაცებმა. არა, სასამართლოს შიგნით ვინმესთან ხმამაღალი საუბარიც კი არ მქონია. არ ვიცი, ჭორების გავრცელება მათი ნებაა, ქართველი საზოგადოება თავად ნახავს, ვინ სად წავა და როგორ წავა.

**— ბატონო მამუკა, ესე იგი, თქვენ უკვე საბოლოოდ გადაწყვიტეთ, რომ მოსამართლის თანამდებობაც დატოვოთ?**

– 25 მარტამდე შვებულებაში ვიმყოფები... ცოტა ხანს, ალბათ, ერთი კვირით შევყოვნდები, რადგან ამავე დროს ვარ იუსტიციის უმაღლესი სკოლის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ამჟამად ახალი მოსამართლეების შერჩევა მიდის და რეკომენდაციებია საჭირო. როცა მოსამართლის თანამდებობას დავტოვებ, ასევე, უნდა დავტოვო ეს თანამდებობაც. თუ ახლავე წამოვალ, მაშინ ხელახალი არჩევნები უნდა დაინიშნოს და კონფერენციების ჩატარებაც თავიდან გახდება საჭირო. ერთი კვირის შემდეგ აუცილებლად გადავდგები.

**— თქვენ დაახლოებით სამი კვირის წინ „ალიასთან" საუბარში განაცხადეთ, რომ იყო ზეწოლა, რაც ახლა უფრო გაძლიერდა და საბოლოოდ ამის გამო გადაწყვიტეთ წასვლა? იქნებ დააკონკრეტოთ, ვინ ახდენს თქვენზე ზეწოლას?**

– თავიდანვე იყო ზეწოლა... როდესაც ჟურნალისტებს ესაუბრები და ვიღაც მოსამართლეები იქვე ტრიალებენ, რათა მოისმინონ, რას ვამბობ, როდესაც მიდის აჟიტირებული განცხადებები, ძალიან რთულია, ამ პირობებში რამე გააკეთო. ბოლოს და ბოლოს, შეუძლებელია, შენს კოლეგებს ყოველი ფეხის ნაბიჯზე ან კულტურისკენ მიუთითო, ან კიდევ ზრდილობისკენ. ამ პირობებში ველარ ვიმუშავებ, ძალიან გამიჭირდება.

**— ანუ, თქვენზე ფსიქოლოგიური ზეწოლაა?**

– რა თქმა უნდა... როდესაც ჟურნალისტს არ შეგაყვანინებენ შენობაში და გეტყვიან, კომენტარები ქუჩაში გააკეთეო, მეტი რაღა უნდა მიგანიშნონ და მეტი რაღა ზეწოლა უნდა იყოს? თან ყოველდღე ამტკიცებენ, რომ თურმე სასამართლო სისტემაში სულ სხვა პრობლემები ყოფილა... მე რომ პრობლემებზე დავიწყო ლაპარაკი და ბოლომდე ვთქვა ყველაფერი, სისტემა დაინგრევა. მეც შემიძლია, მოვყვე, ვინ რა და როგორ განიხილა, არც ერთ ყურმოკრულ ამბავს არ მოვყვები, მაგრამ თავს ვიკავებ. ამ არასამთავრობოზეც იმიტომ ვიფიქრე, რომ ყველაზე მეტად რაც აკლია საზოგადოებას, ეს არის სასამართლო სისტემის ობიექტური შეფასება თუნდაც გადაწყვეტილებების სისწორის შესახებ. მე ჯერ კიდევ სისტემაში ვარ და ბოლომდე ვერ ვსაუბრობ იმ პრობლემებზე, რაც სასამართლოშია. ამიტომ ამას სხვაგვარი მუშაობა სჭირდება, ანალიზი სჭირდება, პროფესიული მიდგომა სჭირდება. დღეს სასამართლოს ყველა სამინისტროსავით უდგება და სწორედ ეს არის შეცდომა სახელმწიფოს მხრიდანაც არასამთავრობოებისგანაც და ნებისმიერი თანამდებობის პირისგანაც. გარედან ბევრი რამე არ ჩანს, არ გამოდის სააშკარაოზე და სწორედ ეგ მინდა, რომ გამოვიტანო.

**— მხარდამჭერები გამოგიჩნდათ? ვგულისხმობ თქვენს კოლეგებს, პარლამენტარებს, თანამდებობის პირებს, არიან ასეთები?**

– მე მინდა, თავი მოვუყარო პროფესიონალებს – ყოფილ მოსამართლეებს, მოქმედ მოსამართლეებს, შეიძლება საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებიც მოვიდნენ, ასევე, ჟურნალისტები და ასე შემდეგ. ეს

> **„მე რომ პოლიტიკაში წასვლა მდომებოდა, ადრევე გადავდგებოდი, მერე გამოვიდოდი და ტყუილ-მართალს მოვყვებოდი, თუ ვინმეს დაეჯერება, სასამართლოში რა ხდება, სწორედ მე დამეჯერება. კარგად გავაფორმებდი და სიტუაციას უფრო დავამძიმებდი. თუმცა გაფორმებაც არ არის საჭირო, ისედაც ბევრი პრობლემაა..."**

იდეა მანამდეც მქონდა, სანამ საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე ვიყავი, სულ მიკვირდა, რატომ არ იქმნება ამ კუთხით არასამთავრობო ორგანიზაცია-მეთქი? გული მწყდებოდა, როცა შეფასებები კეთდებოდა მხოლოდ პოლიტიკური კუთხით და მხოლოდ დაინტერესებული მხარეების მხრიდან, რაც ძალიან ცუდია სასამართლოსთვის. როცა ამა თუ იმ საკითხით პოლიტიკოსია დაინტერესებული და სასამართლო პასუხს ვერ სცემს, ძალიან ცუდ სიტუაციაში ვარდება მთელი სისტემა. მე არსად არ მივდივარ, ვაგრძელებ ბრძოლას... თქვენ იცით, რომ საქალაქო სასამართლოში თავმჯდომარე უკვე დანიშნეს და ამით წერტილი დაუსვეს ჩემი აღდგენის პროცესს. დანიშნულს აღარ მოხსნიან, საუკეთესო შემთხვევაში, ალბათ, ბოდიშს მომიხდიან და კომპენსაციას გადამიხდიან. ამიტომ ამ საქმეს მივიტან ევროპის სასამართლომდე და ქართველ საზოგადოებას ვპირდები, ძალიან დიდ თანხებს დააკისრებენ იმ უკანონობის გამო, რაც ჩემს წინააღმდეგ ჩაიდინეს. მე მინდა, ჩვენმა სახელმწიფომ კი არ იზარალოს, არამედ ყველა იმ თანამდებობის პირს აანაზღაურებინონ, ვინც ეს დანაშაული ჩაიდინა. მე ნამდვილად არ ვაპირებ, ეს თანხები სახლში წავიღო, რამე კეთილ საქმეს მოვახმარ. არ მოვეშვები, ბოლომდე ვიბრძოლებ.

**— თქვენ ცოტა ხნის წინ ისიც განაცხადეთ, რა ხდებოდა 2012 წელს სასამართლო სისტემაში, ყველაფერს ვიტყვიო. არ დადგა დრო, თქვათ? ყველაფერში რა იგულისხმეთ?**

– მე არ ვგულისხმობდი პიროვნებებს... სხვათა შორის, მე რომ პოლიტიკაში წასვლა მდომებოდა, ადრევე გადავდგებოდი, მერე გამოვიდოდი და ტყუილ-მართალს მოვყვებოდი, თუ ვინმეს დაეჯერება, სასამართლოში რა ხდება, სწორედ მე დამეჯერება. კარგად გავაფორმებდი და სიტუაციას უფრო დავამძიმებდი. თუმცა გაფორმებაც არ არის საჭირო, ისედაც ბევრი პრობლემაა... მაგალითად, მოვყვებოდი, როგორ იღებდნენ გადაწყვეტილებებს 2012 წელს, როგორ ათანხმებდნენ, ვისთვის რა მიესაჯათ და ასე შემდეგ. აი, ეს ვიგულისხმე. მე სასამართლოს სისტემის დანგრევა კი არა, გაჯანსაღება მინდა. კიდევ ერთხელ ვამბობ, დანგრევა რომ მინდოდეს, ტყუილსა და მართალს ყველაფერს მოვყვები. მერე გამოვიდნენ და იმართლონ თავი, რომ ასე არ იყო. სასამართლოში კარგი ადამიანებიც არიან, მაგრამ შექმნილი სიტუაციის გამო ყველას ერთი გვარი და სახელი აქვს.

**— თქვენ შიგნით იყავით, ჯერ კიდევ ხართ, ფაქტობრივად, ვერაფერს მიაღწიეთ, დამარცხდით და ახლა ფიქრობთ, რომ გარედან, არასამთავრობოთი უფრო მეტს მიაღწევთ?**

– როდესაც მე შიგნით ვარ, ძალიან ბევრი შეზღუდვა მაქვს. 2012 წლამდეც ძალიან ბევრი თემაა, რაზეც უნდა ეთქვა ადამიანს, მაგრამ ასე მოხდა, არ ითქვა. როცა არასამთავრობოს ეგიდით მუშაობ, უფრო თავისუფალი ხარ. ახლაც ზოგიერთი კანონპროექტი არასწორადაა შეტანილი პარლამენტში, სასამართლოდან ამ თემებზე ვერ ისაუბრებ, ვერ გამოხატავ შენს პოზიციას. მე კიდევ წელიწადნახევარი მქონდა დარჩენილი, ჩემს კოლეგებს თვეები დარჩათ და მათიც მესმის, თანამდებობის პირები კი არა, ისინიც სხვანაირად ფიქრობენ, მაგრამ ჩემს მხარეს ვერ დგებიან. მე შემიძლია, გამოვიდე და ვთქვა, ნამუსი არც ერთს არ გაგაჩნიათ, განცხადება ერთი-ორმა მაინც გააკეთეთ-მეთქი, მართალი ვიქნები, მაგრამ ამაზე ჯერ არ მივდივარ. კი, ბატონო, მეც გავჩუმდებოდი და ვიცხოვრებდი კარგად ჩემს ოთხ შვილთან ერთად, მერე ამით ქვეყანას რა? მე გადაწყვეტილება მივიღე და ახლა ვისაც სურვილი აქვს, შემომიერთდეს, არავის არაფერს ვაძალებ, თანადგომა მე კი არა, ქვეყანას უნდა გამოუცხადონ...

## ბომბი, რომელიც ბრიუსელის აეროპორტში გამოიყენეს, ლურსმნებს შეიცავდა



ბომბი, რომელიც ბრიუსელში, ვიეტნამის აეროპორტში გამოიყენეს, ლურსმნებს შეიცავდა. ამის შესახებ გამოცემა „ტელეგრაფი" წერს.

გამოცემის თანახმად, როგორც ექიმები აცხადებენ, აეროპორტში მომხდარი აფეთქებების შედეგად დაშავებული ადამიანების სხეული ლურსმნებითა და მინის ნატეხებით იყო დაზიანებული. (ნიუპოსტი)

## ალეკო ელისაშვილი: პროკურატურამ კი დახურა ეს საქმე, მაგრამ მე — არა



საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი პროკურატურას კვლავ უნდობლობას უცხადებს.

ელისაშვილის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ საგამოძიებო უწყებაში მისი განცხადებების შესახებ გამოძიება შეწყდა, ის ბრძოლას მაინც გააგრძელებს.

– ორი ტელეფონიდან ვერ აღადგინეს ექვსი მესიჯი. „მაგთის" ამონაწერი ადასტურებს ამ მესიჯების არსებობას. არადა, უწერიათ, რომ ჩემს ტელეფონში აღდგა 1596 მესიჯი. შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ეს დასკვნა დაწერილია არა პროკურატურაში გამომძიებლების, არამედ თავად ეკა ბესელიასა და მანანა კობახიძის მიერ.

პროკურატურამ კი დახურა ეს საქმე, მაგრამ ეს საქმე მე არ დამიხურავს, ეს არის ჩემი ღირსების საქმე. უკვე ბესელია-კობახიძის გარდა, ამ საქმის ჩაფარცხვისა და მტკიცებულებების გაყალბების გამო, აუცილებლად კანონის წინაშე პასუხს ვაგებინებ პროკურორებს და ექსპერტიზის ბიუროს წარმომადგენლებს, – განაცხადა ელისაშვილმა.

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ე.წ. კოკაინის საქმეზე ჩადენილ შესაძლო კორუფციულ ფაქტზე გამოძიება დაასრულა, რაც, უწყების ინფორმაციით, ჩატარებული გამოძიებით არ დადასტურდა.

– საქმეზე ჩატარებული გამოძიებით არ დადასტურდა ე.წ. კოკაინის საქმეზე მსჯავრდადებულ პირებსა და ალექსანდრე ელისაშვილის მიერ დასახელებულ პოლიტიკოსებს შორის შეწყალების საკითხებთან დაკავშირებით კორუფციული გარიგების ფაქტი, რის გამოც საქართველოს პროკურატურამ საქმეზე შეწყვიტა გამოძიება, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში, რომელიც უწყებამ რამდენიმე დღის წინ გაავრცელა. (ინფო9)

# თურქეთის სპეცსამსახურებმა ბელგია გააფრთხილეს, მაგრამ მათი მხრიდან ამ გაფრთხილების იგნორირება მოხდა



ერთ-ერთი ბოევიკი, რომელიც ბრიუსელის 22 მარტის ტერაქტებშია ეჭვმიტანილი, თურქეთის ხელისუფლებამ 2015 წლის ივნისში დააკავა და ბელგიაში მისი დეპორტირება განახორციელა.

„ბიბისის" ინფორმაციით, ამის შესახებ თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ ტაიპ ერდოღანმა განაცხადა.

– ბრიუსელში ერთ-ერთი თავდამსხმელი ქალაქ გაზიანტეპში დააკავეს და ბელგიაში მისი დეპორტაცია განხორციელდა, – აღნიშნა თურქეთის პრეზიდენტმა.

ერდოღანის თქმით, როდესაც ბელგიის ხელისუფლებისთვის დეპორტირებულის გადაცემა ხდებოდა, თურქეთის სპეცსამსახურებმა ბელგია გააფრთხილეს, რომ აღნიშნული პირი ბოევიკი-ჯიჰადისტია, მაგრამ მათი მხრიდან ამ გაფრთხილების იგნორირება მოხდა, ვინაიდან ვერ შეძლეს მისი კავშირების დადასტურება ტერორისტულ ორგანიზაციებთან. (ინტერპრესნიუსი)

# რუსეთი უკრაინას ნადეჟდა სავჩენკოს ორ კვირაში გადასცემს



უკრაინელი მფრინავი ნადეჟდა სავჩენკო, რომელსაც სასამართლომ რუსი ჟურნალისტების მკვლელობისთვის 22 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, უახლოეს ორ კვირაში უკრაინას გადაეცემა. უკრაინული სააგენტო „უნიანის" ინფორმაციით, გამოცემა „გრანი.რუ" წერს, რომ ამის შესახებ დახურულ შეხვედრაზე კიევში რუსეთის ელჩმა მიხაილ ზურაბოვმა განაცხადა.

მას არ დაუკონკრეტებია, მოხდება თუ არა სავჩენკოს გაცვლა რუსეთის დაპატიმრებულ მოქალაქეებზე.

„გრანი.რუს" წყაროს ინფორმაციით, რომელიც შეხვედრას ესწრებოდა, ზურაბოვმა განაცხადა, რომ რუსული მხარე მზად იყო, სავჩენკო უკრაინისთვის ჯერ კიდევ 8 მარტს გადაეცა, მაგრამ მოსკოვმა ამის გაკეთება კიევში რუსეთის საელჩოზე განხორციელებული თავდასხმების შემდეგ გადაიფიქრა.

ამასთანავე, საინფორმაციო საშუალება „РБК"-ს კრემლში წყარომ განუცხადა, რომ სავჩენკოს უკრაინისთვის გადაცემა უახლოეს მომავალში არ იგეგმება. (ინტერპრესნიუსი)

# საქართველოს სამეურნეო პოტენციალი: რომელი კუთხე რა პროდუქციით არის მდიდარი და როგორია მათი საინვესტიციო შესაძლებლობები



საქართველოში წარმოებული პროდუქტების სია საკმაოდ მრავალფეროვანია და ყველა რეგიონისთვის კონკრეტული პროდუქტის წარმოებაა დამახასიათებელი, რაც რეგიონის ნიადაგურ-კლიმატური პირობებითაა განპირობებული.

რომელი პროდუქტები იწარმოება საქართველოს კონკრეტულ რეგიონებში და როგორია მათი საინვესტიციო შესაძლებლობები?

სოფლის მეურნეობის სამინისტროს კვლევაში 21 პრიორიტეტული პროდუქტის ჩამონათვალია თავმოყრილი.

ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, შიდა ქართლი ვაშლისა და ბლის წარმოებით გამოირჩევა, ქვემო ქართლში საკმაოდ დიდი რაოდენობის ხახვი, პომიდორი და კიტრი იწარმოება. კახეთი ატმის წარმოებით გამოირჩევა (აქვე უნდა აღინიშნოს კახეთის ლიდერობა ყურძნის წარმოების თვალსაზრისით, რადგან კახეთი ყოველთვის მნიშვნელოვანი მევენახეობის მხარე იყო საქართველოში. – ავტ.). იმერეთი მწვანილის, ასევე, რძის პროდუქტების წარმოებით ლიდერობს. ასევე, დიდი რაოდენობით მწვანილი იწარმოება სამეგრელოში. სამეგრელოს რეგიონი ჩაისა და თხილის წარმოებით, გურია ასევე თხილის წარმოებით გამოირჩევა. აჭარაში დიდი რაოდენობით მანდარინი, ხოლო სამცხე-ჯავახეთში დიდი რაოდენობით სტაფილო იწარმოება.

რეგიონების მიხედვით, პროდუქტების წარმოების პროცენტული მაჩვენებლები ასე გამოიყურება:

1. ქვემო ქართლი: ქვემო ქართლში ვაშლის წარმოებაზე მთლიანი წარმოების 4 პროცენტი მოდის, ბლის შემთხვევაში მთლიანი წარმოების 7 პროცენტი იწარმოება ქვემო ქართლში. მთლიანი წარმოების 40 პროცენტი მოდის ქვემო ქართლზე კიტრის შემთხვევაში. პომიდვრის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 65 პროცენტია. როგორც აღინიშნა, ქვემო ქართლი ხახვის წარმოებით ლიდერობს. ამ რეგიონზე ხახვის წარმოების 70 პროცენტი მოდის. სტაფილო – 20 პროცენტი, კარტოფილი – 31 პროცენტი, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი – 17 პროცენტი, ფრინველის ხორცი – 19 პროცენტი, რძის პროდუქტები – 17 პროცენტი, ხორბალი – 13 პროცენტი.

2. შიდა ქართლი: ვაშლი – 64%, ბალი – 57%, ატამი – 21%, პომიდორი – 25%, ხახვი – 15%, ხორბალი – 6%, მტკნარი წყლის თევზი.

3. კახეთი: ბალი – 7%, ატამი – 70%, კიტრი – 40%, პომიდორი – 4%, ხახვი – 10%, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი – 15%, ღორის ხორცი – 21%, ფრინველის ხორცი – 13%, თაფლი – 15%, მტკნარი წლის თევზი.

4. იმერეთი: თხილი – 14%, ვაშლი – 6%, ბალი – 9%, მანდარინი – 1%, ატამი – 2%, კიტრი – 10%, პომიდორი – 4%, მწვანილი, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი – 18%, ღორის ხორცი – 20%, ფრინველის ხორცი – 19%, მტკნარი წყლის თევზი, რძის პროდუქტები – 21%, ხურმა.

5. სამეგრელო: თხილი – 52%, ვაშლი – 9%, მანდარინი – 5%, ატამი – 2%, ხურმა, მწვანილი, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი – 15%, ღორის ხორცი – 23%, ფრინველის ხორცი – 21%, რძის პროდუქტები – 15%, თაფლი – 33%, ჩაი – 55%.

6. გურია: თხილი – 23%, მანდარინი – 17%, ხურმა, ჩაი – 12%.

7. აჭარა: მანდარინი – 77%, ხურმა, კარტოფილი – 4%, მტკნარი წყლის თევზი, თაფლი – 15%, ჩაი – 33%.

8. სამცხე-ჯავახეთი: სტაფილო – 70%, კარტოფილი – 55%, მტკნარი წყლის თევზი. (allnews.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნუკრი ქანთარია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" საქმიანობაში ირაკლი ღარიბაშვილის ჩართვას მიესალმება



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ნუკრი ქანთარია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" საქმიანობაში ყოფილი პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ჩართვას მიესალმება. როგორც ქანთარია აცხადებს, ირაკლი ღარიბაშვილი გამოცდილი კადრია და მისი რესურსის გამოყენება პარტიისთვის მნიშვნელოვანი და ეფექტური იქნება.

– კონკრეტულ ინფორმაციას არ ვფლობ, რა ფორმით შეიძლება ჩაერთოს ყოფილი პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი პარტიის საქმიანობაში, თუმცა აქტიურ პოლიტიკურ პროცესებში მის ჩართვას მივესალმები. მიუხედავად მისი ასაკისა, ირაკლის დაუგროვდა საკმაოდ დიდი პოლიტიკური გამოცდილება და მისი რესურსების გამოყენება ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი და ეფექტური იქნება, – განაცხადა ნუკრი ქანთარიამ.

პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" ყოფილ თავმჯდომარესთან, ექსპრემიერ ირაკლი ღარიბაშვილთან კონსულტაციებს გამართავს. ამის შესახებ პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

უკვე ცნობილია, რომ პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" ყრილობა აპრილში ჩატარდება. ყრილობაზე „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" ახალ თავმჯდომარეს აირჩევენ. აღნიშნულ პოსტზე პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის კანდიდატურაა წარდგენილი. (kvira.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „საქართველოში საკვები ძვირია" – რას ყვებიან კანადელი ტურისტები, რომლებმაც 35 ქვეყანაში იმოგზაურეს




კანადელი წყვილი – ნიკი და დარისი სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობს და საკუთარ ბლოგზე მკითხველს შთაბეჭდილებებს უზიარებს.

წყვილმა უკვე 35 ქვეყანა შემოიარა, მათ შორის საქართველო. მათ გვერდზე საინტერესო სტატია აღმოვაჩინეთ სათაურით – „ჩვენი ყოველდღიური ბიუჯეტი იმ ყველა ქვეყანაში, სადაც ვიმოგზაურეთ". როგორც ნიკი წერს, 35-ვე ქვეყანაში სტანდარტულ, ე.წ. ქვეით ტურისტებად იყვნენ. ისინი ყველგან, ყველაზე იაფიან, 2 ადამიანზე გათვლილ კერძო ოთახს ირჩევენ, თანხას ექსკურსიებზე ხარჯავენ, ყველგან სვამენ ლუდს, მაგრამ არასდროს მიდიან ღამის კლუბებში, სადილობენ და ზოგიერთ ადგილას მოტოციკლს, ან ავტომობილს ქირაობენ.

– გაეცანით ჩვენს გამოცდილებას და მის საფუძველზე დაგეგმეთ შვებულება, – წერს წყვილი.

როგორც სტატიაში ვკითხულობთ, ფასები 2 ადამიანისთვისაა განკუთვნილი ამასთანავე, მოიცავს ქვეყანაში შესვლისთვის ვიზას.

– საქართველო: (დღეში 108 დოლარი): ეს თანხა მხოლოდ ქვეყნის დედაქალაქისთვის, თბილისისთვისაა განკუთვნილი. ოთახში 1 ღამეში 50 დოლარი გადავიხადეთ, ფასში საუზმეც შედიოდა. საკვები ძალიან ძვირია (დაახლოებით 10 დოლარი), მაგრამ გემრიელი. თანხაში შედის ტრანსპორტი თურქეთიდან (50 დოლარი/პერსონა/გზა) და საკმარისი რაოდენობის ლუდი. ვიზა 30 დღის განმავლობაში უფასოა. ალკოჰოლზე ფულის დაზოგვა ქალაქის სხვადასხვა ღვინის მაღაზიებში უფასო ღვინის სინჯის დაგემოვნებით შეგიძლიათ, – წერია სტატიაში.

რაც შეეხება ქვეყნების ნუსხას, სადაც 1 დღის სამყოფი თანხაა მითითებული, ის ასე გამოიყურება:

ინდოეთი: (30 დოლარი); ინდონეზია: (30 დოლარი); მალაიზია: (40 დოლარი); შრი-ლანკა: (40 დოლარი); ეგვიპტე: (40 დოლარი); კამბოჯა: (45 დოლარი); ვიეტნამი: (45 დოლარი); ტაილანდი: (50 დოლარი); მიანმარი: (50 დოლარი); ნეპალი: (54 დოლარი); ლაოსი: (55 დოლარი); ფილიპინები: (55 დოლარი); მაროკო: (56 დოლარი); ბორნეო: (60 დოლარი); მალავი: (61 დოლარი); ბრუნეი: (65 დოლარი); ტანზანია: (66 დოლარი); ლიბანი: (74 დოლარი); სინგაპური: (75 დოლარი); ჩინეთი: (80 დოლარი); ინგლისი: (87 დოლარი); სომხეთი: (88 დოლარი); კენია: (92 დოლარი); სვაზილენდი: (94 დოლარი); მოზამბიკი: (97 დოლარი); თურქეთი: (98 დოლარი); ესპანეთი: (100 დოლარი); იორდანია: (101 დოლარი); საქართველო: (108 დოლარი); ჰონკონგი: (110 დოლარი); საბერძნეთი: (111 დოლარი); სამხრეთ აფრიკა: (119 დოლარი) (allnews.ge)

# საფრანგეთის პრემიერი: დღეს ევროპაში ტერაქტების საფრთხე უფრო მაღალია, ვიდრე პარიზის ტერაქტებამდე იყო



საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი მანუელ ვალსი აცხადებს, რომ დღეს ევროპაში ტერორისტული აქტების საფრთხე იმაზე მაღალია, ვიდრე პარიზის ტერაქტებამდე. პარიზში ტერორისტული აქტების სერია გასული წლის 13 ნოემბერს მოხდა და მას 130 ადამიანი ემსხვერპლა.

– ამ ინფორმაციას საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო და უშიშროების სამსახურები ადასტურებენ. ტერაქტების საფრთხე ევროპაში ასეთ მაღალ დონეზე არასოდეს ყოფილა. შესაძლოა, ის დღეს უფრო მაღალ დონეზე იყოს, ვიდრე პარიზის ტერორისტულ აქტამდე, – განაცხადა ვალსმა რადიოსადგურ „ევროპა პლუსის" ეთერში. (kvira.ge)

# „წარმოუდგენელი იყო, რომ დადგებოდა დრო, როცა ახალაია პოლიტდევნილი, იდეისთვის ტანჯული ადამიანი იქნებოდა"



კიდევ ერთხელ ნათლად გამოჩნდა, რომ საქართველოს მთავარ პროკურატურას არავითარი ინტელექტუალური რესურსი არ აქვს, ადამიანს საჯაროდ, საყოველთაოდ და მრავალჯერადად ჩადენილი დანაშაული დაუმტკიცოს, – ასე აფასებს ოპოზიციონერი დეპუტატი გიორგი ცაგარეიშვილი ინტერპოლის მიერ დათა ახალაიას მიმართ ძებნის შეწყვეტას.

ცაგარეიშვილის აზრით, პროკურატურამ საქმე ისე წაიყვანა, რომ „ახალაიას და მის მსგავს კრიმინალებს ხალხმა თურმე აქეთ უნდა მოუხადოს ბოდიში".

– ვფიქრობ, ეს არის ერთ-ერთი დიდი სამარცხვინო ლაქა საქართველოს ხელისუფლების სხეულზე. ჩემთვის აბსოლუტურად წარმოუდგენელი იყო, რომ თურმე დადგებოდა დრო, როცა ბატონი ახალაია პოლიტდევნილი, იდეისთვის ტანჯული ადამიანი იქნებოდა, ხოლო ის ადამიანები, რომელთაც ამ ქვეყანაში მისი და მისნაირების თარეშის გამო უდიდესი გაჭირვება გამოიარეს, იქნებოდნენ არა დაზარალებულები, არამედ ამგვარი ადამიანების მდევნელნი და ქვეყნიდან გამძევებლები. თურმე, ჩვენი ბრალი ყოფილა, რომ მიტინგებს არბევდნენ, ხალხს ხოცავდნენ, უსმენდნენ და უთვალთვალებდნენ ნებისმიერ ადამიანს – ეს ყველაფერი დანარჩენი საქართველოს ბრალი ყოფილა და არა დათა ახალაიას და მისნაირი ე.წ. ჩინოსნების, – განაცხადა ცაგარეიშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## პენტაგონმა „ალ-ქაიდას“ 200 ტერორისტი გაანადგურა



უცხოური მედიის ინფორმაციით, პენტაგონმა იემენში „ალ-ქაიდას“ საწვრთნელ ბაზაზე მასიური საჰაერო დარტყმა განახორციელა, რასაც ტერორისტების განადგურება მოჰყვა.

მედიის ინფორმაციით, ორი საჰაერო იერიშის შედეგად, რომელიც გამთენიისას განხორციელდა, 200-მდე ტერორისტია განადგურებული. (პირველი რადიო)

## სადისტრიბუციო კომპანიები მაღაზიებიდან თანხებს ვერ იღებენ — სავაჭრო ქსელებს მილიონობით დავალიანება დაუგროვდათ



სადისტრიბუციო კომპანიებს თანხების ამოღებასთან დაკავშირებით პრობლემები აქვთ. სავაჭრო ქსელებს მათ მიმართ მილიონობით დავალიანება დაუგროვდათ. კომპანია „გრანდი“ ერთ-ერთი სადისტრიბუციო კომპანიაა, რომლის მიმართ „პოპულისა“ და „მარშეს“ დაახლოებით 150 ათასი ლარის დავალიანება აქვს. კომპანია ამ დრომდე ვერ ახერხებს თანხების ამოღებას სხვადასხვა მცირე მაღაზიებიდანაც.

„პოპულისა“ და „იოლს“, რომელთა გადახდისუუნარობის საქმის წარმოებაც ამჟამად მიმდინარეობს, მიმწოდებლების მიმართ 13 მილიონის დავალიანება ჰქონდა დაგროვილი. „ფუდმარტის“ მიერ ქსელების ყიდვის შემდეგ კრედიტორების დავალიანების ნაწილი დაიფარა, თუმცა როდის მოხდება დარჩენილი თანხების გადახდა, ჯერჯერობით უცნობია.

იურისტები, რომლებიც სხვადასხვა დროს სადისტრიბუციო კომპანიების უფლებებს იცავდნენ, არსებული პრობლემის მოგვარების გზად საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგებას მიიჩნევენ. ადვოკატი ზურაბ ვანიშვილი აცხადებს, რომ სავაჭრო ქსელების გარკვეული რეგულაციების ქვეშ მოქცევა აუცილებელია.

გამოუძიებელი საქმეების ფონზე სადისტრიბუციო კომპანიები არ გამორიცხავენ, რომ თანხების ამოღებასთან დაკავშირებით პრობლემები სხვა სავაჭრო ქსელებთანაც შეექმნათ. კომპანიები იმ მკაცრ პირობებზეც საუბრობენ, რასაც მსხვილი ქსელები მიმწოდებლებს უყენებენ.

სადისტრიბუციო კომპანიებმა დავალიანებებთან დაკავშირებული პრობლემა პრემიერ-მინისტრს მცირე და საშუალო ბიზნესთან გამართულ შეხვედრაზე გააცნეს. კომპანიები მთავრობისგან საკითხის გადასაჭრელად კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას ითხოვენ. (bpn.ge)

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



## ხალხს ამ ხელისუფლების ატანა აღარ აქვს, ბაღის დირექტორებმა კი საარჩევნო ხმების შეგროვება უკვე დაიწყეს?



გუშინ თბილისის ბაგა-ბაღებში მორიგი საკადრო წმენდა ჩატარდა. როგორც ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი ამბობს, დირექტორები დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობისა და ზერელე დამოკიდებულების გამო განთავისუფლდნენ თანამდებობებიდან.

**რა ხდება რეალურად თბილისის ბაგა-ბაღებში და რას აპირებენ განთავისუფლებული დირექტორები?**

**„ალიას“ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ დამფუძნებელი, ლევან ხაბეიშვილი ესაუბრა:**

– თბილისის ბაგა-ბაღებიდან ბოლო სამი თვის განმავლობაში განთავისუფლებულია 27 ბაგა-ბაღის დირექტორი – ესენია: თბილისის №№169, 155, 76, 20, 19, 91, 2, 6, 215, 72, 162, 90, 92, 153, 86, 163, 83, 114, 121, 212 ბაღის დირექტორები. ეს დირექტორები არიან ის კადრები, რომლებსაც თავის დროზე თანამდებობაზე მოსახვედრად გავლილი აქვთ კონკურსები, ხოლო ის ადამიანები, რომლებიც მათ ადგილებზე ინიშნებიან, გამოცდასაც კი არ აბარებინებენ, არც რაიმე ტესტირებას უტარებენ, ასე პირდაპირ ხვდებიან თანამდებობებზე. რაც მთავარია, ამაში ხელი ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელს არ ეშლება იმიტომ, რომ კანონი უმაგრებს ზურგს. კანონით მას გააჩნია დისკრეცია, კონკრეტულ თანამდებობაზე დანიშნოს ის, ვისაც მოისურვებს. შესაბამისად, ყველა ახალი დირექტორი ინიშნება თემურ თორდინავას გემოვნების მიხედვით.

**— დარწმუნებული ხართ, რომ ამ ყველაფერს თორდინავა წყვეტს და „ზემოდან“ არ იღებს დავალებებს?**

– რა თქმა უნდა, ამას დამოუკიდებლად თორდინავა ნამდვილად არ წყვეტს, მას დასანიშნი დირექტორების სიას აწვდიან. ათავისუფლებენ „ქართული ოცნებისთვის“ არასასურველ პირებს და მათ ადგილზე ნიშნავენ პარტიულ აქტივს ისე, როგორც მოხდა 76-ე ბაღის შემთხვევაში, ორხევში, სადაც დირექტორად დაინიშნა „ქართული ოცნების“ კოორდინატორი, ხოლო 155-ე ბაგა-ბაღში საკრებულოს თავმჯდომარის, ბატონი ალიბეგაშვილის რეკომენდაციით მისული დირექტორის მოადგილის ფაქტორით მოიხსნა ამავე ბაღის დირექტორი, ხოლო ეს მოადგილე ძალიან მალე დანიშნეს დირექტორად. თითქმის ყველა ბაღის შემთხვევაში მსგავსი სიტუაციაა, ათავისუფლებენ ადგილებს და მათ ადგილებზე ინიშნებიან „ქართული ოცნების“ აქტივისტები. მაგალითისთვის კიდევ ერთს დავამატებ, გლდანის ლოგოპედიურ ბაღში, მას შემდეგ, რაც გაუშვეს ძველი დირექტორი და მისი მოადგილეები, მოიყვანეს ქალბატონი „ქართული ოცნებიდან. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ არის დაწყებული წინასაარჩევნო კამპანია, ეს ქალბატონი გლდანში უკვე დადის კორპუს-კორპუს და „ქართული ოცნებისთვის“ ხმებს აგროვებს...

**— რას ნიშნავს „ხმებს აგროვებს“?**

– დადის კორპუსებში, აგროვებს ინფორმაციას, ვინ არის პარტიის მხარდამჭერი, იწერს მათ სახელებსა და გვარებს, პირად ნომრებს, სიას აკეთებს. ჩვენ ბაღების სააგენტოს მივწერეთ წერილი და მოვითხოვეთ, ახლად დანიშნული კადრების შესახებ მოეწოდებინათ ინფორმაცია, მაგრამ არ მოგვაწოდეს, მათი კვალიფიკაციის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ არის საჯარო, თუმცა გვაქვს პირადი ინფორმაცია. მაგალითად, 169-ე ბაგა-ბაღის დირექტორს საერთოდ არ გააჩნია უმაღლესი განათლებაც კი. ამის გადამოწმება კი ვერ ხდება იმ მარტივი მიზეზით, რომ არ გვაწვდიან შესაბამის დოკუმენტაციას.

**— რას ეუბნებიან ბაგა-ბაღის დირექტორებს, რის საფუძველზე უშვებენ ბაღიდან?**

– ჩვენ ამ საკითხზე ძირეულად ვმუშაობთ, ვხვდებით განთავისუფლებულ დირექტორებს, საქმეებს ვაერთიანებთ და ერთი სარჩელის სახით შეგვაქვს სასამართლოში. შესაბამისად, დეტალურად ვეცნობით განთავისუფლების მიზეზებს და განთავისუფლების საფუძველი ძირითადად არის ერთ ფარატინა ფურცელზე მითითებული მუხლი, რომ თურმე მონიტორინგის სამსახურს მათთვის მიუცია შენიშვნები. ეს დირექტორები, რომლებზეც ახლა ვსაუბრობთ, მინიმუმ 10 წელია, რაც ბაგა-ბაღებში მუშაობდნენ. ამ ხნის განმავლობაში მათი მისამართით მშობლების მხრიდან არც ერთი საჩივარი არ შესულა. მშობლები და ბავშვები ტირიან ამ დირექტორების განთავისუფლების გამო. ამ ადამიანებმა, ფაქტობრივად, ბაღები დააყენეს ფეხზე და ახლა ასე უსამართლოდ უშვებენ სამსახურებიდან. ერთ რამეზე ამიწევია ხელი, ეს არის ფინანსური დარღვევა, თუ მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა, აუცილებლად უნდა დაისაჯონ, მაგრამ რეალურად ეს არ ხდება. ახლა ამბობს თორდინავა, ამ 27 ყოფილ დირექტორს ფინანსური დარღვევები ჰქონდაო. რა გამოდის, ამდენი ხნის განმავლობაში ბაგა-ბაღებში კორუმპირებული დირექტორები ჰყავდა და ამას 2014 წლიდან უყურებდა?! დაეჭირათ მაშინ, აღეძრათ სისხლის სამართლის საქმეები მათ წინააღმდეგ, მხოლოდ განთავისუფლებით რატომ დაკმაყოფილდნენ? მაგრამ ეს არის მიზანმიმართული, პოლიტიკური დევნა. ხაზს ვუსვამ, თბილისის ბაგა-ბაღები პოლიტიკისგან თავისუფალი არც წინა ხელისუფლებისგან იყო, ამის მიუხედავად ფაქტი, რომ ერთდროულად გაეთავისუფლებინათ სამ თვეში საბავშვო ბაღის 27 დირექტორი, არ ყოფილა. ამას ჰქვია რეპრესია, ასეთი რამ არასდროს მომხდარა.

**— თუ მიმართავენ სასამართლოს განთავისუფლებული დირექტორები და თუ არსებობს პრეცედენტი, რომ სასამართლო მოეგოთ?**

– ასეთი პრეცედენტი ერთი უკვე არსებობს, ახლაც, უმეტესობამ უკვე მიმართა, თუმცა ჯერ სასამართლო სხდომები არ არის ჩანიშნული.

**„გლდანის ლოგოპედიურ ბაღში, მას შემდეგ, რაც გაუშვეს ძველი დირექტორი და მისი მოადგილეები, მოიყვანეს ქალბატონი „ქართული ოცნებიდან. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ არის დაწყებული წინასაარჩევნო კამპანია, ეს ქალბატონი გლდანში უკვე დადის კორპუს-კორპუს და „ქართული ოცნებისთვის“ ხმებს აგროვებს...“**

**— თორდინავა აბსოლუტურად გამორიცხავს განთავისუფლებების პოლიტიკურ მოტივს და ამბობს, ეს რომ პოლიტიკურ პროცესებთან ყოფილიყო კავშირში, მაშინ 2014 წელშივე გაათავისუფლებდნენ დირექტორებსო.**

– თორდინავა ცრუობს და განვმარტავ, რატომ... ეს დრო შეგნებულად არის შერჩეული, ერთი მარტივი მიზეზის გამო. ადმინისტრაციული დავები მინიმუმ ერთი წლის მანძილზე იწელება. აქ არის საქალაქო, სააპელაციო, უზენაესი სასამართლოები, ამიტომაც დაიწყო ეს განთავისუფლებები 2015 წლის ბოლოდან და არა, 2014 წლიდან. საარჩევნო უბნების უმეტესობა არის საბავშვო ბაღებში და სწორედ ასეთ სტრატეგიულ ადგილებში სჭირდებათ სანდო ხალხი. მათ კარგად იცოდნენ, ვინ იყო გასაშვები და ვინ – არა, მაგრამ ამ დროს ელოდებოდნენ. ძალიან დიდი შანსია იმისა, რომ სასამართლო ამ ადამიანებს აღადგენს სამსახურებში, მაგრამ ეს იქნება მაშინ, როდესაც საპარლამენტო არჩევნები უკვე ჩავლილი იქნება, დირექტორების აღდგენა-არაღდგენა კი ხელისუფლებისთვის უკვე მეორეხარისხოვანი იქნება.

**— თუ აღადგენენ ამ დირექტორებს, კომპენსაციაც უნდა გადაუხადონ. თუ გაქვთ გამოთვლილი, რამდენი დაუჯდება ეს ბიუჯეტს?**

– ასეთ შემთხვევაში ზარალს სახელმწიფო ბიუჯეტის სახით ვნახავთ ჩვენვე, მოქალაქეები. იმ შემთხვევაში, თუ გამართლდებიან ბაღების დირექტორები, ასეთნაირად დავთვალოთ: საშუალოდ, მათი ხელფასი არის 800 ლარი, იმ შემთხვევაში, თუ ეს დავები ერთი წლის განმავლობაში გაიწელება, სახელმწიფომ თითოეულს ჯარიმის სახით უნდა გადაუხადოს დაახლოებით 10 ათასი ლარი. ეს 10 ათასი ლარი გავამრავლოთ 27 დირექტორზე და 270 ათასი ლარი გამოდის. ეს მოხდება თემურ თორდინავას უკანონო ბრძანებების შედეგად.

**— ელით კიდევ განთავისუფლებების ტალღების გაგრძელებას?**

– რა თქმა უნდა, განთავისუფლებები გაგრძელდება, სანამ მათი გემოვნების მიხედვით არ დააკომპლექტებენ ბაღებს, დარჩებიან მხოლოდ ის დირექტორები, რომლებიც მათთან ითანამშრომლებენ. ვისაც ვერ დაიყოლიებენ, ასეთ კადრებს ათავისუფლებენ. ახლა ამათ სჭირდებათ მონები, რომლებიც მათ დავალებებს წარმატებით შეასრულებენ.

**— როგორც ვიცი, განთავისუფლებული დირექტორების ნაწილს ესაუბრეთ. რა გეგმები აქვთ, აპირებენ რამეს?**

– ჩვენი დახმარებით ეს ადამიანები მიმართავენ სასამართლოს, ამავდროულად, მიმართავენ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ხელმძღვანელს ეკა ბესელიას თხოვნით, რომ შეხვდეს მათ და მოისმინოს მათი პრეტენზიები. მათ უნდათ დეპუტატებს უთხრან, რომ ამ განთავისუფლებებს აქვს სისტემური ხასიათი და ეს ხდება უკანონოდ.

**ლევან ხაბეიშვილთან საუბრის შემდეგ „ალია“ ეკა ბესელიას დაუკავშირდა. გვაინტერესებდა, შეხვდება თუ არა ის საბავშვო ბაღებიდან განთავისუფლებულ დირექტორებს. მან მოგვწერა შეტყობინება, რომ კითხვა „ესემესი“-ს“ სახით მიგვეწერა. მივწერეთ კიდეც, თუმცა ამის შემდეგ ჩვენთვის არ უპასუხია.**

## ავსტრალიაში 16 წლის გოგონა ტერორისტების დაფინანსებაშია ეჭვმიტანილი



ავსტრალიაში 16 წლის სკოლის მოსწავლე გოგონა ტერორისტების დაფინანსებაშია ეჭვმიტანილი. ტელეკომპანია „ეიბისის“ ინფორმაციით, მას ბრალის დამტკიცების შემთხვევაში 25 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

გოგონას სირიაში მოქმედი „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში მებრძოლი ავსტრალიელისთვის ათასობით დოლარის გადარიცხვაში სდებენ ბრალს. თანხის გაგზავნისთვის მან „ვესტერნ უნიონი“ გამოიყენა. გოგონა, რომლის ვინაობასაც არ ასახელებენ, 20 წლის ბიჭთან, მილად ატაისთან ერთად დააკავეს. ისინი ერთ-ერთ პარკში პოლიციამ იმ დროს აიყვანა, როდესაც მსჯელობდნენ, როგორ გაეგზავნათ ფული ტერორისტებისთვის სირიაში. (allnews.ge)

## ბრიუსელის ტერაქტების ფონზე, აზიის საფონდო ბირჟები დაეცა



ბრიუსელის ტერაქტების შემდეგ, აზია-წყნარი ოკეანის საფონდო ბირჟებმა სავაჭრო სესია ვარდნით დაასრულეს.

იაპონური Nikkei 225-ის ინდექსი 0,35 პროცენტით შემცირდა, სამხრეთკორეული Kospi – 08 პროცენტით, ავსტრალიის S&P/ASX 200-მა 0,5 პროცენტი დაკარგა, ჰონკონგის სავაჭრო ინდექსმა Hang Seng-მა კი სავაჭრო სესია 0,25-პროცენტიანი ვარდნით დახურა. ჩინეთის Shanghai Composite-ის ინდექსი ერთადერთი იყო, რომელმაც 0,35-პროცენტიანი ზრდა დააფიქსირა.

დღევანდელი მონაცემებით, დოლართან მიმართებაში გაუფასურდა ბრიტანული ფუნტი და 1,4397-დან 1,4220 აშშ დოლარამდე დაეცა, რაც ანალიტიკოსების შეფასებით, უკავშირდება რეფერენდუმს დიდი ბრიტანეთის ევროკავშირში დარჩენა-არდარჩენის საკითხზე.

როგორც ანალიტიკოსები აღნიშნავენ, ევროკავშირის დატოვების მხარდამჭერები აცხადებენ, რომ ევროკავშირში უკონტროლო მიგრაცია მომავალში ტერორისტული თავდასხმების საფრთხეს გაზრდის და ეს დიდ ბრიტანეთზეც აისახება.

ავსტრალიის Woodside Petroleum-ის აქციები 1,2 პროცენტით დაეცა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ავსტრალიაში გაურკვეველი ვადით გადაიდო თხევადი გაზის მოპოვების მასშტაბური პროექტის განხორციელება. (bpn.ge)

## Washington Post-ის ინტერვიუ 2016 წლის ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ დასახელებულ დონალდ ტრამპთან



პრეზიდენტობის კანდიდატი დონალდ ტრამპი გავლენიანი ამერიკული გამოცემა The Washington Post-ის ჟურნალისტებსა და სარედაქციო საბჭოს შეხვდა, სადაც წარადგინა საკუთარი ხედვა აშშ-ის როლზე მსოფლიოში, ისაუბრა ჩინეთზე, რუსეთზე, უკრაინასა და ნატოზე.

ჟურნალისტებმა პრეზიდენტობის კანდიდატს სთხოვეს, დაესახელებინა აშშ-ის სახელმწიფო მდივანი და თავდაცვის მინისტრი, რომლებიც მისი მოსაზრებით, საკუთარ მოვალეობებს კარგად ასრულებდნენ.

ტრამპმა განაცხადა, რომ ჯორჯ შულცი კარგად მუშაობდა. ჟურნალისტებმა ტრამპს შეახსენეს, რომ შულცი აქტიურად მონაწილეობდა დემოკრატიისა და თავისუფლების განმტკიცებაში საზღვარგარეთ და ჰკითხეს, უნდა მიჰყვეს თუ არა აშშ ამ კურსს დღევანდელ სამყაროში?

– ვფიქრობ, ახლა მსოფლიო სხვანაირი გახდა. მიმაჩნია, რომ ჩვენ აღარ უნდა ვიყოთ დაკავებული სხვა ქვეყნების აღმშენებლობით. ჩემი მოსაზრებით, უკვე დამტკიცდა, რომ ეს არაეფექტურია. გარდა ამისა, ჩვენი ქვეყანა სხვანაირი გახდა. ჩვენ 19 ტრილიონი დოლარის ვალი გვაქვს. შეიძლება ითქვას, რომ ბუშტზე ვზივართ, რომლის გასკდომის შემთხვევაშიც საშინელება მოხდება. ვფიქრობ, ჩვენ ჩვენი ქვეყანა უნდა აღვადგინოთ. შეხედეთ ჩვენს ინფრასტრუქტურას – ჩამოვედი აეროპორტში, რომლის მდგომარეობაც არცთუ ისე კარგია. ყატარში თუ წახვალთ, იქ დაინახავთ აეროპორტებს, როგორიც ჯერ არასდროს გინახავთ, – განაცხადა ტრამპმა.

ამასთანავე, ტრამპი მიიჩნევს, ჰილარი კლინტონსა და ჯონ კერის არაფერი გაუკეთებიათ: „ჩემი მოსაზრებით, ბოლო და ამჟამინდელმა სახელმწიფო მდივნებმა ცოტა რამ გააკეთეს. ვფიქრობ, ჯონ კერის შეთანხმება ირანთან – ერთ-ერთი ყველაზე ცუდია. ეს საშინელი დათმობაა“.

მისი თქმით, სანქციების მოხსნის შემდეგ ირანმა დასავლეთში გაყინული თანხები დაიბრუნა, თუმცა, აშშ-ში მაინც არაფერს ყიდულობს. „ისინი 118 თვითმფრინავს ყიდულობენ „Airbus“-ისგან და არა „Boeing“-ისგან. ყველაფერს აკეთებენ, ოღონდ ჩვენს ქვეყანაში ფული არ დახარჯონ“, – ამბობს ტრამპი.

კითხვაზე, უნდა მონაწილეობდეს თუ არა აშშ ფასეულობებისა და დემოკრატიის ხელშეწყობაში სხვა ქვეყნებში, ტრამპმა ჟურნალისტებს დადებითი პასუხი გასცა.

– ვფიქრობ, ჩვენ გვაქვს ფასეულობები, რომლის განმტკიცებას ხელი უნდა შევუწყოთ. ჩვენი ქვეყანა ცუდ მდგომარეობაშია. შეხედეთ ჩვენს ქალაქებს – ისინი საშინელ მდგომარეობაშია. მე ვხედავდი, როგორ ვაშენებდით სკოლებს ერაყში, შემდეგ კი მათ აფეთქებდნენ. შემდეგ სხვას ვაშენებდით და იმასაც აფეთქებდნენ. სკოლა სამჯერ ავაშენეთ და ამავდროულად, ბრუკლინში ვერ ვაშენებთ სკოლას. ჩვენ არ გვაქვს ფული განათლებისთვის, რადგან საკუთარ ქვეყანაში არ გვაქვს მშენებლობის საშუალება, – აღნიშნავს ტრამპი.

პრეზიდენტობის კანდიდატმა საკუთარი ხედვა წარადგინა ნატოს მომავალთან დაკავშირებითაც:

– ნატოს განვიხილავ როგორც კარგ საქმეს. ვუყურებ უკრაინას და ვფიქრობ: უკრაინა ჩვენ გაცილებით ნაკლებად გვეხება, ვიდრე სხვა ქვეყნებს, მაგრამ ჩვენ ვასრულებთ რთულ სამუშაოს, სხვა ქვეყნები კი არაფერს აკეთებენ. ვსვამ კითხვას: რატომ არ აგვარებს უკრაინის პრობლემას ნატოსთან ერთად გერმანია? რატომ არ აგვარებენ ამ პრობლემას უკრაინის მეზობლები? რატომ ვართ ყოველთვის წინ, რატომ მივექანებით პოტენციური მესამე მსოფლიო ომისკენ რუსეთთან? რატომ ვაკეთებთ ყოველთვის ამ საქმეს?ნატოს კარგი კონცეფცია აქვს, მაგრამ მიმაჩნია, რომ აშშ-ს გარკვეული დახმარება სჭირდება, თუმცა, არავინ გვეხმარება. მოდით, უკეთეს მაგალითს მოგიყვანთ: ჩვენ ვუხდით მილიარდებს, ასობით მილიარდ დოლარს დახმარების სახით ქვეყნებს, რომლებიც თეორიულად ჩვენზე მდიდრები არიან, – განაცხადა ტრამპმა და ასეთ ქვეყნებად გერმანია, საუდის არაბეთი, იაპონია და სამხრეთ კორეა დაასახელა.

კითხვაზე, სწორად მოიქცა თუ არა აშშ, როცა რუსეთს ყირიმის გამო სანქციები დაუწესა და გაახანგრძლივებს თუ არა ამ სანქციებს ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, ტრამპმა განაცხადა:

„ვფიქრობ კი, მაგრამ არ მგონია, სხვებმა ამ მიმართულებით რამე მოიმოქმედონ“...

ნატოს საკითხზე საუბრისას ტრამპს ჰკითხეს, კონკრეტულად რას ითხოვს იგი მოკავშირეებისგან.

– ჩვენ მდიდარი ქვეყანა აღარ ვართ. ჩვენ ფულს ვსესხულობთ. ნატო ძალიან ძვირი გვიჯდება. მართალია, ევროპას ვიცავთ, მაგრამ ძალიან ბევრ ფულს ვხარჯავთ. პირველ რიგში, ვფიქრობ, რომ ხარჯები სხვაგვარად უნდა გადანაწილდეს. ჩვენ ვიყავით ძალიან გავლენიანი, ძალიან ძლიერი სახელმწიფო. ახლა კი ჩვენი ქვეყანა ღარიბია. ეს მევალე ქვეყანაა. მინდა გკითხოთ, როგორ გადაიხდით 21 ტრილიონი დოლარის ვალს? ამ თანხას სხვა ქვეყნების დასაცავად ვიყენებთ და არ ვხარჯავთ საკუთარ თავზე. ჩვენ მოძველებული ჯავშანმანქანები გვყავს. საუკეთესოები მტერს მივეცით, გადავეცით მოკავშირეებს ახლო აღმოსავლეთში. ერთი გასროლა ჰაერში საკმარისია, რომ ისინი გაიქცნენ, მტრები კი ყველაფერს ხელში ჩაიგდებენ, – განაცხადა დონალდ ტრამპმა.

შეხვედრის დასასრულ, ტრამპმა განაცხადა: „მე რადიკალი არ ვარ“,

თუმცა როგორც ჟურნალისტები წერენ, მისი პასუხები თითქმის არ ტოვებს ეჭვს, რამხელა რისკის წინაშე აღმოჩნდება ამერიკელი ერი ტრამპის თეთრ სახლში მოხვედრის შემთხვევაში.

(allnews.ge)

## ტერაქტისას დაშავებული, რომელიც „მოამბის“ ჟურნალისტმა გადაიღო, ცნობილი კალათბურთელი აღმოჩნდა





ბრიუსელის აეროპორტში მომხდარი ტერაქტის დროს დაშავებული, რომლის ფოტომაც მსოფლიო მედია მოიცვა, ბრაზილიური წარმოშობის ბელგიელი კალათბურთელი სებასტიენ ბელინი აღმოჩნდა. ამის შესახებ ინფორმაციას Daily Mail-ი ავრცელებს.

შეგახსენებთ, ფოტო, რომელზეც ტერაქტისას დაშავებული ბელგიელი კალათბურთელია აღბეჭდილი, საზოგადოებრივი მაუწყებლის კორესპონდენტმა ქეთევან ქარდავამ გადაიღო, რომელიც მომხდარ თავდასხმას შეესწრო. (droni.ge)

## ომარ ნიშნიანიძე: თუ ვინმეს არ უნდა კოალიციაში, ცალკე სცადონ გასვლა



– ის, რაც „ეროვნულ ფორუმსა“ და „რესპუბლიკელებში“ ხდება, ჩვეულებრივი პოლიტიკური ვაჭრობაა. ისინი ადგილებზე ვაჭრობენ, – აღნიშნული განცხადება საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, ომარ ნიშნიანიძემ გააკეთა. ნიშნიანიძე არ ვარაუდობს, რომ კოალიცია დაიშალოს, თუმცა დასძენს, რომ თუ ვინმეს მართლაც სურს კოალიციის დატოვება, მას ჯაჭვს ვერავინ გამოაბამს და შეუძლია, არჩევნებზე ბედი ცალკე სცადოს.

– ბუნებრივია, ისინი აცხადებენ, კახა შარტავა ბრუნდება პოლიტიკაში, აცხადებენ, რომ მათ მარტოსაც შეუძლიათ ბარიერის გადალახვა. ასე შეიძლება ხვალ „მრეწველებმაც“, „რესპუბლიკელებმაც“ და სხვებმაც განაცხადონ. ეს ბუნებრივი პროცესია და კოალიციის შიდა თემაა. ისინი ცდილობენ, თავიანთი ადგილი დაიმკვიდრონ კოალიციაში.

როდესაც „რესპუბლიკელებმა“ დაიწყეს შეთანხმებაზე ლაპარაკი, „ქართულ ოცნებასთან“ ხელშეკრულების გაფორმებაზე სხვები, რა თქმა უნდა, ამით გულნაკლულები დარჩებიან და ისინიც გააქტიურდებიან და რამეს მოითხოვენ. თუ ვინმეს არ უნდა კოალიციაში, ჩვენ ჯაჭვს ვერავის გამოვაბამთ, თუ უნდათ, ცალკე ვცადოთ. ცალ-ცალკე, ეს დემოკრატიისკენ გადადგმული ნაბიჯი უფრო იქნება, ვიდრე უკანსვლა. მოვსინჯოთ, მით უმეტეს, რომ ეს პარტიები, პოლიტიკაში ჩვენი – „ქართული ოცნების“ დამსახურებით არიან მომძლავრებულნი, ისინი აღარ არიან ის სუსტი ძალები, როგორებიც იყვნენ 2012 წელს, – განაცხადა ომარ ნიშნიანიძემ. (kvira.ge)

## გერმანიის პოლიციამ ბრიუსელის ტერაქტებში ეჭვმიტანილი 3 პირი დააკავა




გერმანული მედიის ინფორმაციით, ბავარიაში, მიუნხენ-ზალცბურგის მაგისტრალზე გადაადგილებისას, პოლიციამ საეჭვო პირები დააკავა, რომლებსაც შესაძლოა, ბრიუსელის ტერაქტებთან ჰქონდეთ კავშირი.

ბავარიის კრიმინალური პოლიციის პრესსამსახურის ინფორმაციით, ეჭვმიტანილები გერმანიაში ბრიუსელიდან ჩავიდნენ.

პოლიციამ გამოძიება სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მომზადების მუხლით დაიწყო.

ეჭვმიტანილთა შესახებ, პოლიციაში შეტყობინება ანონიმის მიერ შევიდა. თავის განცხადებაში ანონიმმა წყარომ ბავარიის პოლიციას დაგეგმილი ტერაქტის შესახებ აცნობა და 2 კოსოვოელ ალბანელზე მიაწოდა ინფორმაცია, რომლებიც ვერცხლისფერი „მერსედესის“ მარკის ავტომობილით გადაადგილდებოდნენ. (pia.ge)

## „მუქარა საჭირო არ არის, როდესაც შენი ქვეყნის ტანკები მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე დგანან“




თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელის შეფასებით, არ არის საჭირო სიტყვებისა და მუქარის მოსმენა, როდესაც რუსეთის ტანკები საქართველოს ტერიტორიაზე დგანან და მოქმედებაში არიან მოყვანილი.

მინისტრის განმარტებით, ოკუპანტის მიერ ყოველდღიურად, ნაბიჯ-ნაბიჯ გადმოწეული საზღვრები ნათელი მაგალითია, რატომ უნდა ვიცხოვროთ და ვიბრძოლოთ ყოველდღიურად.

მისი თქმით, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინის მიერ პრაღაში გაკეთებულ განცხადებებს, ყველაზე ნათელი და სწორი პასუხი საქართველოს პირველმა პირებმა გასცეს.

– ყველაზე მარტივი და სწორი პასუხი ამ კითხვაზე საქართველოს პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა გასცეს. ყველაზე უფრო სწორი პასუხი ასევე გაცემულია საქართველოს საოკუპაციო ხაზთან. აგრესია, არარიტორიკული, სამწუხაროდ, არის ქმედითი, ყოველდღიურად გამოხატული, ნაბიჯ-ნაბიჯ საქართველოს ტერიტორიებისა და საზღვრების გადაწევ-გადმოწევის მცდელობა არის ყველაზე ნათელი დასტური იმ რეალობის, რომელშიც ჩვენ ყოველდღიურად ვცხოვრობთ. ამასობაში, ჩვენთვის არის ყველაზე ნათელი მაგალითი, რისთვის ან ვის წინააღმდეგ უნდა ვცხოვრობდეთ და ვიბრძოდეთ ყოველდღიურად. არ არის საჭირო სიტყვები, მუქარის მოსმენა, არ არის საჭირო მითითებები, როდესაც შენი ქვეყნის ტანკები დგანან მეზობელი, სუვერენული, დემოკრატიული სახელმწიფოს ტერიტორიაზე და ყოველდღიურ მოქმედებაში არიან მოყვანილი იმის მიხედვით, როგორი გადაწყვეტილება იქნება მიღებული შენი ხელმძღვანელების მიერ, – განაცხადა თინა ხიდაშელმა. (pia.ge)

## რატომ ადარდებს ნანუკა ჟორჟოლიანს ივანიშვილის ფსიქიკური მდგომარეობა?



– ხე მიაქვთ ბატონთან და აქ ხეზე კი არაა პრობლემა, გიგანტურზე და ასწლოვანზე, უბრალოდ, ფსიქიკური მდგომარეობა მაშინებს იმ ადამიანის, ვისაც ეს თავში აზრად მოუვიდა და არც ეგ შემაშინებდა, ქვეყნის მოკიდებაც და ასე სხვაგან გადატანაც რომ არ შეეძლოს. თუ მოუნდა აი, ასე, სათითაოდ მიგვაბრძანებენ, სადაც ბატონს უნდა, – წერს „ფეისბუკზე“ ნანუკა ჟორჟოლიანი და აქვეყნებს ფოტოს, როგორ გადააქვთ ზღვით ასწლოვანი ხე. (droni.ge)

## რა პრობლემები აქვს საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესს

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის ინდექსს აქვეყნებს, რომელიც ამ ქვეყნების ევროპის მცირე ბიზნესის აქტის განხორციელების შეფასებას გულისხმობს.

ინდექსის თანახმად, 2016 წლის მდგომარეობით, მცირე და საშუალო ბიზნესის ინსტიტუციური და საოპერაციო გარემოს გაუმჯობესების კუთხით საქართველო რეგიონში საუკეთესოა. ბოლო წლის განმავლობაში განსაკუთრებული წინსვლა აღინიშნა ბიზნესის ინფრასტრუქტურის, დაფინანსების ხელმისაწვდომობის, ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების გაუქმებისა და მცირე და საშუალო საწარმოების ინსტიტუციონალიზაციის კუთხით, თუმცა კვლავ გასაუმჯობესებელი რჩება ისეთი მიმართულებები, როგორიცაა მცირე და საშუალო ბიზნესი მწვანე ეკონომიკაში, ინოვაციები, ადამიანური კაპიტალი. იმისთვის, რომ საქართველომ სრულად შეძლოს ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA) შეთანხმების პოტენციალის ათვისება, პოლიტიკის რიგი სისუსტეები უნდა დაძლიოს.

განსაკუთრებით გამოყოფილია ამ მხრივ სწრაფი ინსტიტუციური ცვლილება და ამ პროცესებში საჯარო და კერძო სექტორს შორის კონსულტაციისა და რეგულირების ზეგავლენის შეფასების ფორმალური მექანიზმების არარსებობა, რაც, თავის მხრივ, ბიზნესწრეებში სახელმწიფო ქმედებების მიმართ არაპროგნოზირებადობის განცდას ზრდის.

კვლავ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, მაღალი საპროცენტო განაკვეთები და გირაოს დიდი მოცულობა, რასაც ემატება შედარებით განუვითარებელი არასაბანკო დაფინანსების სისტემა. ყოველივე ეს ართულებს ინვესტიციებისა და საბრუნავი კაპიტალის დაფინანსებას, რაც ბიზნესის ამ სეგმენტს კონკურენტუნარიანობის გაზრდისა და ინოვაციებისთვის ესაჭიროება.

ძლიერი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ბაზის მიუხედავად, მცირე და საშუალო საწარმოების დაკრედიტების წილი მთლიან დაკრედიტებაში ძალიან მცირეა და მხოლოდ 16 პროცენტს შეადგენს.

მეწარმეობის ხელშეწყობაში დიდ როლს ასრულებს განათლების ფაქტორი. გასაუმჯობესებელია მეწარმეების უნარებიც. რეგიონულ პარტნიორებთან შედარებით, საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა სეგმენტი ყველაზე ნაკლები ინოვაციებითა და ექსპორტით გამოირჩევა. მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილ იქნეს ინოვაციური მეწარმეობისთვის ფინანსური და არაფინანსური სტიმულირება. (kvira.ge)

## „ნაცმოძრაობა“ „ოცნების“ ერთადერთ წარმატებულ პროექტს ვერ ინელებს, ჯანდაცვის სამინისტროს კი პირში წყალი აქვს ჩაგუბებული!




„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრ ზურაბ ჭიაბერაშვილის აზრით, ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში შექმნილ ქაოსს ვერ უმკლავდება.

– ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში შექმნილი პრობლემა აღიარა, თუმცა მდგომარეობის გამოსწორების გეგმას ვერ გვთავაზობს. არსებულ ვითარებაში კი პროგრამით შეძლებულები უფრო სარგებლობენ, ყველაზე გაჭირვებულ მოქალაქეებს კი წამლის შეძენაც არ შეუძლიათ.

ფონდ „კურაციოს“ მიერ ჩატარებულმა უაღრესად საყურადღებო კვლევამ გამოავლინა შემდეგი პრობლემები:

– კვლევაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებათა მენეჯერების 52,3% სამინისტროდან თანხების ოდნავ ან მნიშვნელოვანი დაგვიანებით ჩარიცხვაზე მიუთითებენ;

– რესპონდენტთა 73,1%-ის აზრით, მოსახლეობის ფინანსური დაცულობა გაუარესდა; რესპონდენტთა 64,9% მიიჩნევს, რომ მოსახლეობის ფინანსური დაცულობა შემდეგ 6 თვეში გაუარესდება.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში არსებულ ქაოსზე მუდმივი საბიუჯეტო დეფიციტიც მეტყველებს. სწორედ ამიტომაა, რომ სამინისტრო საავადმყოფოებს თანხებს დაგვიანებით ურიცხავს და დაგვიანების პერიოდი სულ უფრო იზრდება.

ხარჯვა რომ დღევანდელი ტემპით გაგრძელდეს, ბიუჯეტში გამოყოფილი 570 მლნ ლარი სექტემბერში ამოიწურება და პროგრამას 100 მლნ ლარზე მეტი უნდა დაემატოს.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა მძიმდება და სამწუხაროდ, წელს დასამატებელი რესურსი, საეჭვოა, იყოს. სამინისტროში უკვე აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ საყოველთაობა მიზნობრიობით უნდა შეიცვალოს, ანუ სახელმწიფო უნდა დაეხმაროს გაჭირვებულებს და არა ყველას.

საყოველთაობაზე უარის თქმა პრობლემის გადაჭრის ერთი ნაწილია მხოლოდ. უფრო მნიშვნელოვანი ნაწილია ხარჯვის ეფექტური მექანიზმების შემოღება, რასაც მინისტრი სერგეენკო ვერ ახერხებს, – აცხადებს ჭიაბერაშვილი. (პირველი რადიო)

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19



## ონლაინ კრედიტების საწინააღმდეგო კამპანია იწყება



ახალგაზრდა ფინანსისტთა ასოციაცია ონლაინკრედიტების წინააღმდეგ კამპანიას იწყებს.

**რა სახის იქნება ეს კამპანია და რა შეზღუდვების დაწესებას მოითხოვენ?**

„ალიას“ აფბა-ს წარმომადგენელი, **ზურა კუკულაძე** ესაუბრა:

ერთად გადავწყვიტოთ, რა გვინდა. გვაწყობს თუ არა ასეთი კომპანიები და ასეთი მომსახურების არსებობა ჩვენს ქვეყანაში, გვინდა თუ არა, ასე ვთქვათ, ის მეთოდები, რომლითაც ისინი მუშაობენ პრობლემურ მსესხებლებთან, გვინდა თუ არა 1000%-იანი კრედიტები და ა.შ. შემდეგ უკვე რამდენად აქტიური იქნება საზოგადოება ამ პრობლემატიკის მიმართ და რამდენად სწორად საერთოდ არ აქვთ ფიზიკური კონტაქტი მსესხებელთან, მხოლოდ პირად მონაცემებს იწერენ. არ სწავლობენ კლიენტების შემოსავლებს, ზოგადად გადახდისუნარიანობას. სწორედ ამას უნდა შეეხოს რეგულაციები, რომ ასეთი უკონტროლობა აღა იყოს, რაც დღესაა. ბანკებისგან განსხვავებით, ეს მევახშეები, ძალიან მალე იწყებენ მსესხებელზე მუქარას და შანტაჟს.

**— ამ შემთხვევაშიც ამომღებ კომპანიებს, ე.წ. კერძო აღმასრულებლებს გადაეცემა პრობლემური სესხები თუ თავად ახორციელებენ თანხის მოთხოვნას?**

– ხშირ შემთხვევაში ასე ხდება, რომ გადასცემენ კერძო ამომღებებს, რომელთა საქმიანობის არაკონსტიტუციურობაზე და მავნებლობაზეც წინა ინტერვიუში გესაუბრეთ უკვე. ბანკის მსესხებელი შედარებით გამოცდილია, მეტი კვალიფიკაცია აქვს, ონლაინკრედიტის მომხმარებლები კი არიან ძირითადად სოციალურად უკიდურეს მდგომარეობაში მყოფი ადამიანები, ახალგაზრდები, რომლებიც იმასაც ვერ იაზრებენ რეალურად, პროცენტი რას ნიშნავს. ხშირ შემთხვევაში კი საპროცენტო განაკვეთი 800, 900 და 1000%-ს აღემატება. თავიდან კი პირველი სესხი ხშირ შემთხვევაში უპროცენტოა და შედიან შეცდომაში, ზოგს ჰგონია, რომ მალე გადაიხდის, მაგრამ შემდეგ ვარდება ძალიან ცუდ დღეში, გადავადებაზე არის წარმოუდგენლად მაღალი პროცენტები. ამიტომ ამომღები კომპანიები გაცილებით საშინელ დღეში აგდებენ ამ ტიპის კლიენტებს, ვიდრე საბანკო კრედიტის მომხმარებლები ვარდებიან. ხელისუფლებამ კარგად იცის, რამდენად მნიშვნელოვანია ეს პრობლემა მოსახლეობისთვის, მაგრამ არ იდგმება შესაბამისი ნაბიჯები. თუ მოსახლეობა იაქტიურებს, დაანახვებს სახელმწიფოს, რომ ეს საქმიანობა არის პრობლემა, ირღვევა მათი უფლებები, როგორც პიროვნული, ასევე, სოციალური და ეკონომიკური, მაშინ სახელმწიფო იძულებული გახდება, შესაბამისი ზომები მიიღოს. ონლაინსესხები თავდაპირველად ბალტიისპირეთის ქვეყნებში გავრცელდა და შემდეგ გადაიღეს სხვა განვითარებადმა ქვეყნებმა, უკვე ყველგან დაწყებულია მსგავსი ინსტიტუტების წინააღმდეგ ბრძოლა, რომ რაიმე რეგულაციას დაექვემდებარონ, ან საერთოდ აიკრძალოს ეს ბიზნესი, რადგან სოციალურ ფონს კიდევ მეტად ამძიმებს ყველგან, სადაც არსებობს ონლაინკრედიტები.

**— ზურა, არსებობს რაიმე სამართლებრივი ბერკეტი, რომ ონლაინსესხები კონტროლირებადი გახდეს, თუ მხოლოდ საზოგადოებრივი აქტივობის დონეზე აპირებთ საკითხის წამოწევას?**

– ჯერჯერობით ვგეგმავთ ონლაინ საკრედიტო კომპანიების რეგულირების მოთხოვნით ერთგვარი კამპანიის ჩატარებას, ჩვენი საქმიანობა ძირითადად მიმართული იქნება საზოგადოების, ხელისუფლებისა და შესაბამისი კომპეტენტური სტრუქტურების საქმის კურსში ჩასაყენებლად. თუ რა ეკონომიკური, სოციალური მძიმე ეფექტები მოაქვს ამ სექტორის საქმიანობას ქვეყანაში. ჩვენი უპირველესი გეგმა არის, რომ მოვახდინოთ საზოგადოების მობილიზება საკითხისა და პრობლემის მიმართ, შემდეგ კი მიიღებენ ჩვენს არგუმენტებს, ამაზე იქნება დამოკიდებული ბრძოლის შემდეგი ეტაპი და ხელისუფლებასთან დიალოგის თემაც.

**— ადამიანები ნებაყოფლობითი იღებენ ამ სესხებს, არავინ აძალებს... ეს ანტიპიარი კერძო ბიზნესის წინააღმდეგ ბრძოლად არ ჩაგეთვლებათ?**

– ჩვენ არ ვითხოვთ გაუქმებას, თუმცა რაიმე რეგულაციაში მოქცევა აუცილებელია, ბანკებს გარკვეულ წესებს უდგენს ეროვნული ბანკი, ესენი კი არიან სრულიად უკონტროლო და ეწევიან არნახულად დიდი პროცენტის სანაცვლოდ, ფაქტობრივად, მევახშეობას. არანაირ მოკვლევას არ აკეთებენ სესხის გაცემამდე, ბანკებს აქვთ ამ შემთხვევაში გარკვეული პროცედურა, ეს კომპანიები კი ისე გასცემენ სესხს, რომ

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ე, ბიჭო, მეტი რა და როგორ დაგარწმუნოთ, თქვე ოღრაშებო?!



აშშ-ის ევროპული სარდლობის მეთაური, გენერალი ფილიპ ბრიდლავი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს იმის დემონსტრირება, რომ საქართველო მჭიდრო კავშირს ესწრაფვის არა მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებთან, არამედ ნატოსთან. ამის შესახებ აშშ-ის ევროპული სარდლობის მეთაურმა და ნატოს მოკავშირეთა გაერთიანებული ძალების (SHAPE) უმაღლესმა მთავარსარდალმა, გენერალმა ფილიპ ბრიდლავმა საქართველოს თავდაცვის მინისტრ თინათინ ხიდაშელთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა. ამით გენერალი კითხვას გამოეხმაურა, რომელიც ეხებოდა იმას, რა უნდა გააკეთოს საქართველომ რუსეთიდან მომავალ საფრთხეებზე, მუქარისშემცველ განცხადებებზე და ამ ფონის გათვალისწინებით, რას უნდა მოველოდეთ ნატოს ვარშავის სამიტზე.

– მნიშვნელოვანია გავაგრძელოთ ის, რასაც ვაკეთებთ დღემდე. ეს არის დემონსტრირება მთელი სამყაროსთვის, რომ საქართველო და მისი სამხედროები მჭიდრო კავშირს ესწრაფვიან არა მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებთან, არამედ ნატო-სთან. უნდა გავხადოთ უფრო მჭიდრო ეს კავშირები, ჩავატაროთ მეტი წვრთნა, რათა სამყარომ დაინახოს, რომ საქართველო და მისი სამხედროები არიან ნატო-სთან თავსებადები და ეს არის მათი მისწრაფება, – განაცხადა ბრიდლავმა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## თბილისის აეროპორტში პატრულირება სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლებითაც ხორციელდება

მას შემდეგ, რაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქართველოს საზღვრებსა და აეროპორტებში უსაფრთხოების ზომები გაამკაცრა, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში პატრულირება სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლებითაც ხორციელდება.

საზღვრებსა და აეროპორტებში, ასევე, სტრატეგიული მნიშვნელობის ყველა ობიექტზე კონტროლს მანამდეც ახორციელებდნენ, თუმცა მინისტრის ბრძანების შემდეგ კონტროლი კიდევ უფრო გამკაცრდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უსაფრთხოების ზომები ქვეყნის საზღვრებსა და აეროპორტებში, ასევე, სტრატეგიული მნიშვნელობის ყველა ობიექტზე ბელგიაში მომხდარი ტერორისტული აქტის შემდეგ გაამკაცრა.

უწყების მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, შსს-ს საპატრულო პოლიცია როგორც ქვეყნის პერიმეტრზე მდებარე, ისე მის მთელ სამოქმედო ტერიტორიაზე გამოიყენებს საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის უფრო მაღალი დონის ზომებს. (ნიუპოსტი)

## ოქროსა და ნავთობის ფასი ეცემა




მსოფლიო ვალუტებთან მიმართებაში დოლარის გამყარების ფონზე, მსოფლიო ბაზარზე ოქროს ფასი ეცემა.

უკანასკნელი მონაცემებით, ნიუ-იორკის Comex-ის ბირჟაზე უნცია ოქროს ფასი 0,99 პროცენტით, ანუ 13,12 დოლარით შემცირდა და 1235,3 დოლარი შეადგინა. 0,79 პროცენტით შემცირდა ვერცხლის ფასი, რომელმაც უნციაზე 15,76 დოლარი შეადგინა.

ბრიუსელში მომხდარი ტერაქტების ფონზე მსოფლიო ბაზარზე დაეცა „შავი ოქროს“ ფასიც. ბოლო მონაცემებით, „ბრენტის“ მარკის ნავთობი 0,89 პროცენტით გაუფასურდა და ბარელზე 41,42 დოლარი შეადგინა. 1,13 პროცენტით გაიაფდა WTI-ის ნავთობი, რომლის ფასმა ბარელზე 40,98 დოლარი შეადგინა. (bpn.ge)

## ქეთევან ქარდავა ბელგიელმა სამართალდამცავებმა დაკითხეს — რას ყვება ქართველი ჟურნალისტი ტერაქტზე



ბრიუსელის აეროპორტში მოწყობილ ტერორისტულ აქტებს პირადად შეესწრო „მოამბის“ ჟურნალისტი ქეთევან ქარდავა, რომელიც ბრიუსელიდან ჟენევაში აპირებდა გაფრენას.

ქეთევან ქარდავა იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც ტერაქტის დროს ფოტოები გადაიღო. მისი ფოტოები არაერთ საერთაშორისო გამოცემაში მოხვდა. ქართველი ჟურნალისტი უკვე დაკითხეს ბელგიელმა სამართალდამცავებმა.

– დაახლოებით 8 საათისთვის მე უკვე ვიყავი ბრიუსელის აეროპორტის ბილეთების ოფისთან, როდესაც ჩემს ხელმარცხნივ დავინახე შავი ნივთი. საეჭვოდ მომეჩვენა, თუმცა გარშემო პოლიცია და სამხედროები მოძრაობდნენ და ვიფიქრე, საეჭვო რომ ყოფილიყო, ისინი აუცილებლად მიაქცევდნენ ყურადღებას. დაახლოებით ორ წუთში მოხდა უძლიერესი აფეთქება, კვამლით დაიფარა მიმდებარე ტერიტორია, მინების ნამსხვრევები ცვიოდა. მე თვითონ დაღუპულები არ მინახავს, მაგრამ ჩემს გარშემო იყვნენ დაჭრილები. გადავიღე ფოტოები და დავდე „ფეისბუკზე“. ერთი საათის წინ გამოვედი ბრიუსელის პოლიციის განყოფილებიდან. სამართალდამცავმა ორგანოებმა მომაკითხეს საევაკუაციო დარბაზში. მთხოვეს, რომ ჩვენება მიმეცა და მეთქვა, ფოტოებზე ზუსტად სად ვიდექი მე და სად შევნიშნე საეჭვო ნივთი, – აცხადებს ქეთევან ქარდავა.

ჟურნალისტის თქმით, ჯერჯერობით არ არის ზუსტად დადგენილი რამდენი „კამიკაძე“ იმყოფებოდა აეროპორტში. მისი თქმით, საფრთხე ისევ არსებობს, ამიტომ უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომებია მიღებული. (ნიუპოსტი)

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ქალები დიდხანს ცოცხლობენ, მაგრამ მეტად ავადმყოფობენო



ყველასთვის ცნობილია, რომ ქალები უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე კაცები, მაგრამ თურმე, მათი ცხოვრების ხარისხი რადიკალურად განსხვავდება.

ამაში კი მიჩიგანის უნივერსიტეტის მეცნიერები გვარწმუნებენ. მათი თქმით, სხვადასხვა დაავადებისგან ქალები უფრო მეტად იტანჯებიან და საკითხავია, ტანჯვის ფონზე რამდენად ულირთ ხანგრძლივი სიცოცხლე.

ქალებმა, რომლებიც დიდხანს ცოცხლობდნენ, მიუხედავად თავიანთი უპირატესობისა, ვერ შეძლეს ცხოვრების აქტიური რიტმის შენარჩუნება იმიტომ, რომ ჯანმრთელობა ხელს არ უწყობდათ.

კაცებს კი, ამ მხრივ, საქმე გაცილებით უკეთ აქვთ. მედიცინამ მათ ინფარქტისა და ინსულტის ფატალური შედეგებისგან თავი დაღწევის საშუალება მისცა. სამაგიეროდ, ქალების ტრადიციული ასაკობრივი დაავადებები, ისეთი, როგორიცაა ართრიტი, სახსრების დაავადება, ალცჰეიმერი და დეპრესია ისევ ძველ მაჩვენებელზეა და მას ქალები ჯერჯერობით ვერ ამარცხებენ.

**myjane.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## რამდენად ხშირად უნდა დავისვენოთ?



რა ინტერვალით უნდა დავისვენოთ, რომ შრომისუნარიანები და პროდუქტიულები ვიყოთ? ყოვლის მცოდნე და ყოვლის დამგეგმავმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ყოველ 2 თვეში ერთკვირიანი დასვენება გარდაუვალ აუცილებლობად უნდა დავიწესოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ათასგვარი დაავადების მსხვერპლი გავხდებით.

თუ მეცნიერების აღმოჩენილ პრინციპს მივყვებით, თავს ავარიდებთ ნერვულ დაძაბულობას, გადაღლასა და გადაწვას.

სპეციალისტები შეგვახსენებენ, რომ ნებისმიერი მიზეზით დიდი ხნის განმავლობაში შვებულებაზე უარის თქმას უძილობა, გაღიზიანება და გულის დაავადებები მოჰყვება.

ახლა თავად გადაწყვიტეთ, რად გიღირთ თავგადაკლული მუშაობა.

**myjane.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ლესბოსელი პატიმრები ციხეში ერთად წოლის უფლებას მოითხოვენ



მიშელ და სტეფანი ჰოპკინსებმა, უფლებადამცველებთან, ციხის ადმინისტრაცია, სადაც ისინი სასჯელს იხდიან, სასტიკ მოპყრობაში დაადანაშაულეს. მათი თქმით, ციხის თანამშრომლების სისასტიკე გამოიხატა იმაში, რომ ისინი ლესბოსელ წყვილებს ერთად დაძინების საშუალებას არ აძლევენ.

34 წლის მიშელისა და 33 წლის სტეფანი ჰოპკინსების თქმით, ისინი თავს შეურაცხყოფილად გრძნობენ, რადგან Bronzfield-ის ქალთა ციხის ადმინისტრაცია მათ ერთ კამერაში ყოფნის საშუალებას არ აძლევს. სისასტიკით „დაჩაგრული“ ლესბოსელები, 18-თვიან სასჯელს ბავშვების მიმართ სასტიკი მოპყრობის გამო იხდიან. ისინი ბავშვებს მარტოს კეტავდნენ ოთახში. ეს კი რამდენიმე საათით, ხანაც მთელი დღე გრძელდებოდა. ბავშვებს ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ამ დროს პირდაპირ ოთახის იატაკზე უწევდათ. გარდა ამისა, ორივე მათგანმა ბავშვებს საყვარელი სათამაშოები დაუწვა. სასამართლომ ბავშვების მიმართ მსგავსი მოპყრობა სადისტურად მიიჩნია და საყვარლებს 1,5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ადრე „ოჯახურ წყვილს“ უფლებას აძლევდნენ, ერთ კამერაში ყოფილიყვნენ, მაგრამ ადმინისტრაცია მათგან მოითხოვდა, რომ მათ კამერაში სექსი არ უნდა ჰქონოდათ, თუმცა ადმინისტრაციამ მალე მათი განცალკევების გადაწყვეტილება მიიღო. მსჯავრდადებულები სასჯელს მეზობელ კამერებში იხდიან.

**plus.kvira.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ქალმა პაემნით 2 მილიონი დოლარი გამოიმუშავა



სამანტა დეფაზიო ლოს-ანჯელესში მცხოვრები, 32 წლის მარტოხელა დედაა. როგორ ფიქრობთ, როგორ უნდა გამოიმუშაოს ყველაზე მარტივად მარტოხელა ქალმა კომუნალურებისა და ბავშვის ძიძის ფული, გარდა იმისა, რომ დამლაგებლად ან ჭურჭლის მრეცხავად იმუშაოს?

სამანტას ფანტაზიები ზღვარს გასცდა და გაცნობის საიტზე დარეგისტრირდა. აღნიშნულ საიტზე ქალები დებენ ფოტოს და მომხმარებლებს შეუძლიათ საწყისი თანხის დასახელება იმისთვის, რომ მოწონებულ ქალთან ერთად ივახშმონ. თუ პირველად მითითებულ თანხას აუქციონი დახურავს, თანხის დამსახელებელ მამაკაცს შეუძლია, ქალს პაემანი დაუნიშნოს. რა თქმა უნდა, ხარჯებს კაცი უზრუნველყოფს.

ჰოდა, ერთ-ერთი მსგავსი შეხვედრის დროს სამანტამ თავის კავალერს ბიზნესგეგმა გაანდო, რომლის თანახმადაც ტაქსის კომპანია უნდა დააარსოს, მძღოლებად კი ლამაზი გოგონები აიყვანოს. კავალერსაც მოეწონა ლამაზი მძღოლების იდეა და პროექტში 2 მილიონი დოლარიც ჩადო.

ვინ თქვა, რომ ფული ძნელი საშოვნელია?

**lenta.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## სილამაზის სალონი რუსეთში, სადაც სპეციალისტები მომხმარებლებს შიშვლები ემსახურებიან






ყაზანში სპეციალურად მამაკაცებისთვის სილამაზის სალონი გაიხსნა, რომელიც განსხვავებულია იმით, რომ აქ მომუშავე სტილისტები თუ მანიკიურის სპეციალისტები კლიენტებს თითქმის შიშვლები ემსახურებიან.

როგორც კი კლიენტი სავარძელში მოთავსდება, მისთვის პირდაპირ სალონში ერთგვარი შოუ იდგმება. კულისებიდან გამოდის თითქმის შიშველი ახალგაზრდა გოგონა, რომელიც ადგილზე მისულ მამაკაცს თმას ჭრის. კლიენტს უფლება აქვს, აირჩიოს კოსტიუმი და ამ კოსტიუმში გამოწყობილი გოგონაც მოემსახურება მას. მას შეუძლია ორი სტილისტის მომსახურებაც მოითხოვოს. ამ სალონში გოგონებს თმის შეჭრისა და დავარცხნის გარდა, მანიკიურისა და სარელაქსაციო მასაჟის გაკეთებაც შეუძლიათ.

„არ ღირს შიში და ღელვა იმაზე, თუ კლიენტი გოგონების დაკვირვება-დათვალიერებას დაიწყებს. თუმცა ისე არ უნდა ატრიალოს თავი, რომ მას გოგონებმა შეჭრისას რამე დაუზიანონ ან ცუდად შეჭრან. ყველა ჩვენი სტილისტი გამოცდილი პროფესიონალია“, – აცხადებს ჟურნალისტთან საუბრისას სალონის მეპატრონე ოლია ხუსნუტდინოვა. აღსანიშნავია, რომ სალონში მხოლოდ 18 წელს ზემოთ ასაკის მქონე მამაკაცები დაიშვებიან.

**plus.kvira.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ნიდერლანდებში პატიმრების უკმარისობის გამო, ციხეები იკეტება



ზოგს რა პრობლემა აწუხებს, გაგიჟდება კაცი. ვიღაცამ აურაცხელი პატიმარი სად წაიყვანოს არ იცის და ერთ კამერაში 12 კაცი ზის, ვიღაცამ კიდევ პატიმრები საიდან მოიყვანოს, ის არ იცის და ციხეს ხურავს.

აგერ ნიდერლანდებში თურმე, დანაშაულის რიცხვი 0.9 პროცენტამდე დავიდა და ნელ-ნელა ციხეებიც იხურება.

უახლესი მონაცემებით, ციხეებში კამერების რაოდენობის მესამედი ცარიელია და წინასწარმეტყველებენ, რომ „უარესადაც“ იქნება.

რამ გააპატიოსნა ეს ხალხი ასე უსაშველოდ, რომ ციხის 1900 თანამშრომელს უმუშევრობა ემუქრება, უცნობია.

მართალია, სოციალური თვალსაზრისით უკეთესს რას ინატრებ კაცი, მაგრამ ციხის თანამშრომლებმა რა ქნან ამ პატიოსანი ხალხის გადამკიდე?

**anekdot-dnya.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ბრიტანელმა ქალმა თითქმის 60 ათასი დოლარი დახარჯა, რომ თავის შვილს დამსგავსებოდა



დიდ ბრიტანეთში, ლანკაშირის საგრაფოში მცხოვრებმა 57 წლის ჯენეტ ჰოროკსმა 56 ათასი დოლარი დახარჯა იმისთვის, რომ ზუსტად ისე გამოიყურებოდეს, როგორც მისი 35 წლის შვილი, ჯეინ კანლიფი.

ჯენეტმა ორჯერ გაიდიდა მკერდი, გაიკეთა ცხვირის ოპერაცია, გადაიჭიმა კანი, არაერთხელ გაიკეთა ბოტოქსი, პერმანენტული მაკიაჟი, ჩაიტარა კოსმეტიკური პროცედურები, შეიღება თმა, წონაში დაიკლო და საკუთარი შვილის ორეული გახდა. დედის გაახალგაზრდავებით ჩაფიქრებული ჯეინი ამბობს, რომ ერთ მშვენიერ დღეს დედამისი მასზე ახალგაზრდა იქნება. თავად პლასტიკური ოპერაციების ეშინია და გაახალგაზრდავების მიზნით, ოპერაციებს ვერასოდეს გაიკეთებს.

დედა კი აცხადებს:

„ჯეინს ასეთი გარეგნობა ჩემგან ერგო და ვალდებული ვარ, არ ჩამოვრჩე“...

**lenta.ru**

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. სახის მოვლის საშუალებები
2. მსახიობი ... მანიანი
3. ერთგვარი ღუმელი
4. ციხე-სიმაგრე პარიზში
5. მინდვრის ყვავილი
6. კურორტი ჩოხატაურის რაიონში
7. მოკრივე ... ჰოლიფილდი
8. მწერალი ... ტოლსტოი
9. მხატვარი დიეგო ...
10. სირიის დედაქალაქი
11. მეფის რეზიდენცია
12. პოლიტიკოსი ნელსონ ...
13. მსახიობი ... გიბსონი
14. დიდი კაშკაშა მეტეორი
15. მთათა სისტემა აზიაში
16. პოეტი ტარას ...
17. მეხისგან დამცავი ძელი
18. მზის სისტემის პლანეტა
19. სახელმწ. ...-დივუარი
20. მსახიობი ბენისიო ... ტორო
21. მსახიობი ... ჰარლი
22. ფიზიკის ნაწილი
23. ახალუხზე ჩასაცმელი
24. დაბა გურიის მხარეში
25. ჰოლანდიელი მხატვარი
26. მითიური ცხენკაცი
27. ნოდარ დუმბაძის რომანი
28. შტატი აშშ-ში
29. მოქანდაკე ... ჩელინი
30. კაციჭამია
31. ოპერა „აბესალომ და ...“
32. იაპონური მულტიპლიკაცია
33. იუპიტერის თანამგზავრი
34. რეჟისორი კვენტინ ...
35. მომღერალი ლოლიტა ...
36. ხაფანგი
37. კანის ინფექც. დაავადება
38. ქალაქი ლიტვაში
39. მსახიობი ჰარი ...
40. მსახ. ... მაკგრეგორი
41. ფედერიკო ფელინის ფილმი
42. ხელის საგრილებელი
43. უფრთო ფრინველი
44. ეტლიტაქსი ლონდონში
45. მხ/ფ „... და მისი ძმები“
46. მსახიობი ... მერფი
47. ლიტვის ფულის ერთეული
48. ... გაფრინდაშვილი
49. ცხენბურთი
50. ჯემალ ქუჩასელის ანსამბლი
51. უბრალო, უგემოვნო
52. მსახიობი ... ნოვაკი
53. სუბტროპიკული მცენარე
54. პირველი სამნიშნა რიცხვი
55. გემის მოძრავი კიბე
56. რეჟისორი ... მჭედლიძე
57. ათასი მილიარდი
58. ხის სოლი
59. უჯიგმენტო ორგანიზმი
60. მომღერალი ... ჯაგერი
61. ქვეყნიერების გადამრჩენი
62. ცეცხლის ენა
63. მეზღაპრე შარლ ...
64. ჩირქის გამომწვევი მიკრობი
65. რეჟისორი ეტორე ...
66. მდინარე ჩრდ. ამერიკაში
67. მსახიობი ჯეისონ ...
68. უდაბნო აფრიკაში
69. პოეტი მურმან ...
70. რუსი ილუზიონისტი
71. მწერალი ჭაბუა ...
72. კუნძული. ცნობილია ვარანით
73. კაზინო
74. მსახიობი ... ჟაკობი
75. მსახიობი ... მონტანი
76. მარიო პიუზოს ნაწარმოები
77. მწერალი ... ჩეხოვი
78. თბილისის უბანი
79. მეფის მრჩეველი
80. წანაზარდი მამლის ფეხზე
81. ოჯახი სოფლად
82. დიზაინერი ... რიჩი
83. მსახიობი რობერტ დე ...
84. მხატვარი ჟორჟ ...
85. ისტორიის მუზა
86. ბავშვის საჭმელი
87. სახალხო პოეტი მომღერალი
88. მხარე დას. საქართ.
89. ... ფონ ბისმარკი
90. მსახ. სილვესტერ ...
91. ვაჟა-ფშაველა. „... წიფელი“
92. ყაჩაღი არსენა ...
93. უანგარო კეთილი საქმე
94. მწვანილი
95. ფეხბურთელი რევაზ ...
96. ერთგვარი ხვლიკი
97. გამოყვანილი ორეული
98. ცხენის სამართავი ღვედი
99. კომპოზიტორი ანტონიო ...
100. მტაცებელი ცხოველი სავანაში
101. შეხვედრა, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება
102. ანდრომედას ...
103. კურკიანი ხილის ჩირი
104. კალათბურთელი ოთარ ...
105. სისხლის მიმოქცევის ორგანო
106. შოკოლადის ხის ნაყოფი
107. ყელსაბამი
108. მსახიობი ... დუგლასი
109. უჯრედშორისი სითხე
110. თეატრის სცენის განათება
111. ინგლისური ლუდი
112. გამოკლების ნიშანი
113. გალაკტიონ ტაბიძე. „... ქება ნიკორწმინდას“
114. რეპტილია
115. პოეტი ... ახმადულინა
116. ტიბეტური ხარი
117. ქიმიური ელემენტი
118. ... ხაიამი
119. საფეხბურთ. კლუბი „...-04“
120. მსახიობი ... წულაძე
121. მსახიობი გრეგორი ...
122. მხატვარი კობა ...
123. „... და ორმოცი ყაჩაღი“
124. წვიმისგან დამცავი აქსესუარი
125. მოსამსახურე
126. ნაბოკოვის რომანი
127. მსახიობი ... პიტი
128. რუსი კომპოზიტორი
129. მწვანილი
130. სომეხი რევოლუციონერი
131. 90გრადუსიანი კუთხე
132. როუენ ატკინსონის გმირი მისტერ ...
133. „... ჭკუისაგან“
134. ზოგადი სახელწოდება ნივთიერებისა, რომელიც მეთანს აძლევს სუნს
135. მწერალი თეოდორ ...
136. ამერიკელი მომღერალი ქალი
137. რეჟისორი ... ვან სენტი
138. მსახიობი ... გარსია
139. ჟამი
140. მიმართვა ქალისადმი აშშ-ში
141. თევზის ჯიში
142. ... ფოიხტვანგერი

პასუხები: 1. კოსმეტიკა; 2. ანა; 3. გრილი; 4. ბასტილია; 5. ბაბუაწვერა; 7. ევანდერ; 8. ლევ; 9. ველასკესი; 10. დამასკო; 11. სასახლე; 12. მანდელა; 13. მელ; 14. ბოლიდი; 15. ტიან-შანი; 16. შევჩენკო; 17. მეხამრიდი; 18. ვენა; 19. კოტ; 20. დელ; 21. ლიზ; 22. ოპტიკა; 23. ჩოხა; 24. ჩოხატაური; 25. რემბრანდტი; 26. კენტავრი; 27. „კუკარაჩა“; 28. არკანზასი; 29. ბენვენუტო; 30. კანიბალი; 31. ეთერი; 32. ანიმე; 33. იო; 34. ტარანტინო; 35. ტორესი; 36. მახე; 37. მუნი; 38. კლაიპედა; 39. ოლდმენი; 40. ევან; 41. „რვანახევარი“; 42. მარაო; 43. კივი; 44. კები; 45. როკო; 46. ედი; 47. ლიტი; 48. ნონა; 49. პოლო; 50. „ერისიონი“; 51. მდარე; 52. კიმ; 53. კამელია; 54. ასი; 55. ტრაპი; 56. ნანა; 57. ტრილიონი; 58. პალო; 59. ალბინოსი; 60. მიკ; 61. მესია; 62. ალი; 63. პერო; 64. სტაფილოკოკი; 65. სკოლა; 66. მისისიპი; 67. სტეტჰემი; 68. საჰარა; 69. ლებანიძე; 70. კიო; 71. ამირეჯიბი; 72. კომოდო; 73. სამორინე; 74. ირენ; 75. ივ; 76. „ნათლია“; 77. ანტონ; 78. ავლაბარი; 79. ვეზირი; 80. დეზი; 81. კომლი; 82. ნინა; 83. ნირო; 84. სიორა; 85. კლიო; 86. ფაფა; 87. აშუღი; 88. იმერეთი; 89. ოტო; 90. სტალონე; 91. ხმელი; 92. ოძელაშვილი; 93. მადლი; 94. კამა; 95. ძოძუაშვილი; 96. ჯოჯო; 97. კლონი; 98. აღვირი; 99. ვივალდი; 100. ლომი; 101. ბიენალე; 102. ნისლეული; 103. კერკი; 104. ქორქია; 105. გული; 106. კაკაო; 107. კოლიე; 108. კირკ; 109. ლიმფა; 110. რამპა; 111. ელი; 112. მინუსი; 113. ქებათა; 114. კუ; 115. ბელა; 116. იაკი; 117. კალიუმი; 118. ომარ; 119. შალკე; 120. ბაადურ; 121. პეკი; 122. გურული; 123. ალიბაბა; 124. ქოლგა; 125. ლაქია; 126. „ლოლიტა“; 127. ბრედ; 128. ბოროდინი; 129. ქინძი; 130. კამო; 131. მართი; 132. ბინი; 133. ვაი; 134. ოდორანტი; 135. დრაიზერი; 136. მადონა; 137. გას; 138. ენდი; 139. დრო; 140. მემ; 141. მინტაი; 142. ლიონ. იკითხება: ელიზაბეტ ტეილორი.

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## მეცნიერებმა მოიფიქრეს, როგორ დაუბრუნონ სითეთრე ძველ ქაღალდებს



დროთა განმავლობაში ქაღალდის გაყვითლება ბუნებრივი პროცესია, რაც, შეიძლება ითქვას, მსოფლიოს კულტურულ მემკვიდრეობას უდიდეს ზიანს აყენებს. იტალიელი ფიზიკოსების მიერ სულ ახლახან ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, როგორ უნდა მოიქცნენ სპეციალისტები, რომ თავიდან აიცილონ ძალიან მნიშვნელოვანი ნაწარმოებების დედნების დაზიანება.

საერთოდ, მეცნიერები უკვე დიდი ხანია, მიხვდნენ, რომ ქაღალდის გაყვითლებას ცელულოზას დაჟანგვა იწვევს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ცელულოზა ხელით დამზადებული უძველესი ქაღალდის ძირითადი კომპონენტია, რომლის ჟანგვაც ქრომოფორების გაჩენას იწვევს, ჯგუფების, რომელიც სხვადასხვა ნივთიერების ფერს განსაზღვრავს.

ტორ ვერგატას უნივერსიტეტის მკვლევარებმა ახალი და ძველი ქაღალდისგან არეკლილი სინათლის ტალღების სიგრძე დაადგინეს. ამის შემდეგ გამოსხივების მაჩვენებლები ერთმანეთს შეადარეს და დაადგინეს, რომ ქაღალდი ქრომოფორების ალდეჰიდების გაჩენის გამო ყვითლდება. მოკლედ, კვლევის დანარჩენი ნაწილი ძალიან რთული სამეცნიერო ტერმინების ბრახაბრუხია. დასკვნა კი ის შეგვიძლია გამოვიტანოთ, რომ იტალიელი მეცნიერების მიგნების წყალობით, არათუ ძველი ქაღალდები აღარ გაყვითლდება, უკვე გაყვითლებული ქაღალდებისთვის სითეთრის დაბრუნებაც მოხერხდება.

*vesti.ru*

## 86 წლის პენსიონერმა გიმნასტიკური კონკურსები დაიპყრო



ქალი ქალია და თუ გაცხარდა, ის ამბებს დაატრიალებს, დედა შვილს ვერ აიყვანს ხელში.

თურმე, 86 წლის გერმანელი პენსიონერი იოჰანა კაასი გიმნასტიკური კონკურსების ნამდვილ ვარსკვლავად გადაიქცა. იქაური მედიის ინფორმაციით, იოჰანა კაასს სპორტის ამ სახეობაში 56-წლიანი გამოცდილება აქვს, თუმცა დიდი ხანია, რაც შეჯიბრებებში აღარ გამოჩენილა.

ალბათ, მობეზრდა უქმად ჯდომა და „უქმად ხტომა“ ამიტომ გადაწყვიტა – ცოტა გულს გადავაყოლებო. მისი და ყველას გასაკვირად, 86 წლის მოხუცმა არნახულ წარმატებას მიაღწია და უკვე 11 მედალი მოიპოვა.

რაც მთავარია, იოჰანა კაასი მიღწეულზე შეჩერებას არ აპირებს და გინესის რეკორდების წიგნის რეალური პრეტენდენტიცაა, როგორც ყველაზე ხანდაზმული და წარმატებული „სპორტსფრაუ“.

*gazeta.ua*

## მუშაობა რომ არ დაეწყო, ავსტრიელმა... ფეხი მოიხერხა



ახლა თქვენ გვითხარით, უნდა გავიცინოთ ამ ამბავზე თუ ცრემლები წამოგვივიდეს? პრინციპში, ტირილი და დამწუხრება არ გვინდა, თუმცა მთლად ხარხარიც უხერხული გამოდის.

როგორც ირკვევა, უმუშევარმა ავსტრიელმა ფეხი მოიხერხა, სავარაუდოდ, იმის გამო, რომ არ სურდა, შრომისუნარიანად ელიარებინათ.

პოლიციის ინფორმაციით, 56 წლის მამაკაცმა ელექტროხერხით მოიჭრა ფეხი, რის შემდეგაც მოჭრილი კიდური ღუმელში შეაგდო – ალბათ, თავი დაიზღვია, უკან არ მიმაკერონო.

შავი საქმის მერე მამაკაცმა სასწრაფო დახმარება გამოიძახა.

როცა ადგილზე ექიმები მივიდნენ, მამაკაცი გონზე იყო, თუმცა, ბუნებრივია, ძალიან ბევრი სისხლი ჰქონდა დაკარგული.

სასწრაფო დახმარების ბრიგადამ კლინიკაში დაზარალებულის მოჭრილი ფეხიც გაიყოლა, თუმცა ის უკვე იმდენად იყო დაზიანებული, კიდურის აღდგენა ველარ მოხერხდა.

იქაური მედია აღნიშნავს, რომ მამაკაცმა შოკისმომგვრელი ნაბიჯი იქამდე გადადგა, სანამ სპეციალურ, შრომითი ინსპექციის სამედიცინო კომისიაზე მივიდოდა, სადაც მისი შრომისუნარიანობის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო.

*hotgo.ru*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**24 მარტი:** შეიძლება, დღეს საკუთარ წარმოსახვას ვერ გაუმკლავდეთ და ისეთი რამ მოიმოქმედოთ, საქმე სანანებლად გაგიხდეთ. თავი ხელში აიყვანეთ.

**კურო 22.04-21.05**
**24 მარტი:** თუ გადადებული საქმეების დასრულებას დაუყოვნებლივ არ მოჰკიდებთ ხელს, ძალიან რთულ სიტუაციაში აღმოჩნდებით, თანაც ხანგრძლივად.

**ტყუპები 22.05-21.06**
**24 მარტი:** როგორც არ უნდა მოინდომოთ, სამწუხაროდ, დღეს პირადი ცხოვრებისთვის დროს ვერ გამონახავთ. ამიტომ ამ საკითხზე არც იფიქროთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**24 მარტი:** საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება სიამოვნებას მოგანიჭებთ. მართალია, მძიმე ტვირთია, მაგრამ კმაყოფილებას მოგანიჭებთ.

**ლომი 23.07-22.08**
**24 მარტი:** ორ შედეგს შორის მოგიწევთ ლავირება, ან მოგებული იქნებით, ან წაგებული. მაყურებლის როლში ვერ იქნებით. ასე რომ, გამჭრიახობა გმართებთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**24 მარტი:** თითქოს პრობლემის გადაჭრის ზღვარზე იქნებით, მაგრამ არაფერი გამოგივათ, სანამ საქმეში კვალიფიციური ადამიანებისგან რჩევას არ მიიღებთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**24 მარტი:** შესაძლოა, ისეთ ადგილას აღმოჩნდეთ, რომ ვერაფრით გაარკვიოთ, რა გინდათ აქ და რა უნდათ თქვენგან. ნუ აწრიალდებით, ყველაფერს მოგვიანებით გაიგებთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**24 მარტი:** დიდი ალბათობით, გონება თქვენს გულის კარნახს დათრგუნავს. მზად იყავით იმ შედეგებისთვის, რასაც რჩევების მიხედვით მოიმოქმედებთ და გააკეთებთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**24 მარტი:** შესაძლოა, ფიზიკური და სულიერი სისუსტე იგრძნოთ. ბოლო მათგანი სახიფათოა, ამიტომ, შეძლებისდაგვარად, ემოციურ ადამიანებთან კონტაქტს მოერიდეთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**24 მარტი:** აჯობებს, გარისკოთ და იმოქმედოთ. რომც არ გამოგივიდეთ, თავის სამართლებელი გექნებათ, რომ სცადეთ მაინც. იქნებ გამოგივიდეთ კიდეც...

**მერწყული 20.01-18.02**
**24 მარტი:** ვინც რა არ უნდა გირჩიოთ, ყველას ყურადღებით მოუსმინეთ, ყველაფერი კარგად გააანალიზეთ და ისე იმოქმედეთ, როგორც თავად ჩათვლით საჭიროდ.

**თევზები 19.02-20.03**
**24 მარტი:** წვრილმანი, გადაუდებელი საქმეები ნერვებს მოგიშლით. როგორც არ უნდა გეჩქარებოდეთ, ფრთხილად იმოქმედეთ, რადგან შესაძლოა, კურსიდან გადაუხვიოთ.

**გაზეთი „ალია“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**

**577 74 99 89**

**„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი**

**(15 საათიდან)**

## თითის ანაბეჭდით ადამიანის სქესისა და სიმაღლის დადგენა შეიძლება?



ავსტრალიელმა მეცნიერმა პირველმა მიაქცია ყურადღება აშკარა კავშირს ადამიანის სქესსა და სიმაღლეს საკუთარი თითების ანაბეჭდებთან.

საინტერესო კვლევა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სასამართლო ანთროპოლოგმა დენიელ ფრანკლინმა ჩაატარა დასავლეთ ავსტრალიის უნივერსიტეტიდან.

ერთი შეხედვით, ამის შესახებ ყველამ უნდა იცოდეს: მაღალ ადამიანებს უფრო გრძელი კიდურები აქვთ, მათ შორის, ხელისგულებიც. თუმცა დენიელ ფრანკლინამდე დღემდე არავის უცდია, ერთმანეთთან დაეკავშირებინა თითების ანაბეჭდების ზომები და პროპორციები სიმაღლესთან. როგორც აღმოჩნდა, სრულიად ტყუილად.

მეცნიერმა 91 მამაკაცისა და 100 ქალის მონაცემები შეისწავლა და მიღებული შედეგები მათ ანაბეჭდებს შეადარა. დადგინდა, რომ ანაბეჭდების პროპორციებს პირდაპირი კავშირი აქვს ადამიანის სიმაღლესთან, ისეთი, რომელიც საშუალებას იძლევა, სიმაღლე უზუსტესად განისაზღვროს. გარდა ამისა, საკმაოდ მჭიდროა კავშირი სქესთან მიმართებაშიც.

კვლევის ავტორის თქმით, თითების ანაბეჭდები „დრამატულად დაუფასებელია“. უბრალოდ, გასაკვირია, რომ აქამდე არავინ მიაქცია ყურადღება ასეთ კავშირს. თანაც იმ დროს, როცა ანთროპოლოგიაში უკვე დიდიხანია, რაც გამოიყენება მეთოდიკა, რომელიც საშუალებას იძლევა, მტევნის ძვლის მიხედვით საკმაოდ ზუსტად განისაზღვროს უძველესი ადამიანების სიმაღლე, სქესი და სხეულის აგებულება.

აღსანიშნავია, რომ გაცილებით ძვირად ღირებული დეენემის ანალიზები ადამიანის გარეგნობაზე ასეთ ზუსტ პასუხებს ვერ იძლევა.

*compulenta.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ჟორია გათხლეშილი მთვრალი დაბრუნდა სახლში, ცოლი ცოცხმომარჯვებული დახვდა შემოსასვლელში.

– ცუცა, გაფიცებ ყველაფერს, არ გაფრინდე, ეს ბოლო და უკანასკნელი იქნება!!!

*მოამზადა დავით ახობაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

**გაზეთი „ალია“**

გამოდის ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს

**გამომცემელი**
**გიორგი ბრეგვაძე**

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
**577-444-442**
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.50